# ეროვ ვაგ



«საბჭოთა მწერალი»
თბილისი
1961

თარგმანი არაბულიდან
შოთა კურდღელაშვილისა

# ჟორჟ ჰანა

გამოჩენილი არაბი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, ჟორჟ ჰანა დაიბადა 1893 წელს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში. პროფესიით იგი ექიმია. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამედიცინო ნაშრომი.

ექიმის პროფესიამ ჟორჟ ჰანას ახალგაზრდობიდანვე მისცა საშუალება უშუალოდ გასცნობოდა მშობლიური ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფას და ლიბანელ მშრომელთა დუხჭირ ცხოვრებას.

ჟორჟ ჰანას კალამს ეკუთვნის პოლიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათის ბროშურების მთელი სერია სათაურით „ალ-ჰარისია". მასვე ეკუთვნის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები—რომანი და მოთხრობა, რომელშიაც მკაფიოდ არის ასახული ლიბანელი ხალხის ცხოვრების სინამდვილე.

ჟორჟ ჰანას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების ნაწილი გამოცემულია ცალკე წიგნებად, ხოლო ნაწილი რეგულარულად იბეჭდება ლიბანის მწერალთა ასოციაციის პერიოდულ ორგა-

ნოში: „ას-საკაფა ალ-ვატანია“ („მშობლიური კულტურა“) და ლიბანის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის ყოველთვიურ ჟურნალში: „ატ-ტარიკ“ („გზა“).

სალიტერატურო საქმიანობასთან ერთად ჟორჟ ჰანა ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1943 წელს იგი აირჩიეს ლიბანის ეროვნული კონგრესის გენერალურ მდივნად. 1950 წელს, მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა ვარშავის კონგრესზე აირჩიეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრად, სადაც დღემდე განაგრძობს ნაყოფიერ მოღვაწეობას. იგი დაუცხრომელ საქმიანობას ეწევა, როგორც ლიბან-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე.

სამამულო ომის შემდეგ წლებში ჟორჟ ჰანამ რამდენჯერმე (1947, 1951, 1957) იმოგზაურა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთში. ამ მოგზაურობათა შესახებ მან გამოაქვეყნა წიგნები: „მე ვიყავი მოსკოვში“, „მეორედ მოსკოვში“, „მე ვიყავი ციმბირსა და ჩინეთში“.

მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად შეაფასა ჟორჟ ჰანას მრავალმხრივი მოღვაწეობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1960 წლის მაისში იგი დააჯილდოვეს მშვიდობის დიდი ოქროს მედლით.

„იმედის თვალით შევცქერი მომავალს, — ამბობს ჟორჟ ჰანა, — მაგრამ, სწორედ ამიტომ არ მსურს

ნაადრევად მივეცეთ ღამშვიდებას. იმპერიალისტური საფრთხე კვლავ ემუქრება არაბულ აღმოსავლეთს, როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ, ისევე რეაქციონურ და დიქტატორულ მთავრობათა მხრივ, რომელთა რაოდენობა ჯერ კიდევ საკმარისია ჩვენს სამყაროში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე შემიძლია სრული გულწრფელობითა ვთქვა, რომ მსოფლიოს ხალხთა სიფხიზლემ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ განთიადი დადგება. შეუძლებელია ისტორიის ჩარხის ტრიალის შეჩერება, რადგან მსოფლიოს ხალხების გადაწყვეტილებაა, მიაწოდონ მას ენერგია. ხოლო ამ ენერგიის წყაროს წარმოადგენს მსოფლიოს ხალხთა განუწყვეტელი და წმიდათა წმიდა ბრძოლა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის".

# ნაწილი პირველი

## 1

მაღალ გორაკზე აღმართული ემირის სასახლე გაჩირაღდნებულია. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ელექტრონის ნათურებივით კიაფობენ. სასახლეში წვეულებისათვის ემზადებიან. საზეიმოდ ჟღერს მუსიკა. აი, ცხრა საათმა დაჰკრა, სტუმრებმა თავმოყრა იწყეს. მოედანი გაივსო ავტომანქანებით, რომლებიღანაც ძვირფასი ბეწვეულის წამოსასხამებით მორთული მანდილოსნები გადმოვიდნენ. დარბაზში გამოჩენისას ისინი აბრეშუმის კაბებმა და სინათლის შუქზე აციმციმებულმა საბაკულების ძვირფასმა თვლებმა დაამშვენეს. ქალებს თან ახლავთ ქმრები, ხოლო რჩეული საზოგადოების წარმომადგენელთა ზოგი მანდილოსანი წვეულებაზე თავიანთი თაყვანისმცემლების თანხლებით გამოცხადდა. მდიდრულად მოკაზმული და საზეიმოდ განწყობილი სტუმრები უდარდელი და მხიარული დროსტარებისათვის ემზადებიან.

წვეულებისათვის სასახლის დარბაზები საგულდაგულოდ მომზადდა; დიდებული შენობა, მარმარილოთი მოპირკეთებული კედლები, დარბაზის

ყოველ კუთხეში გემოვნებით განლაგებული ქანდაკებები, მარმარილოს სვეტები და უძვირფასესი ხალიჩებით მორთული ტახტები სტუმრების აღფრთოვანებას იწვევდა. ყველა ოთახში, გარდა საცეკვაო დარბაზისა, ეფინა შესანიშნავი სპარსული ხალიჩები. დიდ დარბაზში გაშლილია სუფრა, ნაირნაირი და ნუგბარ-ნუგბარი სასმელ-საჭმელით. სადარბაზოდ მორთული მსახურნი უმასპინძლდებიან სტუმრებს. სუფრა მართლაც რომ თავადურია, ხოლო სტუმრები — რჩეული. აქ ნახავთ მსხვილ ვაჭრებსა და საქმოსნებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, ბანკის მმართველებს, მინისტრებს, პარლამენტის დეპუტატებს, მაღალი თანამდებობის მოხელეებსა და რელიგიის მსახურთა გამოჩენილ პირებს. ამ ბანკეტზე ფართოდ არის წარმოდგენილი მაღალი საზოგადოება, რომლის სიმდიდრე უმთავრესად სამხედრო საჭურველითა და იარაღით ვაჭრობის გზითაა შეძენილი.

სტუმრები ქეიფობენ, ისმის მსუბუქი საუბარი, ეგოდენ ჩვეული რჩეული საზოგადოებისათვის. შემდეგ საზოგადოება იყოფა რამოდენიმე ჯგუფად. ახალგაზრდობა ჯაზის მუსიკას აჰყოლია და ცეკვავს. სავაჭრო ფირმების მფლობელნი, მექარხნეები და მეწარმენი შორეულ აღმოსავლეთში დაწყებულ ომზე მსჯელობენ; მათი სჯა-ბაასი ეხება ომის გავლენას ბირჟასა და საქონლის ფასებზე. როგორც წესი, პოლიტიკური მოღვაწენი. იწყებენ კამათს იმაზე, თუ რას უქადის მათ ხვალინდელი

დღე და რა გარდატეხა შეიძლება მოჰყვეს მას. შინაბერები არ ჰკარგავენ გათხოვების იმედს და უცოლო მამაკაცებს ეკეკლუცებიან. მოხუცი ქალები საერთო ნაცნობებს სჭორავენ, ყველაზე მეტ კმაყოფილებას ისინი ჭორაობაში ჰპოვებენ. ბოლოს ერთმა მათგანმა, იმის შიშით, რომ საუბარი არ გადასულიყო არასასურველ თემებზე, თანამოსაუბრენი ქალალდის სათამაშოდ მიიწვია.

სასახლის ერთ-ერთ განცალკევებულ კუთხეში თავი მოეყარა საქმოსანთა და სავაჭრო წრეების ხუთ წარმომადგენელს, რომელთაც საუბარი გაებათ იმაზე, თუ როგორ დაეღწიათ თავი მოსალოდნელი ეკონომიური კრიზისისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, გარდაუვალი იყო საერთაშორისო ურთიერთობათა დაძაბულობის გამო. ყოველი მათგანი ზრუნავს ეროვნულ ეკონომიკაზე. მათ გაეჩნიათ დიდი სამეურნეო და ფინანსიური გამოცდილება, საუკეთესო დამოკიდებულება აქვთ მმართველ წრეებთან და ყოველთვის მხარს უჭერენ სახელმწიფოებრივ და სოციალურ პრობლემებს, რაიც მათს ინტერესებს შეესაბამება. საუბარი ეხება პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს.

— საერთაშორისო ვითარება მოწმობს, — განაცხადა ერთ-ერთმა მოსაუბრემ, — რომ ომი გარდაუვალია, ხოლო დიდი სახელმწიფოების მზადება ომისათვის სამოქალაქო საქონლის წარმოების შეკვეცას იწვევს. კომპანიები, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, იტყობინებიან, რომ განუწყვეტ-

ლივ იზრდება ფასები. საექსპორტო ფირმები უკვე უარს ამბობენ შეასრულონ კონტრაქტები. მაგრამ, ჩვენთვის სახეიროა იმპორტის ყოველგვარი ზრდა. ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ ვაჭრობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ შემოგვაკლდეს ის საქონელი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე. ვაჭრობა ხომ ეკონომიკის საფუძველია. და ვინ, თუ არა ჩვენ, სავაჭრო საზოგადოების წარმომადგენლებმა, უნდა ვიზრუნოთ ეროვნულ აღორძინებაზე?

მეორემ შენიშნა:

— საიმპორტო საქონლის ფასების ზრდაზე მოგვიხდება ფასების მომატებითვე ვუპასუხოთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფასები მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა, მეორეც უპირველესად ყოვლისა, იმისათვის, რომ ომიანობის შემთხვევაში მაშინვე ატყდება აურზაური და საჩივრები. წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და მივიღოთ აუცილებელი ზომები.

— გამაფრთხილებელი ზომების მიღება მთავრობის საქმეა, — დასძინა მესამემ, — ჩვენ კი, ჩემი აზრით, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი გავლენა მთავრობაზე და საკანონმდებლო პალატაში ხმის უმრავლესობა მივიღოთ. არავითარ შემთხვევაში გარეშე მაყურებლებად არ უნდა დავრჩეთ. მომავალი საარჩევნო კომპანიის დროს, არ უნდა დავიშუროთ ფული, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი წრის კანდიდატების წარმატება, ან წარმატება იმ კან-

დიდატებისა, რომელნიც იცავენ სავაჭრო, და მა-
შასადამე, ეროვნულ ინტერესებს.

აქ საუბარში კიდევ ერთი მსხვილი მეწარმე ჩა-
ება:

— ბატონებო, ნუ გავიწყდებათ, — თქვა მან,—
რომ ეროვნული დოვლათის საფუძველს ეროვნუ-
ლი მრეწველობა წარმოადგენს. თუ მშვიდობია-
ნობის დროს მას საფრთხეს უქმნის უცხოეთის
კონკურენცია, სამაგიეროდ ომიანობის დროს, რო-
ცა ურთიერთ კავშირი გართულდება ანდა შეწყ-
დება, ამგვარი საფრთხე აგვცილდება. მერწმუნეთ.
ბატონებო, თუკი მთავრობა მეწარმეებს შესაძლებ-
ლობას მისცემს თავისუფლად იმოქმედონ, უზ-
რუნველყოფს მათ ნედლეულით და მტკიცე პო-
ზიციას დაიკავებს მუშების მიმართ, მაშინ ეროვ-
ნული მრეწველობა შესძლებს, შეავსოს ომიანობის
დროს შექმნილი ხარვეზები. ამიტომ სავსებით ვი-
ზიარებ ჩემი კოლეგის აზრს, რომ საჭიროა გან-
ვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობა მთავრობასთან
და მომავალი არჩევნების დროს საკანონმდებლო
პალატაში გავიყვანოთ სავაჭრო და მეწარმეთა
წრეების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი.

ბოლოს, აქამდე ჩუმად მჯდომმა მეხუთე მო-
საუბრემაც ამოიღო ხმა, მისი საუბარი კოკტეილს
წააგავდა. იგი დაეთანხმა კოლეგებს, რომ საჭი-
როა ვაჭრობისა და მრეწველობის ყოველმხრივი
განვითარება, როგორც ეკონომიკის საფუძველისა;
რომ საჭიროა ხელისუფლებას მოევლინონ ეროვ-

ნული დოვლათის მხსნელთა როლში, ამასთანავე მან თავის თანამოაზრეთა ყურადღება შეაჩერა იმ გარემოებაზე, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა მათი გეგმების განხორციელებისათვის. ეს იყო ხალხის აღშფოთება და მუშების გამოსვლები სიძვირისა და შევიწროვების გამო. მან ეჭვი გამოთქვა, შესძლებს თუ არა მთავრობა აღნიშნული გეგმები განახორციელოს გარედან დაუხმარებლად და რომ ის კანონები, რომელთა მიღებაც მის თანამოაზრეებს სასურველად მიაჩნიათ მათივე ინტერესების დასაცავად, რაიმე არსებით სარგებლობას მოუტანს ვისმე. მისი აზრით, სამყარო შეიცვალა, და სავაჭრო და მრეწველთა წრეების წარმომადგენელთ, ისევე როგორც მთავრობას აღარ ძალუძს სავსებით უგულვებელჰყონ მუშათა კლასის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი. შემდეგ მან აღნიშნა, რა გზით შეიძლება ხალხთა მასებთან, — მუშებთან და ღარიბებთან, — შეტაკების თავიდან აცილება, ამავე დროს პატრიოტული და ჰუმანური გრძნობების გამოვლენა, ისე, რომ არ დაჰკარგონ მოგება და სიმდიდრე. მან თქვა:

— თუ გვსურს დავიცვათ ჩვენი ვაჭრობა და მრეწველობა, შევინარჩუნოთ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები, ხალხს არ უნდა გამოვეთიშოთ, პირიქით — შევქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვიზიარებთ ხალხის მისწრაფებას და მხარს ვუჭერთ მათ. ომებს ხალხისათვის უბედურება და სიღატაკე მოაქვთ და თუ ჩვენ უგულვებელვყოფთ

ხალხის მოთხოვნილებას, ამით მხოლოდ აღშფოთებას, დემონსტრაციებს გამოვიწვევთ, რაც, პირველ რიგში, ჩვენს წინააღმდეგვე იქნება მომართული. ამიტომ, ჩვენი ინტერესები მოითხოვს, ახლავე, დაუყოვნებლივ დავეხმაროთ ხალხს, გადავდოთ თუნდაც მცირეოდენი თანხა საქველმოქმედო საზოგადოებათა ფონდში, ჩვენი მრეწველობის მოგება-შემოსავლიდან. ამ საქმეს ხელი უნდა მოვკიდოთ ჩვენ თვითონ და ჩვენმა ცოლ-შვილმაც. უნდა გავხსნათ სასადილოები დამშეულთათვის, ავაშენოთ ბინები ობოლთათვის და გავხსნათ საერთო საცხოვრებელი უბინაოთათვის. სასადილოები, ობოლთა თავშესაფარი და საერთო საცხოვრებლები თავიდან აგვაცილებენ უბრალო ხალხის გაბოროტებას, სიძულვილსა და შურს. ამასთანავე ეს იქნება ჩვენი კაცთმოყვარეობის დემონსტრაცია, რაც ჯეროვან შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებრიობაზე.

საქმიანი წრეების წარმომადგენელნი იმდენად გართულიყვნენ ამ საუბარში, რომ ვერ ამჩნევდნენ რა ყურადღებით უსმენდა მათ ერთ-ერთი სტუმართაგანი, რომელიც ბოლოს ჩაერია კიდეც მათ საუბარში.

— ბატონებო, — თქვა მან. — თქვენი აზრი, თითქოს შეიძლება ომი ხვალვე დაიწყოს, ნაადრევად მიმაჩნია. თქვენ გეგმებს აწყობთ იმგვარ ვარაუდზე, რომელიც შესაძლოა არც გამართლდეს, რადგანაც მშვიდობის ფრონტი საბოლოოდ სძლევს

ომის ფრონტს და მაშინ თქვენ მიერ აგებული კოშკები თავისთავად დაინგრევიან.

— ყმაწვილო, თქვენ ციდან ხომ არ ჩამოფრინდით? — უთხრა მას ერთ-ერთმა მოსაუბრემ, — განა დიდი სახელმწიფოების მთავრობები ამაოდ ემზადებიან საომრად? დასავლეთის დემოკრატია კაცობრიობის სულიერ საგანძურს, მის დიად გონებრივ მემკვიდრეობას დარაჯობს, ამ უდიდეს ძალას მხურვალედ იცავს სარწმუნოება. მაშ რისთვის, ან ვისთვის უნდა უკუვდგეთ მათ წინაშე, ვინც სიტყვით მშვიდობისაკენ მოუწოდებს, ხოლო ნამდვილად ცდილობს მოსპოს თავისუფლება, მრავალსაუკუნოვანი კულტურა, რომელიც ცივილიზებულ სამყაროში დასავლეთის დემოკრატიამ შექმნა? ან რა საკადრისია ჩვენთვის ამ თემაზე საუბარი? განა არ წაგიკითხავთ ცნობები, რომელნიც ამჟამად ყველას აღელვებს? ომი გარდაუვალია! იგი ერთადერთი საშუალებაა მსოფლიოში მყარი მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ვთქვათ, ომი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მართლაც არ იქნება, მაგრამ ფაქტიურად ხომ უკვე რამოდენიმე წელია წარმოებს ე. წ. „ცივი ომი“. ხალხები ატომის ციებ-ცხელებას შეუპყრია. ადამიანები ძრწოლვით შეჰყურებენ თავის მომავალს. ყოველივე ამან კეთილგონიერი ადამიანები უნდა აიძულონ მიიღონ სათანადო გამაფრთხილებელი ღონისძიებანი. სწორედ აქეთკენაა მიმართული ჩვენი მისწრაფება, ვინაიდან გვსურს განვავითა-

როთ ქვეყნის ეკონომიკა და ვემსახურეთ საშ-
შობლოს. აი, ეს არის ჩვენი პასუხი, ჩემო კარგო!
მაგგვარ ოპტიმისტობას ისა ჯობს ჩაუფიქრდეთ,
თუ როგორ იხსნათ თავი ომის საშიშროებისაგან,
ომიანობის დროის სიძვირისა და შიმშილობისა-
გან, რათა არ ინანოთ, რადგან სინანული გვიანღა
იქნება. ხომ გაგიგონიათ, — მოღრუბლული ცა
ავდარს მოასწავებსო. ერთობლივი შიში, როცა
საცაა ომი დაიწყება, სრულიად საფუძვლიანია.
ვერც თქვენ და ვერც მშვიდობის მომხრეთა ოპტი-
მიზმი, ვერ აგვაცილებენ თავიდან ომსა და ყველა
იმ საშინელებას, რაც მას მოჰყვება.

წვეულებაზე მყოფ სტუმართა შორის იყო სა-
დაზვერვო ბიუროს უფროსი შაქიბ-ბეგი, ახალ-
გაზრდა, კოპწია, ენამახვილი და გონებაგამჭრია-
ხი ადამიანი, არაფერი გამორჩებოდა მის თვალებს.
იგი ყველაფერს ამჩნევდა. ეშმაკურ მზერას სა-
თვალე უფარავდა, რის გამოც მოსაუბრე ვერა-
ფერს ამოიკითხავდა შაქიბ-ბეგის შენიღბულ თვა-
ლებში. იგი მთელი საღამო ერთი ჯგუფიდან მეო-
რესთან გადადიოდა, ცეკვავდა და ოხუნჯობდა.
ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყოველ სტუ-
მარს; თითქოს ათასი ყური ჰქონდა გამობმული, —
ისმენდა ყველას ნათქვამს. როგორც კი მუსიკა
აჟღერდებოდა, რუმბას ცეკვით ჩამოუვლიდა დარ-
ბაზს. შემდეგ უმალვე მოპაექრეთა რომელიმე
ჯგუფს შეუერთდებოდა, ანდა ზომაზე მეტად გა-
ლაღებულ ჟურნალისტებთან ვისკსა სვამდა. ბებ-

რუხანა ქალების ლაქლაქიდანაც ხშირად კრეფდა მეტად ძვირფას ინფორმაციას. დროდადრო ბანქოს სათამაშო დარბაზში შეივლიდა, ჩაებმებოდა ბანქოს თამაშში, ამასთან სულაც არ დარდობდა, წააგებდა ფულს თუ მოიგებდა.

შაქიბ-ბეგს ყველა იცნობდა და მოწიწებით ესალმებოდა, ყველა აღტაცებით, ან შიშნარევი რიდით შეჰყურებდა. მართლაც, შაქიბ-ბეგი ნამდვილი ყულაბა გეგონებოდათ, რომელიც პირამდე იყო სავსე ყოველივე იმით, რაზედაც ადამიანები საუბრობდნენ. მან იცოდა სხვადასხვაგვარი საიდუმლო ცნობები, მაგალითად, ამა თუ იმ მთავრობის აზრი პარტიული მოღვაწეებისა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა შესახებ.

ღამის სამ საათზე შაქიბ-ბეგმა ისე დასტოვა სასახლე, რომ არავის გამომშვიდობებია, თუმცაღა ყველას იცნობდა და კიდევაც მოასწრო, თითქმის ყველას გამოლაპარაკებოდა. მისი გაუჩინარება მაშინვე შეამჩნიეს, ყველას გაუკვირდა, ამასთანავე შაქიბ-ბეგის წასვლამ თავისებური ნიშანი მისცა წვეულების დამთავრებას. ჯერ ოთხი საათიც არ იყო, როცა დარბაზებში ერთი სტუმარიც აღარ დარჩა. ყველას აინტერესებდა რა მიზეზით დატოვა შაქიბ-ბეგმა ეს მხიარული წვეულება და ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ, ღამის სამ საათზე შაქიბ-ბეგს ეახლა ერთ-ერთი მისი ხელქვეითი და რაღაც შეატყობინაო.

## 2

ქემალი ფაბრიკიდან შინ გვიან დაბრუნდა. დედა და და მოუთმენლად მოელოდნენ. საამქროში, სადაც ქემალი მუშაობდა, ცვლა მზის ჩასვლისთანავე ამთავრებდა მუშაობას. მაგრამ, მზის ჩასვლიდან ბარე ორი საათი გავიდა და ქემალის დედასა და დას მოუთმენლობა დაეტყოთ. უკანასკნელი დღეები შფოთითა და ამაღელვებელი მითქმა-მოთქმით იყო აღსავსე.

როგორც კი ქემალი თავის ღარიბულ, ძველ ქოხში შევიდა, მოხუცებულმა დედამ გულში ჩაეკრა იგი, ხოლო დამ ხელ-ფეხის დასაბანად ქოთნით წყალი შემოუტანა. სახეგაფითრებულ ქემალს შეშფოთება ემჩნეოდა, რამაც დედა და ააღელვა. ჩვეულებრივ, შინ დაბრუნებისას ქემალი ღიმილით უამბობდა მათ დღის ამბებს და სახვალიო გეგმებსაც გაანდობდა.

მიუხედავად სიღარიბისა და მუდმივი გაჭირვებისა, ოჯახი ბედნიერი იყო... ქემალის ხელფასი და მისი დის, სამირას, ხელსაქმით ნაშოვნი მცირეოდენი ფული ძლივსღა ფარავდა ოჯახის ხარჯებს. თუკი მოხერხდებოდა ორიოდე გროშის დაზოგვა, ქემალის დედა კვირაობით ალაგებდა მათ საეკლესიო საინზე, რათა მღვდელს ელოცა მისი შვილებისათვის.

სამივენი ვახშამს შეუდგნენ. ვახშამი სარეცელი შული კარტოფილისა, ზეთისხილის [illegible] ...ენიმ

მარცვლისა და ქემალისათვის განკუთვნილ ხორცის პატარა ნაჭერისაგან შედგებოდა, მეტის სახსარი მათ არ გააჩნდათ. დედა ირწმუნებოდა, რომ არ შეუძლია ხორცის დაღეჭვა ბებერი კბილებით, ხოლო სამირამ ფიცი დასდო მკაცრად დაეცვა მარხვა და სულ უარი თქვა ხორცეულზე, თუმცა-ღა სამირას ფიცი მხოლოდ საბაბი იყო, რომ ხორცი მთლიანად ძმას დარჩენოდა.

ვახშმის დროს ქემალს დაბნეულობა ემჩნეოდა, დედა და და ჩუმად უთვალთვალებდნენ მას და ცდილობდნენ მიხვედრილიყვნენ, რას ფიქრობდა იგი. ცხადი იყო, ქემალი რაღაც საიდუმლოებას ფარავდა, ნეტავ რაიმე უბედურება არ დატრიალდეს და არ დაარღვიოს ქემალის მყუდროება და ბედნიერება!

— რას ჩაფიქრებულხარ, შვილო? ჩვენ მთელი დღე გელოდით, რომ მოგვესმინა შენი ამბები და ოხუნჯობა. ხომ არავინ გაწყენინა? ან იქნებ ვინმემ აგაღელვა? არასოდეს გვინახიხარ ასე დადუმებული.

ქემალმა დედას სიყვარულით გადახედა, მივიდა მასთან და მაგრად აკოცა. დედის გული შვილისადმი სიყვარულითა და მისი მომავლისადმი შიშის გრძნობით აძგერდა. იგრძნო, რომ ქემალი აღელვებულია, თუმცა, თვითონ მალავდა თავის განწყობას, — ვინ იცის, ეგებ მიზეზი ქემალის ახალგაზრდობა და რომელიმე გოგონასადმი აღძრული სიყვარული იყო.

— ჩემზე ნუ სწუხარ, დედა, ჩემი ერთადერთი საზრუნავი თქვენა ხართ. ამჟამად ძალიან გაძნელდა სამუშაოს შოვნა, რადგან ომზე მითქმა-მოთქმამ გაამწვავა ეკონომიური კრიზისი. ამბობენ, ომის დროს ცოტა სისხლი როდი დაიღვარაო, მაგრამ ომის გამჩაღებლებსა და სიკვდილით მოვაჭრეებს არ სურთ დაშოშმინება. დღეს ფაბრიკის დირექტორმა გაგვაფრთხილა, თუ ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდება, იძულებული იქნება, დაითხოვოს რამდენიმე მუშა, ან ყველა დავრჩეთ გაცილებით ნაკლებ ხელფასზე, ანდა დავთანხმდეთ იმ მუშების დათხოვნაზე, რომელთა გაგდებაც დირექტორს მოეპრიანება. ამ საკითხზე საღამოს უნდა მოვითათბიროთ კრებაზე. კრება ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგის — სელიმ ალ-კაბისის ბინაზე მოეწყობა. ნება მომეცი, დედა, წავიდე კრებაზე. ჩვენ რვა საათზე ვიკრიბებით და მე კი მაგვიანდება.

დედამ გადაჰკოცნა ქემალი და უთხრა:

— წადი, შვილო, ღმერთი იყოს თქვენი სწორი გზის მაჩვენებელი!

ქემალის წასვლის შემდეგ აღელვებულმა დედამ თქვა:

— სამირა, ჩვენთვის ეს ახალი განსაცდელია. ჭირსაც წაუღია ყველა, ვინც სხვის უბედურებაზე თავის კეთილდღეობას აშენებს, ვინც უბრალო, უდანაშაულო ხალხის სისხლით ვაჭრობს, ჭირსაც წაუღია ყველა გაიძვერა და გაუმაძღარი მმართვე-

ლი! განა ჩემსავით შენც არ ამჩნევ, სამირა, რომ ქემალი აღელვებული და გულჩათხრობილია? ღმერთო, რა გვეშველება, თუ ქემალს კვლავ შეუქცია ციებ-ცხელებამ, რომელმაც მთელი წინა თვის განმავლობაში მას ქანცი გამოულია. მაღალმა ღმერთმა შეგვიწყალა და ქემალი განკურნა. ძისი ერთი გაღიმება მთელ ქვეყანას მირჩევნია. ნუთუ კვლავ სიღატაკე, შიმშილი და ავადმყოფობა მოგველის? სამირა, ხომ ზუსტად ასრულებ სამონასტრო აღთქმას წმიდა შაიასადმი! გახსოვდეს, რომ შენი ძმა მისმა ლოცვებმა განკურნა.

— აღთქმის ვადა ჯერ არ დასრულებულა, დედი. როგორც კი ქალბატონი ნაზიკა გადამიხდის გასული კვირის საკერავის საფასურს, მაშინვე წავალ მონასტერში, ქემალის სიმაღლე სანთელს დავანათებ. ღმერთი მოგვხედავს, დედი! ნუ ტირი. შენი ცრემლები ათას რამეს მაფიქრებინებს. ჩვენ ორივეს მხნეობა და გამძლეობა გვმართებს, რომ ქემალს საზრუნავი შევუმსუბუქოთ. აღარ დაგიფარავ, დედი, მინდა ისეთი საამსახური ვიშოვნო, რომელიც იმაზე მეტ შემოსავალს მომცემს, ვიდრე ხელსაქმე იძლევა. მაშინ შევძლებ ოჯახის ხარჯების ნაწილი დავფარო. თორემ თუ ნაავადმყოფარი ქემალი პირდაპირ ფაბრიკაში დაბრუნდა სამუშაოზე, მის ჯანმრთელობას საფრთხე მოელის. საჭიროა ქემალს საშუალება მივცეთ, ცოტა ხნით მაინც დაისვენოს.

დუმილი ჩამოვარდა. დედა-შვილი ხელიხელ-

გადახვეულნი ისხდნენ. ქემალის მოლოდინში ხან ლოცულობდნენ, ხანაც კამათობდნენ და ცდილობდნენ გამოეცნოთ — რა ითათბირეს კრებაზე და რას უქადდა მათ ხვალინდელი დღე?

ქემალის დედამ ქორწინების მეშვიდე წელს დაჰკარგა მეუღლე. მას ორი შვილი დარჩა — ქემალი და სამირა. მახლობლები და მეგობრები ამაოდ არწმუნებდნენ მეორედ გათხოვილიყო. მისი მშვენებით მოხიბლული მეზობელი ახალგაზრდა ვაჟკაცნი ეტრფოდნენ ქალს, მისგან საპასუხო გრძნობას ითხოვდნენ და სინანულს გამოთქვამდნენ, რომ ასე ადრეულად ჩაჰკლა თავისი ახალგაზრდობა. გამიჯნურებული ვაჟკაცნი ეფიცებოდნენ, კარგად აღგიზრდით დაობლებულ ბავშვებსო. მაგრამ, ახალგაზრდა ქვრივმა ყური არ ათხოვა მახლობელთა რჩევას. ყოველივე სვე ბედს მიანდო და გადაწყვიტა, მთელი თავისი ცხოვრება დაობლებული შვილებისათვის შეეწირა. საყვარელი ბავშვების გამოკვებაზე ზრუნვამ აიძულა, შავი სამუშაოსათვის მოეკიდნა ხელი...

დუმილი აკანკალებულმა ხმამ დაარღვია:

— გული მიგრძნობს, სამირა, რომ მძიმე განსაცდელი მოგველის. ამბობენ, საცაა ომი დაიწყებაო. მარტოოდენ სიტყვა „ომი“ საზარელ მოგონებებს მიღვიძებს და სულს მიხუთავს. სწორედ პირველი მსოფლიო ომის დროს გადაყვნენ ტიფის ეპიდემიას ჩემი მშობლები. დაობლებულმა იმდენი სიმწარე, დამცირება და გაჭირვება გადავიტანე,

რომ სიკვდილი მენატრებოდა. შიმშილობის დროს კვირაობით ვიყავით ულუკმაპუროდ. ბედნიერნი ვიყავით, როცა ვაი-ვაგლახით ნაშოვნი სამუშაოს სანაზღაუროდ მოგვიგდებდნენ პურის მცირე ლუკმას. ქუჩები მოფენილი იყო შიმშილით დახოცილთა, გახრწნილი და აყროლებული გვამებით. ბოლოს მთავრობამ მოისაზრა, ქალაქს ეპიდემიის საშიშროება ელისო და განკარგულება გასცა, აეკრიფათ დახოცილთა გვამები და ერთ ორმოში დაემარხათ. ეს ორმო შემდეგ კარგა ხნის მანძილზე ყვავ-ყორნისა და მშიერი ძაღლების ადგილად იქცა. ეს იყო საზარელი დღეები, სამირა! იყიდებოდა დედაკაცის სინდის-ნამუსი, ბაზრებში ადამიანთა ტანჯვით ვაჭრობდნენ... ჩემი საბრალო მშობლები ისე დაიხოცნენ, რომ ორიოდე გროშიც არ დაუტოვებიათ ჩემთვის, სამაგიეროდ, მათ მე პატიოსნება და ღირსება დამიტოვეს. სწორედ ამისათვის ხშირად მამცირებდნენ და ზიზღით მეპყრობოდნენ ისინი, ვისაც მიაჩნდა, რომ ერთი მუჭა ლობიოს, ფქვილის ან რამოდენიმე პიასტის ფასად შეეძლოთ ყველაფერი ეყიდნათ. მაგრამ, როცა ადამიანის სახის რომელიმე მხეცი ცდილობდა ჩემს შეურაცხყოფას, უმალ ჩემი მშობელი წარმომიდგებოდა თვალწინ. ასე მარტოხელა, რის ვაი-ვაგლახით ვირჩენდი თავს დედ-მამის სიკვდილის შემდეგ. ძალღონე მეცლებოდა, სიკვდილის პირას ვიყავ და ალბათ მოვკვდებოდი კიდეც, რომ დეიდაჩემს არ შევბრალებოდი. მან შემიკედლა და ამიერიდან

დეიდაჩემი დედად მომევლინა, ხოლო მისი ვაჟი, ფუადი, ვისთანაც ერთად განუყრელად ვიზრდებოდი, ძმად. ხანდახან, ზეთისხილის კრეფის დროს, ბედი გაგვიღიმებდა და უფროსებთან რამოდენიმე გროშის საფასურად ჩვენც გვაძლევდნენ სამუშაოს. მიღებული გასამრჯელოთი ძლივს ვყიდულობდით სამიოდე ლავაშს, რაიმე შეჭამანდს და მხოლოდ ამით გაგვქონდა თავი.

ომი დამთავრდა, ღმერთს მადლობა მოვახსენეთ, რომ ცოცხალნი დავრჩით. განსაცდელმა თითქოს გადაიარა. სამივემ ახლებურად გავწიეთ ცხოვრების ჭაპანი. მაგრამ კვლავ უბედურება დაგვატყდა თავს — სამი წლის შემდეგ დეიდაჩემი ჩავარდა ლოგინად და ხანგრძლივი დროის მანძილზე საშინლად იტანჯებოდა. მე და ფუადს ძალღონე არ დაგვიზოგია, რომ როგორმე დავხმარებოდით მას და ტანჯვა შეგვემსუბუქებინა. საბრალო დეიდა! როგორი მოთმინებით იტანდა ავადმყოფობას, როგორ ცდილობდა ღიმილით დაეფარა თავისი ტანჯვა, რომ ჩვენ ნაკლებად შევეწუხებინეთ, როდესაც იგრძნო, რომ აღსასრულის დღე მოუახლოვდა და მალე მოგვაცილებდა ჩვენ მძიმე საზრუნავს, გულით გაიხარა. მალე აღსასრულის დღეც დადგა. დეიდაჩემმა ჩვენს ხელში დალია სული. მწარედ გამოვიტირეთ კეთილი ადამიანი და მზრუნველი დედა, რომელმაც ჩვენზე ზრუნვას შესწირა თავისი თავი. სიკვდილის წინ დეიდამ გულში ჩაგვიკრა ორივე და მხურვა-

ლედ გადაგვკოცნა, ამ ალერსში ჩააქსოვა ჩვენდამი სიყვარული. როდესაც დეიდა დავმარხეთ და შინ დავბრუნდით, ვიგრძენით, რომ მისი კეთილი არსება კვლავ თავს დაგვტრიალებდა და გზას გვინათებდა.

დედამ კარი გამოაღო, ყური მიუგდო — ქემალი ხომ არ დაბრუნდაო, ცრემლი მოიწმინდა და ნაღვლიანად განაგრძო:

— დეიდასთან რომ ვცხოვრობდით, მე და ფუ-, ადს ერმანეთი შეგვიყვარდა, დეიდამ დაგვლოცა და მოუთმენლად ელოდა ჩვენს შეუღლებას. მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვესრულებინა დეიდას სურვილი, რადგანაც ჩვენი ერთადერთი ბედნიერი გზა, ერთად ყოფნა იყო. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დავქორწინდით. მეორნა, ათასნაირი გაჭირვებისა და განსაცდელის შემდეგ, ახლა მაინც ბედმა გამიღიმა-მეთქი. ფუადი მშვენიერი ვაჟკაცი იყო. გულადი, კეთილშობილი. თავაუღებლივ მუშაობდა, რომ ჩემოვის ბედნიერება მოენიჭებინა და მართლაც რომ ბედნიერი ვიყავი. დაიბადა ქემალი, რამაც ბედნიერებით გაანათა ეს ღარიბული სახლი, ოთახი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. იმდენად ბედნიერნი ვიყავით, რომ თვით მდიდრულ სასახლეთა მცხოვრებთაც კი შეშურდებოდათ. შემდეგ შენ დაიბადე, სამირა, და თქვენ ორივენი, შენ და შენი ძმა, სიხარულით ავსებდით ჩვენს პატარა ბუდეს. სიამით გვევსებოდა გული თქვენი ჭიკჭიკით. ღამით

ვდარაჯობდით თქვენს წყნარ ძილს და ღმერთს მადლობას ვწირავდით.

ქემალის დედას ცრემლები წამოსცვივდა, სული მოითქვა და განაგრძო:

— მაგრამ ბედის უკუღმართობა ახალ განსაცდელს გვიქადდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ეს იმ დღეს მოხდა, როცა ჩვენს ქალაქში მოქმედი ჯარის ნაწილები შემოვიდნენ. საჰაერო თავდასხმის საშიშროების გამო, გვიბრძანეს ღამ-ღამობით შენიღბვა მოგვეწყო და მზის ჩასვლის შემდეგ ქუჩაში გასვლა აგვიკრძალეს. ერთხელ, როდესაც მამაშენი გვიან ღამით შინ ბრუნდებოდა, მოულოდნელად გავარდა თოფი და იგი ჰოკლეს. გამოძიებამ მკვლელის კვალს ვერ მიაგნო. როდესაც ფუადის გვამი შინ მოიტანეს, თავზარი დამეცა... ჭრილობიდან სისხლი დიოდა. გახსოვს, შენ და ქემალი რომ გადაეფარეთ მამის გვამს და მოშორება აღარ გინდოდათ? დილამდე ამ ოთახში მხოლოდ ჩვენ სამნი ვიყავით მასთან, ვიდრე მისი ამხანაგები მოვიდოდნენ და დაკრძალავდნენ. ასე დამთავრდა ბედნიერი დღეები, როდესაც ყველაზე პატიოსანი ქმარი და ყველაზე მზრუნველი მამა გვმფარველობდა.

ასეთი იყო მთელი ჩემი ცხოვრება, სამირა. და განა შეგიძლია, მისაყვედურო იმისათვის, რომ სიტყვა „ომი“ თავზარსა მცემს? პირველი მსოფლიო ომის დროს დავკარგე დედ-მამა, ხოლო

მეორე ომში მეუღლე. აბა, რა სიკეთეს მომიტანს მესამე ომი, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ და რომლისკენაც მოუწოდებენ ახლა?

სამირა უსმენდა დედას და ცრემლს ვერ იკავებდა. ცოტა რომ დამშვიდდა, სამირამ საბრალო, დამწუხრებული დედის გამხნევება სცადა:

— გულს ნუ გაიტეხ, დედი. ამდენი სიმწარე გამოგივლია და ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას. გულიდან გადაიყარე სევდა, ნუ აჰყვები საზიზღარ ხმებს, რომელსაც განზრახ ავრცელებენ ჩვენი მტრები. მათ სწადიათ, რომ ბედს დავემორჩილოთ და სულით დავეცეთ. მაგრამ დღეს ეს ქვეყანა უკვე ისეთი აღარ არის, როგორიც წინათ იყო. ხალხი დღეს უარს ამბობს დაემორჩილოს ომით გამდიდრებულ ერთ მუჭა ბობოლებს. ხალხს მშვიდობა სწყურია და იგი მოიპოვებს მშვიდობას. მერწმუნე, დედი.

— ჩემი ნატვრა ის არის, სამირა, რომ იქამდე ვიცოცხლო, სანამ იმედი აგვისრულდება, როდესაც მეცოდინება, რომ შენ და ქემალი ბედნიერი ხართ, მაშინ შემეძლება გულდაწყნარებით გამოვესალმო წუთისოფელს... მაგრამ, რატომ იგვიანებს ქემალი?

## 3

თხუთმეტი მუშა ესწრებოდა კრებას. ამხანაგებმა მათ დაავალეს მოეთათბირებინათ, როგორ მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი

მათ ხელფასს შეუმცირებდა, ანდა სამუშაოდან დაითხოვდა რამოდენიმე მუშას. შეკრების ადგილად სელიმ ალ-კაბისის ბინა აირჩიეს, რადგან ეს ბინა ქალაქიდან შორს იყო, პოლიცია და ჯაშუშები ადვილად ვერ მიაგნებდნენ.

სელიმ ალ-კაბისის ქოხი ერთადერთი ოთახისაგან შედგებოდა. მას მიშენებული ჰქონდა ფიცრული საკუჭნაო, სადაც სელიმის დედა საჭმელს ამზადებდა, რეცხავდა და ღამესაც ათევდა, როცა სელიმთან მისი მეგობრები იკრიბებოდნენ. სელიმი და მისი მოხუცი დედა მარტო ცხოვრობდნენ ქალაქის განაპირას. მათ ღარიბულ ქოხს ერთგული ძაღლი, ანტარი, დარაჯობდა.

ამ წვიმიან ღამეში ნავთის მბჟუტავი ლამპით ნახევრადგანათებულ ღარიბულ ქოხში შეკრებილთა გულები აღშფოთებით იყო აღსავსე, განწირულ მშრომელთა პატარა ჯგუფი აქ იმისთვის შეკრებილიყო, რომ მოეთათბირათ თავიანთ მდგომარეობაზე, ისეთივე ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობაზე, როგორიც თვითონ იყვნენ.

სელიმმა თქვა:

— ამხანაგებო, ჩვენგან მოელიან გადაწყვეტილებას, თუ როგორ ვუპასუხოთ დირექტორის უსამართლო მუქარას და საერთოდ ჩვენდამი მის არაადამიანურ დამოკიდებულებას. ქედს მოვიხრით ამ მუქარის წინაშე, თუ უარვყოფთ მას, ხოლო, თუკი უარვყოფთ, მაშინ როგორ მოვიქ-

ცეთ — საჩივრით მივმართოთ მთავრობას თუ გაფიცვა გამოვაცხადოთ?

— არა მგონია,—თქვა ჯამილმა, — რომ მთავრობამ მოიწონოს დირექტორის თვითნებური მოქმედებანი, რადგან ეს მთავრობის წინააღმდეგ შეაიარაღებს ოპოზიციას. თუ საჩივრით მივმართავთ მთავრობას, ეჭვი არ არის, იგი სამართლიანად მოგვეპყრობა, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მთავრობას მართლაც სურს სამართლიანი იყოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თავი იმართლოს და განამტკიცოს თავისი მდგომარეობა. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ავირჩიოთ დელეგაცია, რომელიც მინისტრთან მივა და გააცნობს ჩვენს საქმეს.

საუბარში ჰამიდი ჩაერია:

— მე ვფიქრობ, რომ ზოგიერთი მინისტრი ჩვენ თანაგვიგრძნობს, თუმცა ვიცი, თუ რა დიდ გავლენას ახდენენ მეწარმენი მთავრობაზე, მაინც იმედი მაქვს, რომ მთავრობა არ გასწირავს და არ დაუშვებს დირექტორის თვითნებობას. მთავრობამ რომ პარტიას დაუჭიროს მხარი, ამით იგი სხვებსაც წააქეზებს, მიბაძონ მის მაგალითს, ხოლო მთავრობა სწორედ ამის თავიდან აცილებას ცდილობს.

— პირველად როდია, — წამოიწყო ქემალმა, — რომ ჩვენ ფაბრიკის მეპატრონეებთან შეტაკება გვიხდება. დელეგაციაც, რომელსაც მინისტრთან, ან მინისტრებთან გავგზავნით, პირვე-

ლი არ იქნება. რას მოგვცემს ეს ჩვენ? ცრუ და ყალბ დაპირებებს, რომელნიც არასოდეს არ იქ-ნება შესრულებული. რა საჭიროა ამგვარი გულ-უბრყვილო და უაზრო იმედები? ნუთუ გჯერათ, ამხანაგებო, რომ ჯამილის, ჰამილის, სელიმის და ათასი სხვა ჩვენნაირი მუშის მოთხოვნა უფრო და-მაჯერებელი იქნება მთავრობისათვის, ვიდრე მდიდარ მეწარმეთა ინტერესები, განმტკიცებული იმ ქრთამებით, რასაც მთავრობის წარმომადგე-ნელნი ასე ხარბად ეტანებიან? შეხედეთ ელექ-ტრონის ნათურებით გაჩირაღდნებულ თუნდ იმ სასახლეს: იქ ქეიფია, ცეკვა-თამაში, იქ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელნი ცდილობენ მდიდრული მოსართავებით თავი მოაწონონ ერთ-მანეთს, ამაყობენ თავიანთი მედლებით, გუნდ-რუკს უკმევენ ემირსა და მთავრობის წარმომად-გენლებს; ბანქოს აზარტული თამაშით ერთობიან, და ამავე დროს, სხვათა საქმეთა შორის, ჩვენი სამშობლოს ბედს, კერძოდ კი ჩვენს ბედ-იღბალს სწყვეტენ. რის იმედი უნდა ვიქონიოთ, როდესაც ჩვენი მთავრობის წევრები მეგობრულად შეექცე-ვიან პურ-მარილს იმ უმსხვილეს მეწარმეებთან, რომელთაც თქვენ საჩივარს უმზადებთ. რისი იმედი უნდა გვქონდეს, როდესაც მინისტრები და დეპუტატები კაპიტალისტებთან პოკერს თამა-შობენ? მეორე დღესვე ყოველი საქმოსანი ორმა-გად დაიბრუნებს ღამით წაგებულ თანხას. ვანა ანგარიშს გაგვიწევს მთავრობა, ამხანაგებო, ან-

და რას წარმოვიდგენთ მთავრობისათვის მდიდრებთან და ბობოლებთან შედარებით, შედარებით რომელიმე ლამაზმანთან, ანდა მინისტრისადმი მიწერილ რომელიმე საქმოსანის სარეკომენდაციო ბარათთან. თუ უმრავლესობა მაინც გადასწყვეტს, დელეგაცია გაიგზავნოს მთავრობასთან, დე ისე იყოს, როგორც უმრავლესობას სურს. პირადად მე უარს ვაცხადებ მონაწილეობა მივიღო ამგვარ დელეგაციაში.

— მეც უარს ვამბობ! — შესძახა ქემალის სიტყვით აღტაცებულმა სელიმმა, იგი, მიუახლოვდა ქემალს, გვერდით მიუჯდა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— უკვე შუაღამეა, — თქვა აჰმადმა, — ჩვენ კი ჯერ არაფერი არ გადაგვიწყვეტია. მაშ როგორ მოვიქცეთ ხვალ დილით — გავიდეთ სამუშაოზე თუ არა? თუ დელეგაციას გავგზავნით მთავრობასთან, დირექტორი მიხვდება, რომ შეკრება მოვაწყვეთ და რა თქმა უნდა, სასტიკად დაგვსჯის. რას იტყვით, ეგების ყველას ის ჯობდეს, რომ დელეგაცია ჯერ თვით დირექტორთან მივიდეს?—პასუხად ყველამ გულიანად გადაიხარხარა; ვიღაცამ წამოიძახა:

— ეგ იმის მომასწავებელი იქნება, რომ მტერი მსაჯულად გავიხადოთ!

სელიმმა ღიმილით განაგრძო:

— მეგობრებო, მოდით, თხუთმეტიოდე წუთით შევისვენოთ. ყავა მიირთვით. შესაძლოა, ;ა-

ვის შემდეგ მაინც მივიღოთ საერთო გადაწყვეტილება.

— ჩვენი მეგობარი სელიმი გამდიდრებულა,— ხუმრობით შენიშნა ასამმა, — თორემ აბა ყავას როგორ შემოგვთავაზებდა, როცა გასულ თვესთან შედარებით ყავა ექვსჯერ გაძვირდა.

კვლავ გულიანად გაიცინეს.

— მადლობთ, სელიმ. ყავას ჩვენ შემდეგ შენს ქორწილში გეახლებით.

— ყოველი თქვენგანის ქორწილში, შვილებო, — ჩაურთო სიტყვა სელიმის დედამ, — მაგრამ, ღრეობა თქვენთან კი არა, — იქ არის, — და ემირის სასახლეზე მიუთითა.

— მაშ ასე, რა გადაწყვიტეთ? — მიმართა ყველას სელიმმა.

— მე მომხრე ვარ, — დაბეჯითებით თქვა ქემალმა, — რომ გაფიცვა გამოვაცხადოთ.

— მეც, — კვერი დაუკრა სელიმმა.

— ქემალი ყველაფერში სიფიცხეს იჩენს, — თქვა ჰამიტმა. — რას გვარგებს აჩქარება?

— რაკი გაფიცვის მომხრე ყველა არ არის, მაშინ ერთხელ კიდევ შევამოწმოთ მთავრობა, — ყოყმანით ჩაილაპარაკა ჯამილმა.

— შენ გავიწყდება ანდაზა: ვინც შემოწმებულს ამოწმებს, მას თავი ცარიელი აქვს.

ახალგაზრდა ქალის ამ შენიშვნაზე სელიმმა უპასუხა:

— არაფერი დაშავდება, თუ უკანასკნელად

კიდევ შევამოწმებთ მთავრობას. როგორც მასპინძელს, წინადადება შემომაქვს, დელეგაციის შემადგენლობაში ავირჩიოთ ჯამილი, ჰამიდი და მალიქი.

— და შენ.

— კეთილი, ხვალ დილით ათ საათზე, მთავრობის სასახლის შესასვლელთან შევხვდეთ ერთმანეთს.

## 4

ანტარის გაანჩხლებულმა ყეფამ შეკრებილთ ამცნო, რომ ამ განცალკევებულ სახლს დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ. როგორც კი ერთგულმა მცველმა ფეხის ხმას მოჰკრა ყური, უმალ ღრინვა, თათებით მიწის ფხოჭნა და ხმამაღალი ყეფა დაიწყო. ანტარი ხტოდა და სახლს ღრინვით გარს უვლიდა, თითქოს იცოდა, რომ უცხონი ბოროტი განზრახვით იყვნენ მოსულნი. სელიმის დედა ამბის გასაგებად გავიდა, დაინახა, რომ ანტარი ოთხ პოლიციელს უყეფდა, და უმალ შებრუნდა ოთახში, რათა სტუმრები გაეფრთხილებინა. შემდეგ ძაღლს დაუძახა და დატუქსა. მაგრამ, ანტარი გრძნობდა, რომ პოლიციელნი სასიკეთოდ არ იყვნენ მოსულნი და როცა ერთ-ერთმა პოლიციელმა ჩაწიხლა ძაღლი, იგი თავდამსხმელს ფეხში ეცა და უკბინა.

რამოდენიმე ხანს ანტარი თავგამოდებით ებრძოდა პოლიციელებს, ცდილობდა არ შეეშვა ისინი სახლში. ვისაც ჰგონია, ცხოველებს გონიერება,

გრძნობა და ერთგულება არ გააჩნიაო, ამ გააფთრებული შებრძოლების მნახველი, უმალ მიხვდებოდა თავის შეცდომას. ერთგულ ძაღლს უნდოდა დაეცვა ადამიანები, რომლებთანაც ერთად მრავალი წელი დაჰყო. მაგრამ, შებრძოლება ანტარის მოკვლით დასრულდა: ზედიზედ ტყვია დაახალეს მას.

სელიმის დედას თავზარი დაეცა, წყევლაკრულვით მიმართა ოთხ „მამაცს“, რომლებმაც სიცოცხლე მოუსწრაფეს მის საყვარელ ძაღლს. პოლიციელები ყურადღებას აღარ აქცევდნენ ქალის წყევლას. დედაკაცის, განსაკუთრებით კი მოხუცის, ცრემლები არავითარ გავლენას არ ახდენდა მათზე. პოლიციელებმა მიაშურეს ოთახს, სადაც სელიმი და მისი ამხანაგები იმყოფებოდნენ.

ოთახში რაზმის მეთაური შევიდა და განაცხადა, რომ მას აქვს ზუსტი ცნობები, თითქოს მუშები შეკრებილიყვნენ სახელმწიფოს უშიშროებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობად. თუმცა იგი ამაოდ ეძებდა რაიმე საბუთს, რომელიც გაამართლებდა პოლიციელთა მოულოდნელ შეჭრას სელიმის სახლში, — სელიმის ამხანაგები აქ ხომ მხოლოდ იმისათვის შეიკრიბნენ, რომ მოეთათბირებინათ თუ როგორ დაეცვათ მეწარმის შემოტევისაგან თავისი სასიცოცხლო ინტერესები.

პოლიციას აუგად როდი მიაჩნია, როდესაც ფინანსისტი, ვაჭარი და ან რომელიმე მეწარმე

საქმოსანი მოგებათა ზრდისა და ვაჭრობის გაფართოვების მიზნით სხდომებსა და თათბირებს მართავს. პოლიციას არც ის ჭორები აწუხებდა, რომელიც ხალხში შიშსა და ძრწოლვას იწვევდა.

მაგრამ იგივე პოლიციამ საშიშრად მიიჩნია უბრალო ადამიანთა შეკრება, თუმცა ისინი მარტოოდენ იმისათვის შეკრებილიყვხენ, რომ ბედის უკუღმართობის შემთხვევაში მცირედ მაინც უზრუნველეყოთ თავიანთი ოჯახები.

მუშები სახტად დარჩნენ, როცა პოლიციელთა რაზმის უფროსმა განუცხადა, რომ მას ხელთა აქვს ბრძანება მათი დაპატიმრების შესახებ. ვერ გაეგოთ, რა ჩაიდინეს კანონიერების საწინააღმდეგო. მშვიდად დანებდნენ პოლიციას, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როგორც კი ხელისუფალნი გაარკვევდნენ მათი შეკრების მიზანს, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებდნენ.

როდესაც მუშებს ხელებს ხუნდებით უკრავდნენ, სელმა წინ წამოდგა, ბრძანება დაპატიმრების შესახებ მასზე არ ვრცელდებოდა. თავგანწირული სიმამაცით მიმართა სელმამ პოლიციელებს:

— მეხი დაგაყარეთ! ისეთი რა ჩაიდინეს ჩემმა მეგობრებმა! ისინი არც ქურდები არიან, არც ბოროტმოქმედნი და არც კაცის მკვლელნი; არც სახალხო პურით ეწევიან სპეკულაციას. მაშ, სადა გაქვთ სინდისი თქვენცა და თქვენს უფროსებსაც? არ გესმით, რომ უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმ-

რებით, თქვენ სასიკვდილოდ სწირავთ მათ ცოლებს, დედებსა და ბავშვებს?

სელიმის დედამ გულში ჩაიხუტა ვაჟი. სელმა დაემშვიდობა თავის ამხანაგებს, შემდეგ მიუახლოვდა მოხუც დიასახლისს და უთხრა:

— ნუ სტირი, დედი, ვიდრე სელიმი დაბრუნდება, შენს ქალიშვილად მიგულე. ახლა ნება მომეცი, ქემალთან წავიდე, რომ მცირე ხანი დავყო მის საბრალო დედასა და დასთან. ხვალ კი მოვალ და შეგატყობინებ, რა გავაკეთეთ ამხანაგების დასახსნელად. მჯერა, რომ ეს შავი ღრუბელი მალე გაიფანტება.

— ამაღამ მარტო ვერ დავიძინებ. ჩემი ვაჟი დააპატიმრეს, ხოლო ჩემი ერთგული ანტარი მოკლეს. როგორა გგონია, ეცოდინება რამე უბნის ზედამხედველს? მასთან წავალ, ეგების მირჩიოს როგორ მოვიქცე.

— თავს მოუარე, დედი, ეს საზრუნავი მე მომანდე.

— დაგლოცოს ღმერთმა, ჩემო სელმა.

## 5

ღამის პირველ საათზე სამირას ფრთხილი კაკუნი მოესმა კარზე. ეგონა ქემალი აკაკუნებსო და სწრაფად გაეშურა კარისაკენ. მაგრამ, კართან სელმა იდგა. სელმა მოვიდა სელიმ ალ-კაბისის ბინიდან, რომ შეეტყობინებინა ყოველივე, რაც ქემალსა და მის ამხანაგებს შეემთხვათ. გულწასული

დედა მოკვეთილივით ჩაიკეცა. სელმა მივარდა, ცივი წყალი აპკურა.

ტირილისა და მოთქმის ხმაზე მეზობლებმა მოიყარეს თავი, მაგრამ, აბა რით შეეძლოთ დახმარება? სელმას ერთი ნაცნობი ექიმი ეგულებოდა, უმალ მასთან გაეშურა, უამბო, რაც მოხდა და შეევედრა დახმარება აღმოეჩინა საბრალო მოხუცი ქალისათვის.

ექიმმა გულთან ახლო მიიტანა მომხდარი ამბავი. წლების მანძილზე ხედავდა გაპარტახებული ოჯახების აუწერელ სიღატაკეს. უაღრესი გაჭირვება თანაგრძნობით ავსებდა მათ გულს, ვისაც შერჩა უნარი სხვისი უბედურება გაეზიარებინა, ვინც გამოძალვისა და სიხარბის სწრაფვას ჯერ კიდევ არ გამოეფიტა. სწორედ ამგვარი, კაცთმოყვარე გული ჰქონდა ექიმ ქერიმს.

აღარ დაუყოვნებია, საჩქაროდ შეტრიალდა თავის კაბინეტში, ჩაილაგა საჭირო ხელსაწყოები და გაჰყვა. როგორც კი ქემალის ბინის კარი შეაღო, პატარა ჩემოდნიდან სასწრაფოდ ამოალაგა წამლები, ყველაზე ძვირი წამლებიც არ დაუშურებია. მოხუც ავადმყოფთან ექიმმა დილამდე დაყო, დილით ქემალის დედამ ოდნავ იბრუნა პირი სიცოცხლისაკენ. მოხუცს მარცხენა კიდურზე დამბლა დასცემოდა და მეტყველების უნარი წართმეოდა.

ორივე ქალიშვილმა ექიმს შეხედა იმის მოლოდინში, თუ რას იტყოდა იგი. იყო თუ არა

რაიმე იმედი ავადმყოფის მალე გამოჯანსაღებისა? მაგრამ ექიმმა ვერაფერი თქვა, ჩვეულებრივი გამამხნევებელი სიტყვების გარდა. წასვლისას იგი ქალიშვილებს დაპირდა, რომ დღისით კვლავ მივიდოდა და დაუბარა ავადმყოფისათვის შუბლზე ყინულის ცივი კომპრესი დაედოთ.

როცა სამირა ჩაბღუჯული რამოდენიმე ასიგნაციით მიუახლოვდა ექიმს, რომ მისთვის გასამრჯელო გადაეხადა, ექიმმა სიბრალულის ნიშნობით რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა მას ყურში — უარი თქვა ფულის აღებაზე.

სამირა მწარედ აქვითინდა. ხოლო სელმა მას ანუგეშებდა:

— ცრემლით დედაშენს ვერ განკურნავ, ჩემო ძვირფასო სამირა. ნუ ტირი, გამხნევდი და საბრალო დედას მიხედე. ქემალის დარდი ნუ გექნება. მისი საქმე — ჩვენი, ყველა მშრომელის, საქმეა. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ჩაგვრის უღელი, ჩვენი მტრები ვერასოდეს ვერ დასძლევენ სიმართლეს. იძულებული ვარ, ახლა დაგტოვოთ და ამხანაგებთან ერთად შევეცადოთ, მივაღწიოთ ქემალისა და მისი მეგობრების განთავისუფლებას. საჩივრით მივმართავთ მთავრობას, ეგების მოწყალების თვალით შემოგვხედონ, ხოლო თუ მათ გულში ვერ ვპოვებთ თანაგრძნობას, მივმართავთ მართლმსაჯულებას.

— სელმა, ღარიბ-ღატაკნი მართლმსაჯულებას ვერ დაენდობიან.

— მაშინ ბრძოლის გზას დავადგებით.

— ღმერთო, შეგვიწყალე, გადამირჩინე დედა. დამიბრუნე ძმა!

სელმამ სნეული მოხუცი გადაკოცნა. შემდეგ სამირას გამოემშვიდობა.

სამირა ისევ ძმაზე ფიქრობდა:

ექიმი ქერიმი შინ დაბნეული და გულჩათხრობილი დაბრუნდა. როდესაც მისმა ცოლმა ჯამალამ ჰკითხა, რა რატომ წავიდა ასე საჩქაროდ გამოძახებაზე, ქერიმს სახე მოეღრუბლა. დაწვრილებით მოუთხრო მეუღლეს საბრალო მეზობლის უბედურების ამბავი. იგი დიდი ხანია იცნობდა ავადმყოფს, მის უღიმღამო ცხოვრებას. ცოლმა საუზმეზე მიიწვია იგი, მაგრამ ქერიმმა უარი თქვა. ჯამალა ეხვეწებოდა, ერთი ჭიქა რძე მაინც დალიეო.

— არ მინდა, ჩემო ძვირფასო. ნეტავ მალე დასრულდებოდეს ეს დღე. გული მიგრძნობს, რომ დღეს უბედურება დატრიალდება. შესაძლოა, ქემალის კეთილმა და პატიოსანმა დედამ ხვალამდე ვეღარ გაძლოს. ანდა რა დააშავა მისმა ვაჟმა ისეთი, რომ ციხეში უკრეს თავი? როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს?

— მართლაცდა, რისთვის ჩასვეს ციხეში ქემალი?

— მხოლოდ იმისთვის, რომ ქემალს და მის ამხანაგებს სურდათ დაეცვათ სამართლიანობა, და თათბირი გამართეს, რათა გადაეწყვიტათ, რო-

გორ მოქცეულიყვნენ სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში.

— ნუთუ მხოლოდ ამისთვის?!

— დიახ, პოლიციამ მუშებს დააბრალა, ვითომც ისინი შეთქმულებას აწყობდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

— შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა ჩვენი წესწყობილება ისე დაძაბუნდა, რომ ქემალსა და მის მეგობრებს შეუძლიათ მისი შეცვლა?

— ჩემო ჯამალა, მთავრობა ირწმუნება, რომ მუშების ყოველგვარი შეკრება კომუნისტთა შეთქმულებას წარმოადგენს. ამ საბაბით შენიღბული მთავრობა ყოველნაირად ავიწროებს ღარიბ-ღატაკებს. ამავე დროს იგივე გარემოება ხელს უწყობს მათ, ვინც ხალხს ყვლეფს, ძარცვავს და აშიმშილებს. ძვირფასო, ეს ყინულის კომპრესი სამირას წაუღე და უთხარი, რომ მეც მალე მოვალ.

— დამშვიდდი, ჩემო კარგო. რათ გინდოდა ნეტავი ექიმობა? ექიმებს ქვის გული უნდა ჰქონდეთ. ყოველდღიურად თქვენ ადამიანთა ტანჯვა-წამების მოწმენი ხართ. ნუთუ დღემდე ვერ შეეჩვიე ამ საავალალო მდგომარეობას.

— ღმერთს გეფიცები, ჩვენს ვაჟს ნებას არ მივცემ, ექიმი გახდეს, არა მსურს, რომ იგივე განიცადოს, რასაც მე განვიცდი.

ოთახში მოახლე შემოვიდა.

— ბატონო ჩემო, თქვენ დაბეჯითებით გკით-

ხულობთ ვიღაც ქალიშვილი. მას ხელიდან სისხლი მოსთქრიალებს.

ექიმი თავის კაბინეტში შევიდა და სელმა დაინახა. მას სახე ტკივილებისაგან დამანჭოდა და დაჭრილ მარცხენა ხელს მარჯვენათი იმაგრებდა. სელმას ექიმი პატივისცემით ეპყრობოდა, მუდამ თანაუგრძნობდა და ჭკვიანი, შრომისმოყვარე სელმა ყოველთვის სანიმუშოდ მიაჩნდა.

— რა დაგემართა, სელმა?

— ბრმა ტყვიამ დამჭრა... დამეხმარეთ, ექიმო!

— ბრმა ტყვიამ? კი მაგრამ, ვინ გესროლა?

— ჩემზე ნუ სწუხართ, ექიმო. მითხარით საშიში ხომ არ არის ქემალის დედის მდგომარეობა?

— ახლა ქემალის დედაზე საუბრის დრო არ არის. მითხარი, ვინ დაგჭრა? მომეცი ხელი. ვიდრე ჭრილობას შეგიხვევდე, მიამბე, რა შეგემთხვა!

— როგორც იცით, პოლიციელებმა საპატიმროში უკრეს თავი ქემალსა და მის ამხანაგებს. დილაადრიან ფაბრიკისაკენ გავეშურე. ფაბრიკის წინ მუშებს მოეყარათ თავი. ისინი უარს ამბობდნენ დაეწყოთ მუშაობა, ვიდრე დაპატიმრებულებს არ გამოუშვებდნენ. ფაბრიკის პატრონმა პოლიციას გამოუძახა. პოლიციელთა რაზმის უფროსი ფაბრიკის პატრონს ეთათბირა და არც კი უცდია მუშების დაშოშმინება. პირიქით, მუქარით შეუტია მათ და მუშაობის დაწყება უბრძანა. ხალხმა. მართლმსაჯულება მოითხოვა. მაშინ რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა სროლა აეტეხათ. ათი კაცი

დაიჭრა, მათ შორის მეც. ხოლო აჰმადი... საბრალო აჰმადი, ტყვია პირდაპირ საფეთქელში მოხვდა. ხვალ ისინი განაცხადებენ, რომ პოლიციელებმა ჰაერში ისროლეს ხალხის დასაშინებლად, შესაძლოა ისიცა თქვან, ვითომდა სროლა მუშებმა დაიწყეს. ხალხის დახვრეტის შემდეგ პოლიციამ ოცდაათი კაცი გაირეკა წინ. მე აქეთ გამოვიქეცი, იმისათვის კი არა, რომ ჭრილობა მხოლოდ მე შემიხვიოთ, გთხოვთ, დანარჩენ დაჭრილებსაც აღმოუჩინოთ დახმარება. ეგების თქვენ მოელაპარაკოთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ნება დაგვრთონ, აჰმადის გვამი წავიღოთ!

ექიმი ჭრილობის შეხვევით იყო გართული. სელმა კი მშვიდად განაგრძნობდა თხრობას, თითქოს მას არაფერი შემთხვეოდა. როგორც კი მკლავი შეუხვია, ორივემ იმ მოედანს მიაშურა, სადაც აჰმადის გვამი იყო მიწაზე განრთხმული. არც ერთი დაჭრილი იქ აღარ ჩანდა. ზოგი საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო ზოგმა ტკივილებს სძლია და შინ წავიდა, ან ახლომახლო შეაფარა თავი.

— შეხედეთ აჰმადს, ექიმო, ამ უპატიოსნეს კაცს. იგი დღედაღამეს ასწორებდა მუშაობაში, რომ დედა, ცოლი და ორი შვილი გამოეკვება.

სელმამ აჰმადის გვამთან დაიჩოქა და ცივ შუბლზე ეამბორა. მერე უეცრივ მოსცილდა იქაურობას. ექიმი მარტო დარჩა მოკლულთან.

და აი, აჰმადის გვამი ანატომიურ კაბინეტში მაგიდაზე ასვენია. ექიმმა მას თავის ქალა ახადა,

რათა ამოეღო ტყვია და დაედგინა, მართლა ტყვიამ მოკლა იგი, თუ სხვა რამემ! მედიცინა შეურიგებელ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა იმ მოთხოვნასთან, რომელიც მთავრობამ ექიმს წაუყენა. ეს ექიმი სახელმწიფო მოხელე იყო და მის გულში ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს: პირადი ინტერესები და პროფესიული ვალდებულება. ასეთია ურთიერთ საწინააღმდეგო ფაქტები, რომელშიც ხშირად ემწყვდევიან ექიმები! ამბის გასაგებად საავადმყოფოს გარეთ დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. გულსაკლავად ქვითინებდა აჰმადის დედა, შველას თხოულობდა. მიცვალებულის მეგობრები გვამს თხოულობდნენ. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, გაერეკა აღელვებული ხალხი, მაგრამ ხალხი მატულობდა და მატულობდა. მოსულნი ხმაურობდნენ და მოითხოვდნენ:

— მოგვეცით გვამი! განა არ ,ქმარა, რომ მოკალით აჰმადი? ცოცხალი წაგვართვით და ახლა მკვდრის წართმევაც გსურთ?

ბოლოს და ბოლოს პოლიციელებმა გამოიტანეს აჰმადის გვამი. თურმე ნუ იტყვი, ექიმი დარწმუნებული არ იყო, რომ ტყვიამ მოუსწრაფა მას სიცოცხლე. ამგვარად, ექიმის ცრუ პირფერობას უნდა დაეფარა ხელისუფალთა პირსისხლიანი თვითნებობა.

ანატომიურ კაბინეტთან პოლიციელებს მუშები დაეძგერნენ, წაართვეს მათ აჰმადის გვამი და ხელში აიტაცეს იგი.

სასაფლაოსკენ მიმავალ პროცესიას გზადაგზა ახალი ჯგუფები უერთდებოდა. სახლის აივნებიდან კუბოს ყვავილებს აყრიდნენ. ასეთი გრანდიოზული დემონსტრაცია ქალაქს არასოდეს არ მოსწრებია.

## 6

მას შემდეგ, რაც სადიყ-ბეგმა მინისტრობა მიიღო, მუდმივ ისეთი მოხერხებული შემთხვევის მოლოდინში იყო, რომელიც საშუალებას მისცემდა თავისი ადმინისტრაციული უნარი და ნაბოძები ძალაუფლება გამოევლინებინა.

ორმოცი წლის სადიყ-ბეგი მდიდარი ოჯახიშვილი იყო. დიდი კაპიტალის, მოხერხებულობის და პოლიტიკური მაქინაციების წყალობით სადიყ-ბეგის მამამ თვალსაჩინო მდგომარეობას მიაღწია. იგი ჩახლართული ინტრიგების ოსტატი იყო; ჯერ ერთმანეთს წაჰკიდებდა ორ ადამიანს. შემდეგ მათ შერიგებას იწყებდა და ამ გზით იმორჩილებდა ორივეს. ნასწავლსა და განათლებულ ვაჟიშვილს უზომო ქედმაღლობა დაჰყვა მამისაგან. მინისტრის თანამდებობის მიღებით მის წინაშე შემდგომი დაწინაურების ფართო გზა გადაიშალა.

სადიყ-ბეგს ძალიან უყვარდა სხვადასხვაგვარი განცხადებებით გამოსვლა. ყოველდღე პრესკონფერენციას მართავდა. სადიყ-ბეგის კაპიტალს შეადგენდნენ: კარგი ჯანმრთელობა, მჭევრმეტყველ-

ლება, უმაღლესი განათლების დიპლომი, თვალსაჩინო ადგილი ბურჟუაზიისა და უცხოელთა წრეებში, და ბოლოს, როგორც ზევით ვთქვით, დიდი კაპიტალი, რომლის საშუალებით მას შეეძლო მრავალი მომხრე მოესყიდა. მისი სახლი მუდამ მლიქვნელი და სახლის პატრონის ნიჭით აღფრთოვანებული ხალხით იყო სავსე. ყოველთვის, როგორც კი ახლადგამომცხვარ მინისტრს რომელიმე დელეგაცია ეწვეოდა, სადიყ-ბეგი უმალ ორატორის პოზას მიიღებდა ხოლმე, რაც მოჯადოებულ დამსწრეთა ოვაციებს იწვევდა. ეს კი უფრო მეტად ზრდიდა მის სიამაყესა და ქედმაღლობას. მთავრობის შემადგენლობაში სადიყ-ბეგი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იყო, — თვით პრემიერ მინისტრიც არ სარგებლობდა მსგავსი პრივილეგიით.

მომხდარი გაფიცვა და დემონსტრაცია სადიყ-ბეგმა მოხერხებულ შემთხვევათ მიიჩნია ესოდენ სანატრელი ჭეშმარიტი დიდების მისაღწევად. თავისი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მან უმოკლესი, თუმც არცთუ საუკეთესო გზა აირჩია. ჯერ კიდევ მინისტრის თანამდებობის მიღებისას სადიყ-ბეგმა დაიფიცა, რომ სრული სიმტკიცით დაიცავდა და სახელმწიფოში ჭეშმარიტ წესრიგს დაამყარებდა. რომ შეასრულებდა თავის ვალდებულებას — მკაცრი და გადამწყვეტი ზომებით, მალე აღადგენდა სიმშვიდეს. მინისტრის წინაშე ურთიერთისადმი ორი მტრულად განწყო-

ბილი ბანაკი იყო — მუშები და მეწარმენი, — ცხადია, სადიყ-ბეგი მუშების წინააღმდეგი იყო. ჯერ ერთი თვითონ ეკუთვნოდა მეწარმეთა ბანაკს, და გარდა ამისა, მუშებზე თავდასხმა მისთვის სანატრელიც იყო. შეშფოთებას ხელისუფლებაში სწორედ მუშები იწვევდნენ. ხოლო, მთავრობისა თუ უცხოელთა მრავალნაირი პროპაგანდაც მშრომელთა ბანაკის წინააღმდეგ იყო გამიზნული.

როგორც კი სადიყ-ბეგმა დემონსტრაციის შესახებ ცნობა მიიღო, განკარგულება გასცა სასტიკი ზომები მიეღოთ დემონსტრანტების წინააღმდეგ. იგი წამითაც არ შეყოყმანებულა, როდესაც პოლიციას უბრძანა გაფიცულთათვის სროლა აეტეხათ.

იმ საღამოს მთავრობის მეთაურმა შექმნილი მდგომარეობის განსახილველად მინისტრთა საბჭოს სხდომა მოიწვია. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე წასვლა სადიყ-ბეგმა მხოლოდ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ გადასწყვიტა. მას უნდოდა გამოერკვია თუ საზოგადოებრივ აზრზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მომხდარმა ამბებმა და აეძულებინა ჟურნალისტები, მხარი დაეჭირათ მისი მკაცრი პოზიციისათვის.

— დღევანდელი მშფოთვარე ამბების შემდეგ პირველ ყოვლისა მე თქვენთან გასაუბრება მსურდა; გთხოვთ პრესაში დემონსტრაციასთან დაკავშირებული ამბები, თქვენთვის ჩვეული ხერხით და გულწრფელი პატრიოტიზმის პოზიციებით განმარ-

ტოთ. ეჭვი არ არის, რომ თქვენ, ისევე, როგორც მთავრობა, სინანულს გამოთქვამთ იმ მსხვერპ-ლის გამო, რომელიც მოჰყვა ამ სავალალო ამ-ბებს და რომლის მთელი პასუხისმგებლობა დე-მონასტრებს ეკისრებათ. მუშები გაიფიცნენ, მათ უდიერად დაარღვიეს წესრიგი, მათი გამოსვ-ლა მოკლებულია ეროვნული ინტერესების დაცვას. მთავრობას არ შეუძლია, გულგრილად მოეკიდოს ამ გარემოებას. ჩვენ ყველა ადამიანს ვაძლევთ საშუალებას, გამოიყენოს თავისი უფლებანი, მაგ-რამ არავის მივცემთ ძალადობის ნებას. მას შემ-დეგ, რაც მინისტრის პორტფელი მივიღე, კომ-პეტენტურ პირებთან ერთად, დაწვრილებით ვეც-ნობი მუშების მოთხოვნილებებს. მაგრამ მუშები არ დაელოდნენ, რომ მთავრობას სამართლიანად განეხილა მათი პრეტენზიები. ჩვენ ყოველნაირად ვიცავთ წესრიგსა და კანონიერებას, თუმცა, გვა-იძულებენ მკაცრ ზომებს მივმართოთ. ჩვენ უაღ-რეს პატივსა ვცემთ და ვაფასებთ პრესის ღირსე-ბას. ამიტომ, იმედი გვაქვს, დაგვეხმარებით მშვი-დობის აღდგენაში, დაარწმუნებთ მოსახლეობას, რომ საყოველთაო სახალხო კეთილდღეობის და-სამყარებლად მთავრობა შესძლებს გამოძებნოს საშუალებანი. ვიმედოვნებ, სწორედ წარმართავთ საზოგადოებრივ აზრს, რათა დემონსტრანტთა მითქმა-მოთქმას არავინ აჰყვეს...

ტელეფონის წკარუნმა უბოდიშოდ შეაწყვეტინა სიტყვა მაღალი თანამდებობის ორატორს.

— ალო! ალო! გისმენთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო!.. დიახ! ჩემთან არიან ჩემი მეგობარი ჟურნალისტები. ნება მომეცით თხუთმეტი წუთით შევიგვიანო, — წარმოთქვა სადიყ-ბეგმა და ყურმილი დადო.

— ბატონო მინისტრო, ჩვენ შესანიშნავად გაეერკვიეთ შექმნილ ვითარებაში, — განაცხადა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა. — მაგრამ, საზოგადოება აღელვებულია. მთავრობამ აუცილებლივ უნდა მიმართოს რაიმე ღონისძიებას, რომელიც დაძაბულ ატმოსფეროს შეარბილებს.

— საზოგადოებრივი აზრი? რასაც თქვენ საზოგადოებრივ აზრს უწოდებთ, თქვენსავე ხელთ არის. ამიტომ ნუ გაშინებთ ეგ ცრუ საფრთხობელა!

— ეგების ჯობდეს ეარაღის ხმარებაზე უარის თქმა? მეტად დაძაბული ვითარებაა და ვშიშობთ თქვენი დავალების შესრულება. არცთუ ისე იოლი საქმე იქნება.

— მაგრამ იგი არც ისე რთულია. მთავრობა გაძლევთ ყოველივეს, რაც თქვენთვის საჭიროა. ჩემს სიტყვებზე მე ვაგებ პასუხს.

— ამბობენ, დემონსტრანტებს იარაღი არ გააჩნდათო.

— ეგ საქმის გამოძიებისას გაირკვევა. ხოლო, ამ გამოძიების შედეგს ჩვენ ოფიციალურად გამოვაქვეყნებთ.

— განა მუშებს მთავრობისათვის თავისი მოთხოვნილებებით დღემდე არ მიუმართავთ?

— მოგვმართეს ორი თვის წინათ და, როგორც უკვე ვთქვით, მათ საჩივარს ჩვენ სათანადო ყურადღება მივაქციეთ. თქვენ როგორა ფიქრობთ, მუშების პრეტენზიების გარდა სამინისტროს სხვა საქმეები არა აქვს? ანდა რა მოხდებოდა, მუშებს რომ დაეცადათ ამ საკითხის განხილვამდე?

— მოლოდინში ბევრი მათგანი შიმშილსა და სნეულებას გადაჰყვებოდა, ბატონო მინისტრო.

— თქვენ, ჩემო მეგობარო მაჯიდ, ყოველთვის ილაშქრებთ ჩვენს წინააღმდეგ! თქვენი გაზეთის „ელვას“ ყოველი ნომერი მხარს უჭერს მუშების თვითნებობას და უსაყვედურებს მთავრობას.

— მართალი არ არის, ბატონო მინისტრო. თუ სიტყვა „თვითნებობას“ შევცვლით „მოთხოვნილებით“, ჭეშმარიტებას უფრო დავუახლოვდებით. მუშები მხოლოდ იმას მოითხოვენ, რაც მათთვის და მათი ოჯახის არსებობისათვის აუცილებელია. მუშები, მოგეხსენებათ — სამშობლოს საყრდენს წარმოადგენენ.

— ისინი შფოთისთავები არიან.

— არ შეიძლება შფოთისთავი უწოდოთ მას, ვინც თავის უფლებას იცავს.

— ხეპრე და გაუნათლებელი ადამიანების ეგ ხროვა სრულებითაც არ იმსახურებს იმგვარ ენთუზიაზმს, რომელსაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ავლენთ, მაჯიდ. ჩვენი აზრით კი თქვენ მათზე გაცილებით მაღლა დგახართ.

— ცდებით, ბატონო მინისტრო. მე სრულია-

დაც არა ვდგავართ მათზე მაღლა. ხოლო თუ ადამიანის ღირსება მისი შრომითა და ჯაფით განისაზღვრება, მაშინ ისინი ჩემზე გაცილებით მაღლა დგანან.

კვლავ გაისმა ტელეფონის წკარუნი. კვლავ მინისტრს სთხოვეს.

7

— მაპატიეთ, მეგობრებო. იძულებული ვარ დაგტოვოთ და მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გავეშურო. ჩემი კანცელარიის უფროსი მოგაწვდით საჭირო ცნობებს. მე განკარგულება გავეცი, რომ მან ყოველნაირი თხოვნა შეგისრულოთ.

წასვლისას სადიუ-ბეგმა კანცელარიის უფროსს საიდუმლოდ უბრძანა შექმნილი ვითარების ყველა საკითხი შესაფერისად მოეწესრიგებინა გაზეთების მფლობელებთან და გააფრთხილა იგი, რომ გაზეთ „ელვას“ რედაქტორთან განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა არის საჭირო, ხოლო თუ საგანგებო ვითარება მოითხოვს, შესაძლოა რაიმე საბაბით შეჩერდეს კიდეც სამიოდე დღით გაზეთი („ელვას“ გამოსვლა), ვიდრე მღელვარება მიწყნარდება.

ღამით ქალაქში დაძაბული მდგომარეობა იყო. საწარმოს მუშები გაიფიცნენ. სტუდენტებმა ლექციებზე დასწრებაზე უარი განაცხადეს.

მორწმუნენი ტაძართა შესასვლელთან იკრიბებოდნენ და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს მართავდნენ. მთავრობის მიერ მიღე-

ბული ზომების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ბაზრებიც დაიხურა. ქალაქში მოძრაობა შეჩერდა, რადგან საქალაქო ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურენი გაიფიცნენ. სახლების კედლები აჭრელებული იყო ლოზუნგებით, რომელნიც გაფიცვისა, დემონსტრაციისა და პროტესტისაკენ მოუწოდებდნენ.

საღამოსათვის მოწვეული მინისტრთა საბჭოს თათბირი ხმაურიანი და ხანგრძლივი იყო. ყველაზე მეტად სადიყ-ბეგი ჯიუტობდა.

— ვაფრთხილებ მინისტრთა საბჭოს, რომ არავითარ შემთხვევაში არაფერი დაუთმოს გაფიცულებს. მათ სურთ დაამხონ მთავრობა, დანერგონ ანარქია და შეარყიონ სტაბილური მდგომარეობა. თუ ჩვენ ამჯერად მათ დავუთმობთ, მუშები მომავალშიაც გაილაშქრებენ მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ მათ გამანადგურებელი დარტყმა უნდა ვაგემოთ, რომ თავისი ადგილი იცოდნენ. ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მისი დოვლათის შენარჩუნება. თუ მუშები არ შეწყვეტენ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებას, მაშინ მეწარმეთა წინააღმდეგ მათი გამოსვლები ძირს გამოუთხრის ჩვენს ეკონომიურსა და პოლიტიკურ ძლიერებას. ჩვენთვის აუცილებელია სტაბილური, მყარი მდგომარეობა, რომ მეგობრულ სახელმწიფოთა ნდობა შევინარჩუნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უარს იტყვიან გაგვიწიონ ეკონომიური,

ტექნიკური და სამხედრო დახმარება. ჩვენ, ბატონებო, გზაჯვარედინზე ვდგავართ: ან შევინარჩუნებთ ხელმძღვანელ მდგომარეობას და, ამასთან ერთად, უცხოურ სახელმწიფოთა ნდობას, ანდა უძლურნი აღმოვჩნდებით მივიღოთ გადამჭრელი ზომები ანარქიისა და არეულობის წინააღმდეგ; მაშინ მმართველობის სადავეები მუშების ხელში გადავა. ამიტომ სწორედ ჩვენა ვართ ჩვენი ქვეყნისა და მისი დამოუკიდებლობისათვის პასუხისმგებელნი.

— მართალია ჩვენი კოლეგა სადიყ-ბეგი! მაგრამ, ამჟამად ვითარება იმგვარი როდია, რომ სასტიკ ზომებს მივმართოთ. საზოგადოებრივობა ახლა აღელვებულია და ჩვენი უკიდურესი სისასტიკე მღელვარებას მხოლოდ უფრო გაზრდის. გვაქვს კი უფლება, დავივიწყოთ ხალხის მძვინვარება. რომელიც აშკარად გამოვლინდა მოკლული მუშის დაკრძალვისას და უფრო მეტად გაიზრდება რომელიმე დაჭრილი მუშის სიკვდილის შემთხვევაში. მთავრობას ისედაც საკმაო სიძნელეების გადალახვა უხდება. ჩემი აზრით, ჩვენთვის უკეთესი იქნება შეძლებისამებრ ეს საქმე მივაფუჩეჩოთ და სადიყ-ბეგის წინადადების განსახორციელებლად უფრო შესაფერის მომენტს დაველოდოთ.

— მეც სავსებით ვეთანხმები სადიყ-ბეგის აზრს. მაგრამ საქმეების მოწესრიგება ფრთხილად და კეთილგონივრულად გვმართებს, რათა ოპო-

ზიციას გზა დავუხშოთ. ხელისუფლების შენარჩუ-
ნება — ეროვნული მოვალეობა არის და ამის გა-
მო ზოგი რამ უნდა დავთმოთ.

— ყოველივე ის, რაც აქ ითქვა, — წამოიწყო
სიტყვა მთავრობის თავმჯდომარემ, — ნათელს
ხდის რომ უმრავლესობა მხარს უჭერს პრობლე-
მის გადაწყვეტის უკეთეს საშუალებას. ჩვენი გა-
დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო მართვას
ხელთ იგდებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ჩვენ კი,
მოშურნეთა და უკმაყოფილოთა განსჯისა და გა-
კილვის საგანი გავხდებით. თქვენ ჩემზე უკეთ მო-
გეხსენებათ, რომ ვის ხელშიაც არის სახელმწი-
ფოს მმართველობა, იგი ყოველთვის მართალია.
ჩვენი ვალია, მთავრობის კრიზისისაგან ვიხსნათ
ქვეყანა. ჩემს კოლეგას სადიყ-ბეგს მე ვთხოვდი,
სწორედ ამ თვალსაზრისით განეხილა საკითხი.

— ბატონო პრემიერ-მინისტრო, მე კვლავ ვი-
მეორებ ჩემ თვალსაზრისს, — ჯიუტად განაცხა-
და სადიყ-ბეგმა, — საზოგადოებრივ აზრს თქვენ
მეტისმეტად დაუშინებიხართ. თქვენ მას გაცილე-
ბით მეტ მნიშვნელობას ანიჭებთ, ვინემ იგი ამას
იმსახურებს. კარგად ვიცი, რა ფასი აქვს ჩვენს
ქვეყანაში საზოგადოებრივ აზრს. ვიდრე ამ თათ-
ბირზე მოვიდოდი, პრესის წარმომადგენელნი
მოვიწვიე და ყოველნაირად ვეცადე, გამეფანტა
მათი შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ჟურ-
ნალისტთა უმრავლესობა ჩემი მეგობრები არიან და

დავალებულნიც არიან ჩემგან. დარწმუნებული ვარ, რომ ერთის გამოკლებით, ყველანი გაამართლებენ ჩემს ნდობას. ამასთანავე სათანადო ზომები მივიღე, რომ ჩავაჩუმო ის ურცხვი ჟურნალისტიც, ვიდრე მღელვარება არ მიწყნარდება. ამას გარდა, თუკი მთავრობა დაუთმობს გაფიცულებს, ეგ იმის დამადასტურებელი იქნება, რომ მთავრობა არ იწონებს ჩემს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, ურომლისოდაც უაღრესად კატასტროფული ვითარება შეიქმნებოდა. ამ შემთხვევაში, ჩემი ღირსების შესანარჩუნებლად, იძულებული ვიქნები გადავსინჯო ჩემი პოზიცია.

— არა, სადიყ-ბეგ, ჩვენ ყველანი გეთანხმებით. მაგრამ ვითარება ფრთხილ და ელასტიურ პოლიტიკას მოითხოვს.

ვიდრე მინისტრები ყავას შეექცეოდნენ, სადიყ-ბეგს აფორიაქებული აზრები მოსვენებას არ აძლევდა.

„ჩემი მიზანი მუდამ მინისტრის პორტფელი იყო. ორი თვეა რაც ეს მაღალი თანამდებობა მიჭირავს და ძალაუფლებით ვტკბები. პოლიტიკური ძალაუფლების სრული მშვენება უკვე ვიგემე და უზრუნველვყავი ჩემი ინტერესები. ზოგიერთი უკვე მლიქვნელობს, ჩემთან კეთილგანწყობილებას ეძებს. ჩემი ცოლიც კი მას შემდეგ რაც მინისტრი გავხდი, შესამჩნევად შეიცვალა. მაგრამ ჩემი შემცვლელი დაუყოვნებლივ მოხსნის სუყველას, ვინც კი მე თანამდებობაზე დავნიშნე... მთავრო-

ბის წევრობა — შესანიშნავი რამ ყოფილა... მე ჯერ კიდევ არ გავმძღარვარ ჩემი ძალაუფლებით... კი, მაგრამ ყოველგვარ ანგარებაზე ძვირფასი ჩემი პირადი ღირსებაა. უნდა შევინარჩუნო ღირსება და გადავდგე, მაგრამ ეს რას მარგებს? შესაძლოა გადადგომის შემდეგ სულაც დამივიწყონ. ჩემი მდგომარეობა და ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული მინისტრის თანამდებობასთან... როგორც კი დავკარგავ ამ თანამდებობას, ყველა გეგმა ჩაშეფუშება. ჩემი მტრები გაიხარებენ... მაგრამ საკუთარი თავის ღირსება?.. თქმა არ უნდა, მას მხოლოდ მაშინ შევინარჩუნებ, თუ მინისტრად დავრჩები ისევ!..

— ჩვენი კოლეგა სადიყ-ბეგი საერთო აზრს ეთანხმება, ხომ ასეა?

— ჩემ თავს მე სამშობლოს სამსახურისათვის ვწირავ და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მზად ვარ მსხვერპლი გავიღო, რაკი თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს.

მინისტრებმა ქება შეასხეს სადიყ-ბეგს.

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საყოველთაო ინტერესების სადარაჯოზე მდგარმა მთავრობამ დაიწყო მომხდარი ამბების გამოძიება, რომ მას მტკიცედ ჰქონოდა გადაწყვეტილი გამოავლინოს ამ ამბებში დამნაშავე პიროვნებანი და პასუხი აგებინოს მათ. განცხადებაში ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ მთავრობამ გადაწყვიტა ყოველნაირ სა-

შუალებას მიმართოს უშიშროებისა და მყარი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, აგრეთვე უაღრესი ყურადღებითა და დაწვრილებით შეისწავლოს ყველა საშუალება მოქალაქეთა უფლებების უზრუნველსაყოფად. განცხადების ბოლოს მთავრობა პირობას იძლეოდა, გაეთავისუფლებინა ყველა დაპატიმრებული და როგორც კი აღდგენილი იქნებოდა ნორმალური ცხოვრება, დაუყოვნებლივ ეზრუნა დაჭრილებსა და მოკლული მუშის ოჯახზე.

## 8

როდესაც ციხეში დაპატიმრებულთა ახალი ჯგუფი მიიყვანეს, ტუსაღები ხმაურით მიესალმნენ მათ. დილით სროლის ხმა მოესმათ და ჩქარობდნენ გაეგოთ, რა მოხდა ქალაქში. ჩვეულებრივ, როდესაც ტუსაღები გრძნობენ, რომ ციხის კედლებს გარეთ რაიმე ბოროტმოქმედება იქნა ჩადენილი, ისინი ფილოსოფოსები და იურისტები ხდებიან. დაპატიმრებულთა შორის სელმას ყოფნა აშკარად მეტყველებდა, რომ დილანდელი ამბავი არცთუ ისე იოლი იყო, როგორც ციხის ადმინისტრაციას უნდოდა წარმოედგინა.

ვიდრე სელმას ქალთა განყოფილებაში გადაგზავნიდნენ, მან ქემალს რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა. ქემალმა გაიგო ფაბრიკაში მომხდარი ამბავი და უბედურება, რომელიც მის დედას თავს დაატყდა. დედისადმი სიბრალულის გრძნობით გახე-

ლებული ქემალი მზად იყო დაერღვია ყოველივე წესები, ოღონდ კი მალე მიშველებოდა დასნეულებულ დედას. თუმცა ციხის ადმინისტრაციას უკვე ნაბრძანები ჰქონდა ლმობიერად მოპყრობოდა პატიმრებს. ქემალსაც დაპირდნენ, რომ მეორე დილითვე გამოუშვებდნენ ციხიდან.

ქემალს მთელი ღამე არ სძინებია, ბოლთას სცემდა საკანში. აღელვებული პატიმრები სხვადასხვა საკანის რკინის კარებებიდან ერთმანეთს ეხმაურებოდნენ. დილაადრიან ციხის უფროსმა გამოაცხადა რომ მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, ყველა დაპატიმრებულს ათავისუფლებენ იმ პირობით, რომ ისინი სამუშაოზე დაბრუნდებიან და მომავალში აღარ მოაწყობენ დემონსტრაციებს. ციხის უფროსმა დასძინა, რომ მთავრობა დაპირებას იძლევა, აღადგინოს მათი უფლებანი და მიუდგომლად შეისწავლოს მათი საჩივარი, რომელიც, სხვათა შორის, ისეთი ადამიანის ხელშია, ვინც თანაუგრძნობს მუშებს.

როდესაც დაპატიმრებულნი ციხიდან გაათავისუფლეს, საიდუმლო პოლიციამ მათზე მეთვალყურეობა დააწესა. ქემალი შინ გაეშურა. დედასთან შეირბინა და მხურვალედ ჩაეკონა. ავადმყოფის სანახავად სელმაც მოვიდა. მან დაწვრილებით უამბო ქემალს ყოველივე, რაც მისი დაპატიმრების შემდეგ მოხდა. ავადმყოფის საწოლთან ექიმი იდგა.

ქემალმა დაუკოცნა დედას სახე. უმოძრაო თვა-

ლები და გაშეშებული ხელი, მაგრამ დედა არ განძრეულა. ექიმი შიშობდა, რომ ვაჟთან შეხვედრას კვლავ არ გამოეწვია მღელვარება, რასაც შეეძლო სიცოცხლე მოესწრაფა მისთვის. ექიმმა თხოვა ქემალს გასულიყო ოთახიდან. მაგრამ შეეძლო კი ქემალს დედის მიტოვება?

— მითხარით, ექიმო, ხომ გამოკეთდება დედაჩემი? ექიმო, გევედრებით, გადამირჩინეთ დედა!

რაც მეტი დრო გადიოდა, ავადმყოფის ჯანმრთელობა უარესდებოდა. ქემალი, მისი და, და სელმა გრძნობდნენ, რომ ახლოვდებოდა მათი საყვარელი მოხუცის აღსასრული, ბოლოს სნეულმა სუნთქვა შესწყვიტა, გარდაიცვალა. მისი ღიად დარჩენილი თვალები ქემალს მიშტერებოდნენ.

— ღმერთმა დასწყევლოს შენი მკვლელი და ჩემი გამაუბედურებელი, — ამბობდა ქემალი. — დაობლდა ჩვენი კერა. მოდი, სამირა, გამოეთხოვე დედას. ჩვენი გულისათვის მან მრავალი ტანჯვა გადაიტანა. გამოეთხოვეთ, სელმა, თქვენ მას ღვიძლ ქალიშვილად მიაჩნდით. დედი, ვინღა გაგვიწევს ახლა დედობას? ფაბრიკაში ყოფნისას სიხარულით ვფიქრობდი შინ დაბრუნებაზე, რომ შენთან ერთად გამეტარებინა საღამო. იმედი მქონდა იქამდე იცოცხლებდი, სანამ შევძლებდი ოდნავ მანიც მიმეზღო სამაგიერო ყოველივე იმისათვის, რაც შენ გააკეთე ჩემთვის და ჩემი საბრალო დისათვის.

ვიდრე ქემალი მოთქვამდა, ექიმი ქერიმი, სამი-

რა და სელმა გვამს დასტიროდნენ. შემდეგ სელმა ქემალს მიუახლოვდა, ხელი ჩასჭიდა, მიცვალებულის წინ მუხლებზე დაეშვა და ჩურჩულით რაღაცა დაიფიცა. მერე ექიმთან ერთად დაკრძალვის თადარიგი დაიწყო. მეზობლები თავის მხრივ ცდილობდნენ, როგორმე ენუგეშებინათ გულმოკლული ადამიანები.

სამი საათის შემდეგ ქემალის ამხანაგებმა გამოასვენეს მიცვალებული. ქემალი, სამირა, სელმა და ექიმი კუბოს მიჰყვებოდნენ. როდესაც კუბო სამარეში ჩაუშვეს, ქემალმა უკანასკნელად შეხედა დედას. მერე მეგობრების თანხლებით შინ დაბრუნდა, მადლობის გრძნობით ართმევდა ხელს ყველა მონუგეშეს და იმაზე ფიქრობდა, თუ რას უმზადებდა ხვალინდელი დღე. მკერდში ორი გრძნობა უღვივოდა: გრძნობა ვაჟიშვილისა, რომელმაც დედა დაჰკარგა და მწვავე სიძულვილი იმათ მიმართ, ვინც ხალხს ტანჯვა-წამებას უმზადებდა.

## ნაწილი მეორე

### 1

ქალბატონ მადლენის შესანიშნავ სახლში გამართულ წვეულებაზე საუბარი მხოლოდ წინა დღით მომხდარ ამბებს ეხებოდა. გაზეთებში ეს ამბები გაზეთის მეპატრონეთა თვალსაზრისით იყო

გაშუქებული. ქალბატონ მადლენის სახლში შეკრებილი სტუმრები რჩეული წრეებიდან იყვნენ. ეს სავსებით ბუნებრივი იყო, რადგანაც დიასახლისი, ღრმად პატივცემული სიმონ ხანქარის ქვრივი, საკმაოდ დიდ მემკვიდრეობას ფლობდა და თვალსაჩინო ადგილი ეჭირა საზოგადოებაში. ამასთანავე ლამაზი, ტანწერწეტა და მიმზიდველი დიასახლისი დაახლოებული იყო ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

მიუხედავად დაბეჯითებითი ჭორებისა, რომ ქალბატონი მადლენი პოლკოვნიკ მიღვარს ჰყვარობდა, იგი მუდამ იზიდავდა ყველას, ვისაც სურდა შემოსავლიანი სამსახური ეშოვა, აგრეთვე საქმროს ძიებითა და გათხოვების ნექტარით შეპყრობილ ქალიშვილებსაც, და ბოლოს მათ, ვინც საერთოდ სამიჯნურო თავგადასავალთა მოტრფიალე იყო. ქალბატონ მადლენის სახლში იკრიბებოდნენ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელნი, თუმცაღა ხელისუფლების წარმომადგენელთ დიასახლისის მიჯნურის პოლკოვნიკ მიღვარის რიდი ჰქონდათ. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქალბატონი მადლენი იმ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე იყო, რომლის საქმიანობასაც გაზეთები ყოველდღიურად აშუქებდნენ.

დარბაზის შუაგულში მდგარი მადლენი თავაზიანად ხვდებოდა სტუმრებს და ყოველ მათგანს უმალვე დაუსრულებელ შეკითხვებს აძლევდა წინა დღით მომხდარი დემონსტრაციის შესახებ. ამ

ბედით განებივრებულთ ხასიათს უფუჭებდა გაფიცვა და დემონსტრაციაც. „თავისი ბედითა და ცხოვრებით“ ისინი იმდენად კმაყოფილნი იყვნენ, რომ უკეთესი აღარაფერი სურდათ. დე, ყოველივე უცვლელად დარჩეს! ბედ-იღბალი მათ მუდამ სწყალობდა და კეთილდღეობაც არ აკლდათ.

დარბაზში შემოვიდა ფავზი, მეტსახელად „ახალი ამბების გუდა“. გაურკვეველი საქმიანობის ისეთივე უქნარა ყმაწვილი, როგორც ამ წრის ყველა ახალგაზრდა იყო; შემოსვლისთანავე თავისი გუდიდან უამრავი ჭორი და გაზეთებში ამოკითხული უკანასკნელი ამბები ამოალაგა: — „რივიერის“ მტკიცებით უწესრიგობა გამოიწვიეს კომუნისტებმა. „ალ-იბა“ წერს, რომ დემონსტრაციაში მხოლოდ მდაბიონი მონაწილეობდნენ. არაბულ გაზეთებს არა ვკითხულობ, მაგრამ, როგორც ყური მოვკარი, ზოგიერთი არაბული გაზეთი აღნიშნავს, რომ მუშებმა დემონსტრაცია ხელფასის მომატების მოთხოვნით წამოიწყეს. ერთი სიტყვით, ბატონებო, ქვეყანა აირია, ხოლო მთავრობა ყელამდე ჩაიფლო საქმეებში. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ჩვენი მინისტრი... თქვენა, რა თქმა უნდა, მიხვდებით, ვინცა მყავს მხედველობაში!

ამრიგად, მინისტრი ამერიკაში გაფრინდა, იქიდან კი ევროპაში წავა დასასვენებლად, გაინტერესებთ, თუ რას ნიშნავს დასვენება? ეს იმას ნიშნავს, რომ მინისტრი ავიაციისა და ზღვაოსნობის საკითხებისადმი მიძღვნილ კონგრესზე გაემგზავრა.

რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არც ერთი გემი და არც თვითმფრინავი არ გაგვაჩნია და მინისტრის საქმიანობა მხოლოდ საკუთარი მამულიდან გადასახადების აკრებაში გამოიხატება. როგორც კი რომელიმე მინისტრს მსგავსი აზრი დაებადება, დაუყოვნებლივ დაინიშნება ხოლმე დელეგაცია შვიდი, ანდა რვა კაცის შემადგენლობით კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, იხარჯება დიდი თანხები, ხოლო ქვეყნის საქმეებს ალაჰის ნებას მიანდობენ ხოლმე, „შენსას ჩემი მირჩევნიაო“.

— ფავზიმ შაბანი* რამადანში** აურია. იგი რომ მოხელე ყოფილიყო, ამგვარად- როდი მოიქცეოდა.

— გეყოთ მაგ თემაზე საუბარი. მეტი რა უნდათ მუშებს? ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ჩვენს ფაბრიკებში იმუშაონ, ვაძლევთ გასამრჯელოს, ისინი კი ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნილებებს გვიდგენენ: ხან ხელფასის მომატებას მოითხოვენ, ხან კიდევ ჩვენი შემოსავლიდან წილის მიღებას... ჩემი ქმარი თავდაუზოგავად შრომობდა; ყოველწლიურად ორ-ორ მანტოს ვიძენდი; წელს კი ერთიღა ვიყიდე, როგორც ჩემმა მეუღლემ მითხრა, შემოსავალი შეგვიმცირდა. ამ ბრბოს ჭკუის სას-

---

* შაბანი — მუსლიმანური მთავრის კალენდრის მერვე თვის არაბული სახელწოდება.

** რამადანი — მუსილმანური მთავრის კალენდრის მე-9 თვის არაბული სახელწოდება.

წავლებლად ახი იქნებოდა, ომი მოევლინებინა ალაჰს.

— ხვალ საქველმოქმედო ბაზრობას ვაწყობ, — განაცხადა ქალბატონმა მადლენმა, — მოვუწოდებთ, დაეხმარონ მუშებს, ვაგროვებთ შეწირულებას და ვუნაწილებთ ღარიბ-ღატაკებს: მუშები კი მაინც უმადურნი არიან. ჰო, ყოველმა თქვენგანმა ხუთ-ხუთი ლირა უნდა გადაიხადოს ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ახალი კინოფილმის გასინჯვის მოწყობისათვის.

— ჩვენ მუშებს დახმარებას ვუწევთ, ისინი კი უწესრიგობას სთესენ.

— ქალბატონი რინა მობრძანდა. ერთი შეხედეთ, როგორ არის გამოწყობილი! ვინ იცვამს მასზე უკეთ? ყოველდღე ახალ-ახალ კაბას იცვლის, ყველა თითზე ბეჭედი, ხოლო მკლავებზე სამკაული უკეთია. საინტერესოა, საიდან აქვს ამდენი ფული? მოგეხსენებათ, რომ მას შემოსავლის რაიმე განსაზღვრული წყარო არ გააჩნია.

სტუმრებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს.

— რინას თავს აყრიან ფულს ზეციურ მანანასავით. საკმარისია რომელიმე ახალგაზრდას გაუღიმოს და ეს უკანასკნელი მზადაა ყველაფერი დათმოს, რაც აბადია.

ერთმა მანდილოსანმა მეორეს წასჩურჩულა:

— არ გაგიგია, რინამ ქმარს მოწამვლა დაუპირა, რათა გაეხსნა გზა თავისთვის და თავისი მიჯ-

ნურისათვის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მაინც შესანიშნავი ქალია, რა ჩვენი საქმეა, რაც უნდათ, ის იჭორაონ.

— სალამი ქალბატონ რინას!

მოწიწებით ეგებება მას ყველა, ხოლო მამაკაცები ისწრაფიან ქალბატონ რინას ხელზე ეამბორონ.

— გთხოვთ, ტანგო გვეცეკვოთ.

ახალგაზრდები თავს უკრავენ რინასა და საცეკვაოდ იწვევენ. ქალბატონი რინას არჩევანი რაიმონს ხვდა წილად. ყოველი დამსწრეს მზერა საზოგადოების მშვენებისაკენ, რინასაკენ არის მიპყრობილი. ცეკვის შემდეგ რინა და რაიმონი მოშორებულ კუთხისკენ მიეშურებიან და ცნობისმოყვარეთა თვალს ეფარებიან.

— სად დამეკარგე წუხელ ღამ?

— თავი საშინლად მტკიოდა.

— თავის ტკივილმა შენი რინა დაგავიწყა?

— ალაჰმა დამიფაროს, მუდამ მახსოვხარ.

— თუ მართლა თავის ტკივილმა შეგაფერხა, საპატიო მიზეზად ჩაგეთვლება. მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, მშფოთვარე აზრებმა არ მომასვენეს.

— მომიტევე, მოდი გაკოცო!

ვიდრე სტუმრები რინასა და რაიმონზე ჭორაობდნენ, განმარტოებულ მიჯნურების ვნებათაღელვა ღვინის ჭიქების გამოცლასთან ერთად მატულობდა. როდესაც ისინი დარბაზში შემობრუნდნენ,

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. ადამიანისათვის მოვლენის გარეგნულ მხარეს აქვს მნიშვნელობა, ხოლო დაფარული, თვით მაღალი ღმერთისათვისაც დაფარული რჩება.

— აი ბატონი ჯაფარი, შეხედეთ ერთი, იგი ყოველდღიურად მატულობს სიგანეში.

— რატომაც არა, წინათ იგი გორგალ ძაფს ერთ ლირად ჰყიდდა, ახლა კი თითოს 15 ლირად ასაღებს. ერთი ტონა რკინა ორასი ლირა ღირდა, ახლა კი ექვსასად ფასობს. რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ ომის შესაძლებლობაზე, მით უფრო მატულობს მისი შემოსავალი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო ჯაფარ. ახალი რა იცით?

— ღმერთს გეფიცებით, ომის იმედი რომ არა, აქამდე ყველანი გავკოტრდებოდით. უმატებენ, ხოლო მათი საწარმოების უმრავლესობა სამხედრო საჭიროების საქონელს ამზადებს. ომის მოლოდინში რომ არა, ფასები დაეცემოდა. პურის ფასი გაორკეცდა, წამლებისა კი გასამკეცდა. მაშ რად გიკვირთ, რომ ჩვენც ავწიეთ ფასები ჩვენს საქონელზე. ქალბატონო მადლენ, აი, მიიღეთ ორმოცდაათი ლირა თქვენი საქველმოქმედო მიზნებისათვის. თუმცა ვისთვისაც თქვენ შეწირულებას აგროვებთ, ის ადამიანები არ იმსახურებენ თანაგრძნობას. ყოველდღე მღელვარებასა და გაფიცვებს აწყობენ. მთავრობა ყოველდღიური ბრძანებით აწესებს ფასებს პურსა და შაქარზე. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ფუფუნების საგნებზედაც დაიწყეს ფასების

დაწესება და შეზღუდვა. მთავრობა ვერ ერკვევა ეკონომიკის საკითხებში, უგულებელჰყოფს აღებ-მიცემობის ნორმებს, თავისუფალ ინიციატივას ზღუდავს. როგორც ჩანს, მთავრობას ამითი სურს დააშოშმინოს მუშა-მოსამსახურენი და ღარიბ-ღატაკნი, მაგრამ განა არ უნდა იცოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ ეს ხალხი ყოველგვარ დათმობას ბრბოს მიერ ჩვეული შფოთითა და უწესრიგობით პასუხობს!

— ნუ ღელავთ, ჯაფარ! განცხადებების გამოქვეყნება — მთავრობის ვალია. მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამ განცხადებებს?

— ამას გარდა სახელმწიფოს ჩვენ გადასახადებსაც ვუხდით. გუშინ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი თხუთმეტი ათასი ლირა გადავუხადე.

— კი, მაგრამ, რამხელა შემოსავალი უნდა გქონდეთ, რომ თხუთმეტ ათას ლირას იხდით? — გამჭირდავად თქვა ვიღაცამ, — ზოგიერთის ანგარიშით, ჩვეულებრივი შემოსავლის გარდა, ფასების ზრდის შედეგად, თქვენ კიდევ სამასი ათასი ლირა მოგიგიათ.

— იქნებ თქვენა ფიქრობთ, რომ ვალდებული ვარ ჩემი მოგებები მთავრობას გავუყო, რომ მან ფლანგოს იგი დღესასწაულებზე, მდიდრულ მიღებებსა და სხვა ამისთანებზე?

— რა თქმა უნდა, მაშ საიდან გამოძებნოს მთავრობამ სახსრები საზოგადოებრივ სამუშაოთა-

თვის, თუკი თქვენ, მილიონერს, მიგაჩნიათ, რომ თხუთმეტი ათასი ლირა გადასახადი მეტად ბევრია? თქვენ რომ სხვა ქვეყანაში გეცხოვრათ, ასი ათას ლირაზე ნაკლების გადახდას არ დაგჯერდებოდნენ.

— ღმერთო, დაგვიფარე! თქვენ იმ ავაზაკ-კომუნისტთა მონაჭორს იმეორებთ. მათ სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და არ ვიცი კიდევ რა სურთ. მათ სურთ ჩვენ გაგვიტოლდნენ და მათმა ბავშვებმა ჩვენს შვილებთან ერთად ისწავლონ. მოკლედ, მათ უნდათ, რომ ქვეყნის მმართველობის სადავეები ბრბომ იგდოს ხელთ. მთავრობა, იმის მაგივრად, რომ მათ ჭკუა ასწავლოს, პირიქით, ხელს უწყობს მათ. განა გუშინდელი დემონსტრაცია შეთქმულ კომუნისტთა ბნელი საქმიანობის შედეგი არ არის?

## 2

დაპატიმრებულთა გათავისუფლების შემდეგ ქალაქში ჩვეული სიწყნარე დამყარდა. იმ იმედით, რომ მთავრობა შეასრულებდა დანაპირს და შეამსუბუქებდა მათ მდგომარეობას, მუშები სამუშაოს დაუბრუნდნენ. მაგრამ მთავრობა მხოლოდ კაპიტალის მფლობელთა და საზოგადოებაში წონის მქონე პირთა ინტერესების დაკმაყოფილებაზე ზრუნავდა. მთავრობამ მხოლოდ კომისია გამოჰყო და დაავალა, შეესწავლა ბაზარზე არსებული ვითა-

რება და აუცილებელი სტატისტიკური ცნობები შეეკრიფა, რის საფუძველზეც ვითომდა უნდა გამომუშავებულიყო რეფორმების პროექტი, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარეები — მეწარმენი და მუშები უნდა მოერიგებინათ.

კომისია მთავრობის ნდობით აღჭურვილ პირთაგან შედგა. კომისიის წევრთა ნახევარს მოხელეები შეადგენდნენ, მეორე ნახევარს კი — სავაჭრო ფირმების მეპატრონენი, რომელნიც პოლიტეკონომიის სპეციალისტებად იყვნენ მიჩნეული მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი აღებ-მიცემობას მისდევდნენ. ანდა სად უნდა მოეძებნათ ასეთი სერიოზული საქმისათვის სათანადოდ მომზადებული და უნარიანი მუშა, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა მსოფლიოს ეკონომიური მდგომარეობა, რადგანაც ადგილობრივი ეკონომიკა უდავოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. ხოლო როდესაც მუშებმა დაჟინებით მოითხოვეს კომისიაში თავისი წარმომადგენლის შეყვანა, ხელისუფლების წევრებმა ათასგვარ ხრიკებს მიმართეს, რათა დაერწმუნებინათ მუშები, რომ მათთვის მთავარი იყო — „ხილი ეჭამათ, ოღონდ მებაღეს ნუ იკითხავდნენ.“

მუშებს განუცხადეს, რომ კომისიის წევრებმა ვითომდა მიიღეს მკაცრი დირექტივა, სრული სამართლიანობით გაერჩიათ მუშათა საკითხი. რომ მეწარმეთა ნდობით აღჭურვილი ამგვარი შემადგენლობის კომისია თავის გადაწყვეტილებაში

უთუოდ გაითვალისწინებდა მუშის ინტერესებს, როგორც ამას მოითხოვდა მუშათა კლასის იმედებისა და სურვილების განხორციელებისათვის მზრუნველი მთავრობის დირექტივა. მუშები ენდობოდნენ იმ კეთილგანწყობილებას, რომელსაც მოჩვენებითა თუ ნამდვილად ავლენდა მთავრობა და სჯეროდა მისი დაპირებისა.

როგორც კი აღნიშნული შემადგენლობის კომისია საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მან გამომუშავებული გეგმის მიხედვით დაიწყო საჭირო ინფორმაციის შეკრება და სათანადო მასალის შესწავლა. პირველ ხანებში თავმჯდომარე კომისიის სხდომებს ყოველდღიურად ნიშნავდა, შემდეგ კი, იმ საბაბით, რომ კომისიის წევრებს პრობლემის ყოველმხრივი შესწავლისათვის დრო სჭირდებოდათ, სხდომებზე კვირაში ერთხელღა იკრიბებოდნენ. კომისიამ უპირველესად ყოვლისა თვიური ხელფასი დაუნიშნა თვით ამ კომისიის ყოველ წევრს. სახელმწიფოს არა აქვს უფლება უსასყიდლოდ ამუშაოს ვინმე, თუმცა ეს პიროვნება, როგორც მოხელე, უკვე ღებულობს ხელფასს თავისი შრომისათვის. ხოლო, რამდენადაც კომისიის ყოველი წევრი ხელისუფლების წარმომადგენლებს ენათესავებოდა და მათი მფარველობით სარგებლობდა, მათი ჯილდოების გულუხვობისათვის არავითარი ზღვარი აღარ არსებობდა. მთავრობა საქმეს აჩქარებდა იმ იმედით, რომ დრო თავისას გაიტანდა და ყოველივე მიწყნარდებოდა. კომისიის წევრებიც

დაინტერესებულნი იყვნენ ამ კომისიის ხანგრძლივ არსებობაში. ამიტომ, თავის თავად ცხადია, თუ რატომ ცდილობდა ეს კომისია რადაც არ უნდა დასჯდომოდა გაეჭიანურებინა პროექტის დამტკიცება და ყველას, ვინც კომისიას საჩივრით მიმართავდა, უხვი დაპირებითა და დამაიმედებელი განცხადებით აშოშმინებდა.

იმ ხნის მანძილზე, როცა ექსპერტები საკითხს სწავლობდნენ, კომისია სხდომებით იყო გართული, ხოლო მთავრობა მრავლად აქვეყნებდა განცხადებებს უხვი დაპირებებით. დროდადრო მუშები მთავრობასთან დეპუტაციას აგზავნიდნენ, ომის მოახლოების ხმებით და სამხედრო პროპაგანდის გამო ყოველდღიურად მზარდი სიძვირით გამოწვეულ გაჭირვებას მოთმინებით იტანდნენ. სიმშვიდეს არღვევდა რადიოს ცნობები რამდენიმე მილიონიანი არმიების სასწრაფო შეიარაღების შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სისხლის ღვრა დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლივ დაიწყებოდა.

გაზეთები გაუთავებლივ ომის საშიშროებასა და მის საშინელ შედეგებზე წერდნენ და ურჩევდნენ მკითხველებს დროულად მიეღოთ ზომები, მოემარაგებინათ სანოვაგე. ფასები დღითიდღე მატულობდა, განსაკუთრებით კი პირველმოხმარების საგნებზე. მაგრამ რა უნდა მოემარაგებინა მუშას, როდესაც ისედაც დღიდან დღემდე ძლივს ირჩენდა თავს? ხოლო ექსპერტთა კომისიის წევრები

იკვლევდნენ, თათბირობდნენ, ანგარიშებს აქვეყნებდნენ და საკმაოდ დიდ ხელფასს იღებდნენ.

## 3

დედის გარდაცვალების შემდეგ სამირა უფრო მეტად დაუმეგობრდა ძმას: ახლა იგი სამირასათვის ძმაც იყო და მამაც, ხოლო სამირა ძმისთვის. — დაცა და დედაც. ქემალის მცირე ხელფასი მათ ძლივძლივობით ყოფნიდათ. სამირას ძმაზე ფიქრით ყოველთვის დარდით გული ეკუმშებოდა, გამხდარი და დასუსტებული ქემალისათვის მუშაობას შეიძლება დამღუპველი შედეგი მოეტანა. მაგრამ, შეეძლო კი მას ერთი დღე მაინც არ ემუშავნა? ვინღა შემოიტანდა შინ ლუკმაპურს!

„რა ვქნა, როგორ დავეხმარო ქემალს? ჯანმრთელობა ნებას არ მაძლევს, ვიმუშაო. ვინც კი წინათ ცოტაოდენ საკერავს მაძლევდა, ჩამომცილდა. მართალნიც არიან, განუწყვეტლივ მახველებს, მათ კი ეშინიათ სნეულება არ გადაედოთ. თუმცა ექიმი ქერიმი უარჰყოფს, მაგრამ ვიცი, რომ ჭლექი მაქვს. ექიმი კეთილშობილი ადამიანია, უფასოდ მაძლევს წამლებს, მაგრამ ხველა არ მეშვება. გუშინ სისხლი ამომახველა. რატომ არ მეუბნება ქერიმი სიმართლეს? ჩემი მდგომარეობა მალე ქერიმისათვისაც სახიფათო გახდება. არა, სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე მას ასეთ უბედურებას შევამთხვევდე!

ქემალს თავისი და გულით უყვარდა და საძუ-
შაოს დამთავრებისთანავე შინ მიიჩქაროდა. სადი-
ლობისას და-ძმა მუდამ დავობდა: ისინი დაბეჯი-
თებით სთავაზობდნენ ერთი მეორეს საუკეთესო
ნაჭრებს.

— ყველაზე დიდი ბედნიერება, ქემალ, ჩემ-
თვის, შენი ჯანმრთელად ყოფნაა. ვიდრე არ მოს-
ძებნი ცხოვრების თანამგზავრს, რომელიც მუდამ
იზრუნებს შენზე, ჩემი სიცოცხლე, სიცოცხლე
არაა. თუ ჩემი დაავადება გართულდება და სიკვ-
დილი მოულოდნელად მეწვევა, დამშვიდებული
გულით მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვესალმები
წუთისოფელს, თუკი მეცოდინება, რომ მარტოხე-
ლა არ დარჩები.

იშვიათად თუ ვინმე შეიხედავდა და-ძმასთან.
სტუმრიანობა მუდამ იქ არის, სადაც ჭამა-სმა,
გართობა და სიმხიარულეა. ქემალის სახლში კი
ამისი ხსენებაც არ იყო. მაგრამ ერთი ქალი მაინც
მათ ღარიბულ ქოხს ხშირად ესტუმრებოდა ხოლ-
მე. ეს სტუმარი სელმა იყო. დილაობით სამირას
ოთახის მილაგებაში ეხმარებოდა, ხოლო საღამო-
ობით ერთად ამზადებდნენ ვახშამს, მთელ თავი-
სუფალ დროს სელმა და-ძმასთან ატარებდა, ოხუნ-
ჯობითა და საინტერესო ამბებით ართობდა მათ.

სელმა კეთილგონიერი ქალიშვილი იყო. ყველა-
ფერში ერკვეოდა და არსებული სისასტიკით და
მანკიერებით აღშფოთებული იყო.

სამირას და ქემალის ერთგული და მოსიყვა-

რულე მეგობარი კარგა ხანია ყოველივეს იკლებდა და სამირასათვის ყიდულობდა წამლებსა და მცირეოდენ სანოვაგეს. როდესაც კი სელმა ექიმ ქერიმის სახლს ჩაუვლიდა, ყოველთვის ჰკითხავდა ხოლმე სამირას მდგომარეობის შესახებ, თუ რის გაკეთება იყო საჭირო მისთვის. ერთხელ ექიმმა უთხრა, სამირა როგორმე სანატორიუმში უნდა გაიგზავნოსო.

— სამირას მოთავსება სანატორიუმში? კი მაგრამ, რომელ სანატორიუმში მიიღებენ მას უსასყიდლოდ? ქემალს არც სანატორიუმში გასაგზავნი ფული აქვს და არც ჰყავს ისეთი პირი, ვინც დაძმას დახმარებას აღმოუჩენს. არა, ექიმო, სანატორიუმში სამირა ვერ წავა. მე კარგად ვიცი თუ როგორ ხვდებიან სანატორიუმში იმ ღარიბ-ღატაკებს, ვისაც პროტექტორები არა ჰყავს. სჯობს ჩემი მონაგარი გროშები მოვახმარო სამირას და სანამ ძალა შემწევს, მოვუარო მას. კარგად ვიცი, ექიმო, როგორ თანაუგრძნობთ თქვენ სამირას და ყველა ღარიბ-ღატაკს, თქვენც დაეხმარეთ მას, ექიმო!

— სამირას კარგი კვება და სტრეპტომიცინით მკურნალობა ესაჭიროება. ეს წამალი კი ძალიან ძვირი ღირს, განსაკუთრებით ახლა, როცა ყველა ომის საშიშროებაზე ლაპარაკობს, სპეკულანტებმა უზომოდ გაზარდეს ფასები სტრეპტომიცინზე.

— ღმერთმა დასწყევლოს ავადმყოფთა ტანჯვითა და ადამიანთა სიცოცხლით მოვაჭრე სპეკულანტები. მაგრამ მერწმუნეთ, ექიმო, მალე შეიცვლე-

ბა ყველაფერი. თუმცა ახლა მე სხვა საზრუნავი მაქვს... მითხარით რამდენი სტრეპტომიცინი დასჭირდება სამირას?

— სულ ცოტა ოცი გრამი, რაც ას ლირაზე ნაკლები არ ეღირება.

— ასი ლირა? ქემალი თვეში სამოც ლირას ღებულობს, ხოლო მე ორმოცს... ჩემი იმედი იქონიეთ, ექიმო!

სელმას არ შეეძლო დახმარება ეთხოვნა მდიდრებისათვის.

მეორე დღეს ფაბრიკაში თავის ამხანაგებს უამბო ექიმთან საუბრის ამბავი. მუშები თანაუგრძნობდნენ ერთმანეთს. ღარიბ-ღატაკნი ძმანი არიან. ზოგმა მაშინვე ჯიბიდან ამოიღო, ზოგმა კი სახლიდან მოიტანა თითო ლირა, ამის გამო იმ დღეს ზოგი მათგანი უსადილოდ დარჩა. შეგროვილი ფული სელმამ ექიმს გადასცა, ექიმმა ეს თანხა შეავსო და წამალი შეიძინა.

სელმა ძველებურად ყოველდღიურად დადიოდა სამირასთან და უვლიდა მას. სამირაზე ზრუნვით კარგა ხანია ძილი დაკარგული ჰქონდათ სელმასა და ქემალს; დროდადრო სამირას სახე გაუმხიარულდებოდა, რაც გამოჯანსაღების მცირე იმედს უღვივებდა მას.

ყოველი დღე სულ უფრო მეტად აახლოებდა ქემალსა და სელმას. სამირას სიხარულით უბრწყინავდა თვალები, რომ ბედმა ერთმანეთს დაუკავშირა მისთვის ყველაზე მახლობელი ადამიანები.

საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბულობის ზრდამ და ომის საშიშროებაზე მითქმა-მოთქმის გაძლიერებამ კიდევ უფრო ააღელვა ხალხი; იმატა ფასებმა სამრეწველო საქონელზე და სურსათ-საქონოვაგეზე. მთავრობამ ბოლოს და ბოლოს გაითვალისწინა შექმნილი ვითარების საშიშროება და ფასების ზრდის შეფერხებისათვის ვაჭართა და სპეკულანტთა ხარბი მადის შესაზღუდავად ზოგიერთი ღონისძიება განახორციელა. ამ მიზნით ბაზრებში გაიგზავნა პოლიციელები. მთავრობის ამგვარი ღონისძიებანი იმ შიშით იყო გამოწვეული, რომ სიძვირის ზრდა საყოველთაო გაფიცვას გამოიწვევდა. მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, ეს გარემოება თავიდან აეცილებინა.

კანონის მიერ დადგენილი ფასების დარღვევის თვითეული შემთხვევის რეგისტრაციისათვის ყველა პოლიციელს სათანადო დავთარი მიეცა. სპეკულანტებს სასამართლო სასტიკად უსწორდებოდა. პირველსავე კვირას ასობით ვაჭარი და სპეკულანტი დაამწყვდიეს საპატიმროში. როგორც იქნა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა და მთავრობის ღონისძიებებს ნდობის თვალით შეხედა. მშრომელთა დელეგაციები მადლობას უხდიდნენ მთავრობას მოსახლეობაზე ზრუნვისათვის. მეპურეს ოთხი პიასტრის ნაცვლად, პურის ხუთ პიასტრად გაყიდვისათვის ერთი თვე პატიმრობა და ასი ლირა ჯა-

რიმა მიუსაჯეს. მეაფთიაქეს, რომელიც ერთ აბ ქინაქინს ერთ-ნახევარი პიასტრის ნაცვლად ორად ჰყიდდა, ოცი დღის პატიმრობა და თხუთმეტი ლირა ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს. საშაქარლამოს პატრონს მთელი საქონელი ჩამოართვეს და ციხეშიც ჩასვეს, იმისათვის, რომ ერთ ნამცხვარში ოცი პიასტრის ნაცვლად, ოცდახუთი მოითხოვა.

სიძვირესთან ბრძოლაში ბაზრებში ჩაყენებული პოლიციელთა ჯგუფები საფრთხობელებს დაემსგავსნენ, რადგან როგორც კი მედუქნეები პოლიციელს თვალს მოჰკრავდნენ, ციებ-ცხელება აიტანდათ. პოლიციელებს ევალებოდათ თავიანთ ხელმძღვანელებისათვის სათანადო ანაგრიში წარედგინათ. ერთხელ, დღის ბოლოს, პოლიციელები უფროსის კაბინეტში შეიკრიბნენ.

— დიდი პასუხისმგებლობა დაგეკისრათ, ქვეყანას უნდა ავაცილოთ სიძვირე, გაფიცვები და არეულობა. უფლება გაქვთ, გასჩხრიკოთ მაღაზიები და საწყობები, სადაც კი სპეკულანტები თავიანთ საქონელს ფარავენ. ყველას, ვინც საქონელს დადგენილ ნიხრზე მაღალ ფასებში გაჰყიდის, ოქმი შეუდგინეთ, ხოლო ვინც არ დაგემორჩილებათ, მოიყვანეთ საპოლიციო განყოფილებაში. მინისტრმა ბრძანა, რომ არავის არ გავუწიოთ ანგარიში. ბოლო უნდა მოვუღოთ სიძვირეს და სპეკულაციას! თქვენს მიერ შეგროვილი ჯარიმებიდან მთავრობამ გადადო სპეციალური თანხა იმ პოლიციელთა და-

საჯილდოებლად, ვინც ამ საქმეში თავს გამოიჩენს, — განუცხადა მათ უფროსმა.

— მთავრობისა და თქვენს ნდობას გავამართლებთ. ალბათ თქვენმა უდიდებულესობამ შეამჩნია, წინა კვირასთან შედარებით ამ კვირას ბოროტმოქმედებათა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, რაც იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს საქმიანობას ნაყოფი მოაქვს, — მიმართა მას პოლიციელთა რაზმის უფროსმა.

— მაგრამ, სიძვირით გამოწვეული აურზაური, რომელმაც ერთგვარად იკლო, კვლავ ძლიერდება, — დასძინა პოლიციის უფროსმა, — გუშინ მინისტრმა მაცნობა, რომ მას ეწვია მოქალაქეთა დელეგაცია საჩივრით, პურზე ფასების მომატების გამო. დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მას ვერ უშოვნია უბრალო წამალი ავადმყოფი ვაჟიშვილისათვის, თუმცა ქალაქში წამლები საკმარისად არის.

ერთ-ერთმა პოლიციელმა განმარტა ეს გარემოება:

— წვრილი ვაჭრები თავს იმით იმართლებენ, რომ ბითუმად მოვაჭრენი ფასებს ზრდიან და ჩვენც იძულებული ვართ, ასევე მოვიქცეთო. მათ ხომ არ შეუძლიათ საქონელი უფრო იაფად გაჰყიდონ, ვიდრე ყიდულობენ! საჭიროა ვებრძოლოთ ბითუმად მოვაჭრეთა სიხარბეს, არავის ანგარიში არ უნდა გავუწიოთ.

— ბატონო უფროსო, ნება მომეცით მოგახსენოთ.

— თქვი, ნუ მოგერიდება.

— თქვენმა თანაშემწემ გაგვინაწილა დავალებები. მე დამევალა მსხვილ მებითუმეთა და კომპანიებისათვის მედევნებინა თვალი, რომ მათ არ აეწიათ ფასები. პირველსავე დღეს გავეშურე ფართლეულის კომპანიის სამმართველოში. დირექტორი მინისტრ ვასიმ-ბეგთან საუბრით იყო გართული და ერთი საათი მალოდინა. შემდეგ მან მინისტრის თანდასწრებით გულღიათ მიმიღო, მაგრამ როგორც კი მას ჩემი მისვლის მიზანი ვაცნობე, ვასიმ-ბეგმა საუბარი ჩამოაგდო კომპანიის დირექტორის დამსახურებაზე, მის პატრიოტიზმზე, ღარიბ-ღატაკთადმი სიყვარულზე და იგივე მირჩია, რაც პოლიციის მინისტრმა — სხვა ვაჭრებს მივაქციოთ ყურადღება. ვასიმ-ბეგმა დასძინა, რომ ამ კომპანიის დირექტორი ნიხრებს არ არღვევს და რომ მას არ შეიძლება სხვების მსგავსად მოვეპყროთ. მინისტრმა დამარცხვინა და უკან გამომაბრუნა. მეორე დღეს ერთ დიდ საექსპორტო კომპანიას ვეწვიე, სადაც მოხელემ კომპანიის გამგეობის ნებართვის გარეშე არ დამიშვა, რევიზია ჩამეტარებინა. როდესაც მოვითხოვე, ჩემთვის სათანადო დრო დაენიშნათ, მოხელემ მიპასუხა, რომ შეატყობინებს გამგეობის წევრებსა და მიიწვევს მათ გამგეობის თათბირზე. მისგანვე შევიტყვე, რომ გამგეობის წევრები არიან მსხვილი ვაჭრები —

ბატონი რაფიკი, დეპუტატი სალამაქი, ცნობილი ვექილი შახლიანი, ბატონი საჰამი — მთავრობის წევრის სიძე. შევიტყვე აგრეთვე, რომ გამგეობის წევრები იყვნენ მუსიო მონტი, — სახელმწიფო ბანკის დირექტორი და მისტერი დეფისი — საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მთავარი ინსპექტორი. ყოველთვის, როცა კი კომპანიის სამმართველოში მივსულვარ პასუხის გასაგებად, იქ ან რომელიმე დეპუტატი მხვდებოდა, ანდა მინისტრი, და შემდეგი დღისათვის მიბარებდნენ. ისინი იცავენ კომპანიას და ხელს უშლიან დავალებების შესრულებაში. ერთი კვირა გავიდა, მე კი ჯერ ვერაფერი გავაკეთე. ამიტომ, ბატონო უფროსო, გთხოვთ გამათავისუფლოთ ამ მოვალეობისაგან.

პასუხად პოლიციის უფროსმა წაიბუტბუტა:

— ამ საკითხზე დღესვე მოვეთათბირები მინისტრს. მანამდე კი განაგრძეთ თქვენი მუშაობა ბაზრის ვაჭრებთან, ხოლო კომპანიებისა და მსხვილ ვაჭართა საქმეს თვით მთავრობა მოჰკიდებს ხელს. მთავრობამ უკეთ იცის, როგორ მოუაროს მათ.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩურჩული დაიწყეს. როცა პოლიციელები წავიდნენ, პოლიციის უფროსთან დაუკითხავად შეიჭრა ცნობილი ვექილი, დეპუტატთა პალატის წევრი,მაიუნბეგი და მუქარით იკითხა, თუ რისთვის სდევნის პოლიცია მის კლიენტს, პატივცემულ ვაჭარს, ანბარს. განა პოლიციის უფროსმა არ იცის, რომ მხოლოდ ანბარის გადამჭრელი ოპერაციების შე-

დეგად ბაზრებიდან არ გაჰქრა პირველი მოთხოვნილების საქონელი, თუნდ არაფერი ითქვას იმაზე, რომ ანბარი ცნობილია თავისი ქველმოქმედებით და სახელმწიფოს ერთ-ერთ დედაბოძს წარმოადგენს. ვექილმა აქვე მოუთხრო პოლიციის უფროსს ანბარის პატრიოტიზმის, მისი პატიოსნებისა და მთავრობისადმი ერთგულების ამბავი.

— ჩვენი სურვილია, რომ თქვენ კეთილსინდისიერად აღასრულოთ თქვენი მოვალეობა, მაგრამ თქვენ ვალდებულნი ხართ იცოდეთ, როგორ მოეპყროთ ხალხს და განასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან. უნდა შეინარჩუნოთ კეთილგონიერება და ყოველი ადამიანი საზოგადოებაში მისი ადგილის მიხედვით შეაფასოთ. მთავრობა და სამშობლო დავალებულია ისეთი ადამიანისაგან, როგორიცაა ანბარი, ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. უნდა გესმოდეთ, რომ ანბარის მდგომარეობას და კავშირებს თქვენთვის, როგორც კარგის ისე ცუდის მოტანა შეუძლია. თავიანთი მდგომარეობით, დოვლათითა და გავლენით ასეთი ადამიანები დახმარებას უწევენ მთავრობას.

— კეთილი, მაიუნ-ბეგ. ამიერიდან ვეცდები ისე წარვმართო საქმე, როგორც ამას მოითხოვს ჩემი თანამდებობა და მთავრობისადმი ერთგულება. ვეცდები, თქვენი ნდობა დავიმსახურო, მაიუნ-ბეგ!

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არ ინანებთ.

— გმადლობთ, მაიუნ-ბეგ.

მთავრობის სასახლის წინ ხალხი მოგროვილიყო. ქუჩა გაჭედილი იყო.

— შიმშილით ვიხოცებით, საჭმელი არა გვაქვს! სიკვდილი სპეკულანტებს! მიეცით პური მშრომელებსა და ხალხს! ძირს ომის გამჩაღებლები! ძირს იმპერიალიზმი!

შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგემ ასამმა პოლიციის უფროსს გამოუძახა და დაუყვირა:

— ეს რა ღრიანცელია? რა ამბავია ქალაქში?

— დემონსტრაციაა, ბატონო, იგი სტიქიურად წამოიწყო, ვიდრე ჩვენ რამეს ვიღონებდით.

— კი მაგრამ სად ეყარნენ დამზვერავი ბიუროს უსაქმურები?. შენ კი მაჩანჩალობისათვის უმკაცრესი სასჯელის ღირსი ხარ. დაუყოვნებლივ გაფანტეთ დემონსტრანტები! პირადად შენ მერე მოგელაპარაკები. დაშალეთ დემონსტრანტები, მაგრამ ეცადე შეტაკებას თავი აარიდო. გამოუცხადე მაგ შფოთისთავებს, რომ მთავრობა მეტად შეწუხებულია სიძვირის გამო შემოსული საჩივრებით და ამ საკითხს ირკვევს. უთხარით, რომ დაუბრუნდნენ სამუშაოს და მთავრობის განკარგულებას დაუცადონ. ხოლო თუ დემონსტრაციები ბრძანებას არ დაემორჩილებიან, ძალა იხმარე. დემონსტრაცია დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს.

პოლიციის უფროსი კაბინეტიდან გამოვიდა და

თავისიანებს უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეფანტათ დემონსტრანტები.

— ამაზეა დამოკიდებული თქვენი და ჩემი ბედიც. უფროსი გაცოფებულია. სრულებითაც არ მსურს დავკარგო ჩემი თანამდებობა მზვერავთა უთავობის გამო. მათ ყურამდე ყველაზე გვიან აღწევს ეს ამბავი! არც თქვენი პირდაპირი მოვალეობის შეუსრულებლობის წყალობით მინდა დავზარალდე. ამ წუთშივე გარეკეთ დემონსტრაცია! ვაი, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს.

ზოგი პოლიციელი, ვინც კი დემონსტრანტებს თანაუგრძნობდა, ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ მშვიდობიანად დაშლილიყვნენ. ზოგნი კი გამხეცებულნი დაერივნენ დემონსტრანტებს და კეტები დაუშინეს. ისეთი პოლიციელებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც რევოლვერები იძრეს და ჰაერში იწყეს სროლა, თუმცა ამით შეიძლებოდა ქალები და ბავშვები დაეზიანებინათ, რადგან ეს უკანასკნელნი დემონსტრანტთა უმრავლესობას შეადგენდნენ. როგორც კი პირველმა ტყვიამ გაიზუზუნა და პირველი დაჭრილიც, სამი წლის ბიჭუნა, მიწაზე დაენარცხა, დემონსტრანტებმა გაქცევით თავს უშველეს. მიზანი მიღწეული იყო, დემონსტრაცია გაიფანტა და პოლიციის უფროსსაც გულდაწყნარებით შეეძლო მოეხსენებინა, რომ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

სანამ პოლიცია დემონსტრანტებს სდევნიდა, უშიშროების განყოფილების უფროსი ასამი კაბი-

სეტში იჯდა და ქალალდებს ფურცლავდა. იგი ძალიან ააღელვა მოულოდნელმა დემონსტრაციამ. რაც თანამდებობის დაკარგვას უქადდა, თუკი მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდებოდა. მხოლოდ პოლიციის უფროსის მოხსენებამ დემონსტრანტების გარეკვის შესახებ. დაამშვიდა იგი.

რაკი იგრძნო, რომ მოახლოებულმა ხიფათმა გადაიარა, მან თავის მხრივაც ამაყად მოახსენა მთავრობის თავმჯდომარეს მიღწეული შედეგების შესახებ. ასამი უკვე მანქანაში ჩაჯდა და შინისაკენ გაემართა, რათა სტუმრებს დროზე დახვედროდა, რომელნიც მის სახლში ჩვეულებრივ სამშაბათობით იკრიბებოდნენ.

ხუთი საათის შემდეგ სტუმრებმა თავმოყრა იწყეს. ყოველი მათგანი გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. ასამს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა ეჭირა და დაწესებულების ხელმძღვანელნი მასთან დამეგობრებას ცდილობდნენ, რადგანაც იცოდნენ, რომ ასამს დიდი სიკეთის მოტანაც შეეძლო მათთვის და დიდი სიბოროტისაც.

— აი, ქალბატონო სალვა, თხუთმეტი კუბიკური ფუტის მაცივარი „ვესტენჰაუზი“. მისი კარები, ძვირფასო საჰამ, ელექტროღილის საშუალებით იღება. რადიომიმღები „პიკაპ აუტომატიკ!“ გასათბობი სისტემა გაკეთებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამგვარი რამ ქალაქში არავის აქვს, ისევე როგორც, რეფრეჟირატორული დანადგარი — ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობი-

სათვის ზაფხულში. ეს ოთახი საოჯახო სასადილოა; აქ კი — საბანკეტო დარბაზია წვეულებისათვის. შეხეთ — სააბაზანო... საცეკვაო დარბაზი... ბანქოს სათამაშო სალონი... ჩვენი ბაღი შადრევნებით სხვა ბაღებსა სჯობს. ეს ასამის კაბინეტია, აქ იგი შუაღამემდე მუშაობს ხოლმე. საბრალო ასამი! მთელ სახელმწიფო საქმეებს განაგებს, მაგრამ მისი შრომა სათანადოდ როდია დაფასებული! იგი მხოლოდ ექვსას ლირას ღებულობს. ჩემი ხელმომჭირნეობა რომ არა, ცხოვრება გაგვიჭირდებოდა,— მანდილოსნებმა ერთმანეთს გადახედეს, — ექვსასი ლირა წვეულებების ხარჯებს ძლივსა სწვდება. ყველა ჩვენი სტუმარი, როგორც ხედავთ, საზოგადოების რჩეული წარმომადგენელია! რა სათქმელია, მაგრამ განა დასაშვებია, რომ ჩემი წრის მანდილოსანს, სახელმწიფო მოღვაწის მეუღლეს, საკუთარი ავტომობილი არა ჰქონდეს! როდესაც ასამი შინ არ არის, იძულებული ვხდები ტაქსი ვიქირაო. მთავრობა სათანადოდ ვერ აფასებს პატიოსან მუშაკებს. რომ იცოდეთ, საფია, რამდენი ხალხი გვაწყდება ყოველ დილით. ერთი მეხვეწება, ქმარს მოველაპარაკო მისი ვაჟიშვილის სამსახურში შოწყობის თაობაზე. მეორე მთხოვს, რეკომენდაცია გავუწიო მინისტრთან და კომპანიის დირექტორთან. ადამიანის ღვაწლი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დაფასდება. ძალიან მიყვარს ადამიანების, განსაკუთრებით ჩვენი მომხრეთათვის, დახმარების გაწევა. მადლობა ღმერთს, რომ

ყველას კარი ღიაა ჩემთვის. ამიტომ იყო, რომ გასულ წელს ორმოცდაათი ახალგაზრდა მოვაწყვე: ერთნი — სახელმწიფო დაწესებულებებში, მეორენი — ბანკებში, სავაჭრო ფირმებსა და კომპანიებში. შეიხი სალამი ჩემი წყალობით მუჰთარი* გახდა. მუნიციპალიტეტის ყოველი წევრი ჩემი პროტექციით არის დანიშნული. სახელმწიფო მოღვაწეთა ცოლებს შორის მხოლოდ მე ვეხმარები ადამიანებს. თუმცა, მათ სახელმწიფო მოღვაწეებთან სათანადო მოპყრობის უნარიც კი არ გააჩნიათ. მე კი ვერც ვასწრებ გადაკვრით ვახსენო ვინმე, რომ ჩემს თხოვნას უმალ ასრულებენ. თანამდებობის მქონე მამაკაცებზე ბეჯითი მეგობრობა ახდენს გავლენას; მცირეოდენ სიკეკლუცე მომაჯადოებლად მრქმედებს მათზე. ჩემი ქმარი დიდი გავლენით სარგებლობს მთელ ქვეყანაში, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს უმთავრესად ჩემი დამსახურების შედეგია; თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი ქმარი საგრძნობლად გამოირჩევა სხვა მოხელეთაგან გონიერებითა და გამჭრიახობით. მან კარგად იცის საითკენ უბერავს ქარი. ეს ხალხური გამოთქმა არის, მაგრამ რჩეულ საზოგადოებაშიც ხშირად ვხმარობთ მას.

როდესაც მანდილოსნები უკან შემოტრიალდნენ, სახლის დათვალიერების შემდეგ, ასამი მამაკაცებს ესაუბრებოდა.

---

*. მუჰთარი — მორწმუნეთა თემის მეთაური.

ვახშმის დაწყებისას მასპინძელმა მძიმედ ამოიხვნეშა და საუბარი ასე დაასრულა:

— ბევრნი, შესაძლოა მათ შორის თქვენც, შურის თვალით გვიყურებენ ჩვენ, მსხვილ მოხელეებს. ჩვენში ხედავენ ავტორიტეტულ, გავლენიან და თვალსაჩინო თანამდებობის პირებს. მეწარმენი ცდილობენ დაგვიმეგობრდნენ, პატივსა გვცემენ, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეშინიათ ჩვენი. მაგრამ ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ მათი პატივისცემა დროებითი და წარმავალია, რომ მათ პატივისცემას მანამდე აქვს ძალა, ვიდრე მათთვის სარგებლობის ანდა ზიანის მიტანა ძალგვიძს. მერწმუნეთ, მეგობრებო, როდესაც მარტონი ვრჩებით, ჩვენ ვგრძნობთ არა მარტო ხალხის ძლიერ სიძულვილს, არამედ მათ სიძულვილსაც, ვინც ესოდენ მხურვალედ ეწევა ჩვენდამი მაამებლობას, პატივისცემით გვეპყრობა და საჩუქრებით გვავსებს. ჩვენ, ბეგები, ეფენდიები, ბელადები და ლიდერები ვართ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ჩვენი თანამდებობისა და იმათი მონები ვართ, ვინც ხელისუფლება დროებით ჩაგვაბარა. რომ შემძლებოდა, დიდი ხანია გავთავისუფლდებოდი ამგვარი მონობიდან... მაგრამ, ამის უფლებას არ მაძლევენ აგერ, იქ, შემოსასვლელთან გაჩერებული „კადილაკი“, ვილა „მინიე“, და თვით ჩემი მეუღლე მინიე!

— საკვირველი არაფერია, რომ მინიესთანა ცოლის პატრონს იღბალი უხვად სწყალობს! ცხოვ-

რიგა რთულია, ასამ-ბეგ, თქვენ კი უთუოდ მეტს იმსახურებთ. სამშობლოს ცოტა ჰყავს თქვენნაირი ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანები.

სტუმრები დაიშალნენ... მინიე კიდევ ცოტა დანავარდობდა მათ შორის. მანდილოსნებს ლოყას უშვერდა საკოცნელად, მამაკაცებს კი ხელს. როდესაც მოსამსახურემ კარი გადაკეტა. ასამი და მისი მეუღლე საძინებელ ოთახისაკენ წავიდნენ. მინიეს ათქვირებულმა მკერდმა და მხურვალე ხვევნამ მალე დაავიწყა ასამს ყოველგვარი საზრუნავი.

## 5

მეორე დღეს წითელი ჯვრის ორგანიზაციის ადგილობრივმა განყოფილებამ, რომლის ხელმძღვანელი ქალბატონი მინიე იყო, ყოველთვიური დახმარების გაცემას შეუდგა. ამ უბნის ღარიბ-ღატაკებს უყვარდათ ქალბატონი მინიე. დახმარების მისაღებად მოსული, ყველა ხელზე კოცნიდა და დღეგრძელობას უსურვებდა მას.

ქალბატონი მინიე მზრუნველობას იჩენდა აგრეთვე საჯიას მიმართ, რომელიც შვილის დედა იყო. ომის დროს საჯია ერთ უცხოელს, საოკუპაციო არმიის ჯარისკაცს გაჰყვა ცოლად, რომლისგანაც ორი ვაჟი და ერთი გოგონა შეეძინა. როგორც კი ომი დამთავრდა, ქმარმა საჯია მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. საჯია ულუკმაპურად დარჩა. შვილებს შეძლებულთა ოჯახებში დროდადრო მი-

ღებული გასამრჯელოთი არჩენდა. მაგრამ, კრიზისმა და ცხოვრების პირობების გაუარესებამ საჯიას ხელიდან გამოაცალა ყოველგვარი სამუშაო. საჯიას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, იძულებული გახდა დახმარებისათვის წითელი ჯვრის ორგანიზაციაში მისულიყო. ქალბატონი მინიე საჯიას ქალიშვილობაშივე იცნობდა, უყვარდა და განსაკუთრებელი თანაგრძნობით ეპყრობოდა მას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საჯია სხვებზე მეტ დახმარებას იღებდა, ოთხ სულს მაინც არა სწვდებოდა ეს თანხა თვის განმავლობაში.

მოწყალების გაცემის უკანასკნელ დღეს საჯია არ გამოცხადდა. შეშფოთებულმა ქალბატონმა მინიემ იფიქრა, საჯიას ალბათ რაიმე ხიფათი შეემთხვაო და საღამოთი შინ ეწვია. ასეთი ყურადღებით აღელვებულმა საჯიამ მას უთხრა.

— ერთი კვირის წინ ბედმა გამიღიმა, — გარეუბანში მდებარე ფაბრიკის პატრონთან, ბატონ ჯაფართან ვიშოვე სამუშაო. ყოველთვიური ხელფასი ოჯახს ჰყოფნის და გადავწყვიტე უარი ვთქვა წითელი ჯვრის დახმარებაზე, რომ ჩემზე გაჭირვებული ვინმე არ დარჩეს ულუკმაპუროდ.

ქალბატონმა მინიემ შეაქო საჯია და ბედნიერება უსურვა. სულგრძელობა სიმდიდრეზე როდია დამოკიდებული. ღარიბ-ღატაკთა შორის უფრო ხშირია კეთილშობილი, ვინემ მდიდრებში.

ჯაფარი ორმოცდაათი წლისა იყო, როცა ამერიკიდან დაბრუნდა. თან ერთი მილიონი დოლარი

ჩამოიტანა და ქალაქის გარეუბანში საქსოვი ფაბრიკა ააშენა. ფაბრიკის ირგვლივ მუშათა საცხოვრებელი ბარაკები ააგო და მათ შუაგულში კი ეკლესია ჩადგა, რომ ღმერთი, რომელიც სიმდიდრის შეძენაში დაეხმარა, კვლავ მოწყალე ყოფილიყო მისდამი. ყოველ დილით, სამსახურში წასვლის წინ, იგი აუცილებლივ ლოცულობდა, ევედრებოდა ღმერთს, ბედი მოევლინა მისთვის, ყოველ მუშასაც სამუშაოს დაწყებამდე ევალებოდა სალოცავად შესვლა.

ჯაფარის სახლში საჯია უკვე ერთი თვე მუშაობდა. დილით ადრე მიდიოდა, საუზმეს ამზადებდა, ოთახებს ალაგებდა, და როცა სახლის პატრონი ფაბრიკაში წავიდოდა, სხვა მოსამსახურეებს ეხმარებოდა. საჯიას მოვალეობას შეადგენდა სურსათის მომარაგება და მედუქნეებთან ანგარიშსწორება, საჭმელის მომზადებაზე თვალყურის დევნება; იგი სადილს უმზადებდა ბატონ ჯაფარს და ყავას მიართმევდა მას შუადღის ძილის შემდეგ. დილიდან საღამომდე საჯია საოჯახო საქმეებით იყო დატვირთული. მხოლოდ ღამით ბრუნდებოდა თავის პატარა ოთახში, სადაც ბავშვები ელოდნენ. ღმერთი სწყალობდა საჯიას და ყოველდღე, ჯაფარის სახლისაკენ მიმავალი, თუ უკან მობრუნებული, მუხლმოყრილი ღმერთს მადლობას სწირავდა ეკლესიაში.

მიუხედავად მრავალი საზრუნავისა, საჯია ჯერ კიდევ საკმაოდ მიმზიდველი ქალი იყო. თუმცა გა-

ჭირვებამ დაღი დაასვა მის სილამაზესა და მშვენებას, მაინც შერჩენოდა წერწეტა ტანი, ელვარე თვალები, ღაჟღაჟა ლოყები, სინაზე და ეშხიანობა. კეთილი და მორწმუნე საჯია ღვთის მოშიში იყო და ზუსტად იცავდა საღმთო წესებს.

ერთ საღამოს ჯაფარი სამსახურიდან გაჯავრებული დაბრუნდა და საჯიას შეკითხვაზე ასე უპასუხა:

— ღმრეთმა დასწყევლოს ის დღე, როდესაც მე ამერიკა მივატოვე და აქ დავბრუნდი. აქაური ხალხი — ბარბაროსები არიან. მათთვის არაფერია წმიდათა წმიდა. ყოველ მუშას თავი ბატონად ძოაქვს და მას ვერაფრით ვერ ასიამოვნებ. ჩემს სამშობლოში მილიონი ლირა დავხარჯე, ასობით მუშას ვაძლევ სამუშაოს, უჩემოდ ისინი შიმშილით დაიხოცებოდნენ, მაგრამ ვინ აფასებს ჩემს ღვაწლს. ჩემი ფაბრიკა ამერიკაში რომ ყოფილიყო, ორჯერ მეტი მოგება მექნებოდა და მუშებიც ჩემი გამგონნი იქნებოდნენ. მე რეფორმების გამტარებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვიქნები და მინდა რომ ამ კომიტეტში გავიყვანო სადიყ-ბეგი. შენ ხომ იცნობ სადიყ-ბეგს? შესანიშნავი ადამიანია, ისიც მსხვილი მესაკუთრეა, ყველაფერში მხარს მიჭერს. მინდა რომ კომიტეტში უმრავლესობა ჩვენ ვიყოთ და რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ რეფორმების გატარებაში ხელი არავინ შეგვიშალოს. გესმის, საჯია, დღეს მე მოვითხოვე, მუშებს სადიყ-ბეგისათვის მიეცათ ხმები, მაგრამ ზოგიერთმა მუშამ ში-

პასუხა, რომ მათ არ სურთ ხმა მისცენ სადიყ-ბეგს და რომ ისინი კენჭს უყრიან მუსტაფას, რადგანაც იგი ისეთივე მუშაა, როგორც დანარჩენები. წარმოიდგინე რა იქნება უბრალო მუშა პარლამენტის კომიტეტის წევრად! მუშები ყოველდღე მოდიან ჩემთან ახალ-ახალი მოსაზრებებით: მუშათა უფლებები... საზოგადოებრივი დაზღვევა... მშვიდობის მომხრენი... ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ხომ კომუნიზმის საზიზღარი პროპაგანდაა. ამ ბრმებს არაფერი ესმით, უცხოელთა დახმარების გარეშე ხომ ქვეყანა დაიღუპებოდა! განა შესაძლებელი იქნებოდა ჩვენში ეროვნული მრეწველობის შექმნა უცხოური კაპიტალის გარეშე? ანდა სად იშოვნიდნენ მუშები სამუშაოს? ეგ სულელები გაჰყვირიან, ომის წინააღმდეგნი ვართო. ის კი არ იციან, რომ ომი წარმოებისა და აღებ-მიცემობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. წარმოიდგინე რა მდგომარეობაში იქნებოდნენ მეწარმენი და ვაჭრები, რომ კორეაში ომი არ იყოს! წარმოიდგინე, რომ ყველა ჩემი ფაბრიკის მაგვარი ფაბრიკა დაიხურება, რა მდგომარეობაში ჩავარდებიან მაშინ მუშები? ომის დროს ფასები მატულობს, მაგრამ იმავე დროს მატულობს სამუშაოსა და ხარჯების მოცულობაც. ამ უმეცარ მუშებს ვერ შეუგნიათ, რომ სიძვირე აყვავების მომასწავებელია,

— ბატონო ჩემო, თქვენ გსურთ, ბრძანოთ, რომ ომი მომგებიანი საქმეა?

— დიახ, სწორედ ასეა! ამერიკის მთელი დოვლათი ყოველ შემთხვევაში ამ დოვლათის უდიდესი ნაწილი, ომის მონაგარია. ომი რომ არა. განა შევძლებდი დამეგროვებია მილიონი დოლარი! ვინც მშვიდობას იმპერიალიზმთან ბრძოლას და უცხოური კომპანიების გაუქმებას მოითხოვს, უმეცარი და უგუნურია. რა სურთ მათ? ისინი ყოვლის მნგრეველნი კომუნისტები არიან.

— კი მაგრამ, ბატონო, განა ამერიკაში, ან სხვა ქვეყნებში, ომის წლებში დაგროვებული დოვლათი ხელს შეუწყობს სახალხო აღორძინებას. თუ კი ამ დოვლათს ცალკეული პირები დაეპატრონებიან?

— დიახ, ასეა! ამერიკაში ყოველ მუშას აქვს საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდის საშუალება, რათა ავტომანქანა, მაცივარი და რადიომიმღები შეიძინოს. იქ ყოველი მუშა სტკბება ცხოვრებით. უმუშევარიც კი არ არის მშიერი. მას შედარებით საკმარის დახმარებას აძლევენ ოჯახის სარჩენად.

— ჩვენთან როგორღაა?

— ჩვენთან? თუკი მუშები თავიანთ კეთილმყოფელთ არ ემორჩილებიან, ბუნებრივია. რომ მეწარმეს ვერ უსაყვედურებთ, თუ ასეთ შემთხვევაში იგი მუშას აღარ დაეხმარება. ჩვენს მუშებს მე უბრალო რამ ვთხოვე: სადიყ-ბეგი აირჩიეთ-მეთქი, მათ კი მიპასუხეს: არა, ჩვენ მუსტაფას ავირჩევთო, მაშ რაღა გინდა ჩემგან, საჯია, ამის შემდეგ?

— თუ მუშები თავისას გაიტანენ, თქვენ დაითხოვთ მათ სამსახურიდან?

— ყოველი მოვლენა თავისებურ მიდგომას მოითხოვს, მე როდი ვარ ბოროტი, საჯია, მებრალებიან ეგ სულელები, თავისივე ინტერესები რომ ვერ შეუგნიათ. მითხარი, როგორა გრძნობს თავს შენი ბიჭუნა სოსო? ხველამ გაუარა?

— მადლობა ღმერთს, ბატონო, სოსო აქ არის.

საჯიამ ვაჟს დაუძახა და უთხრა:

— მოდი, სოსო, ხელზე ემთხვიე ბატონ ჯაფარს.

— მომიახლოვდი, სოსო. აი, აიღე ხუთი პიასტრი, შოკოლადი იყიდე.

სოსო მიუახლოვდა ჯაფარს. ბატონმა იგი ხელში აიტაცა, გადაჰკოცნა და დედას ჩაუსვა კალთაში. ჯაფარმა ხარბად შეათვალიერა საჯია.

## 6

ჯაფარის სახლში მისვლის პირველსავე დღიდან საჯია პატიოსნად და მუყაითად შრომობდა. შემდეგ საჯიამ იგრძნო, რომ ჯაფარი სულ უფრო ლმობიერად ეჭცეოდა, რამდენჯერმე მოუმატა გასამრჯელო, დღესასწაულებზე საჯიას ბავშვებისათვის საჩუქრებს ყიდულობდა, ყოველთვის ალერსითა ხვდებოდა და აცილებდა მათ. საჯიას უკვე შიშნარევი ეჭვი შეეპარა, მაგრამ იგი კვლავ კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ჯაფარს.

სადილის შემდეგ ჯაფარი, ჩვეულებრივ, სამ საათზე გადიოდა სახლიდან, მაგრამ ამჯერად შინ დარჩა. საჯიას სთხოვა, ერთი ჭიქა ჩაი, კონიაკი და თურინჯის წყალი მოეტანა. რამოდენიმე წუთის შემდეგ საჯია შემოვიდა საინზე დაწყობილი ბოთლებითა და ჭურჭლით. ჯაფარმა კუჭის ტკივილი დაიჩივლა, საჯიას დარჩენა თხოვა და ჩაი შესთავაზა. საჯია რბილ ტახტზე ჩამოჯდა, ჯაფარი საწოლიდან წამოდგა, გვერდზე მოუჯდა მას და ჩაის სმა განაგრძო...

— თავბრუ მესხმის. დღეს სახლში ყოფნა გადავწყვიტე. ჩემთან დარჩი და გამართე, საჯია.

— ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო, ექიმს ხომ არ დავუძახო?

— არა მგონია, ექიმი საჭირო იყოს. რამოდენიმე საათის დასვენება, შენთან ყოფნა საკმარისი იქნება სატკივრის დასაყუჩებლად.

— მიბრძანებთ რასმეს?

— არაფერს, ერთსა გთხოვ — ჩემთან დარჩი...

— ეგების სჯობდეს, რომ დაიძინოთ?

— არა, მე მაშინ ვისვენებ, როცა შენ ჩემთან ხარ, — ჯაფარმა ხელი მოხვია საჯიას და გულში ჩაიკრა. საჯიას სირცხვილის ალმურმა აულეწა სახე, მაგრამ არ განძრეულა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. მხოლოდ გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, როცა ჯაფარი საწოლზე გაიშხლართა და თავი მუხლებზე დაადო.

— თავზე დამადე ხელი, საჯია, ეგების ტკივილი დამიამოს.

— უმჯობესი იქნებოდა ასპირინი მიგეღოთ.

— არა, შენი შეხება ყოველგვარ წამალზე უკეთ განმკურნავს.

ჯაფარი ხელზე დაეკონა საჯიას, რომელსაც პირისახეზე ალმური ასდიოდა.

— ბატონო, ნება მომეცით წავიდე. სამზარეულოში საქმე მაქვს.

— დაივიწყე ახლა სამზარეულო. შენთან მე უფრო მეტი საქმე მაქვს.

„რა უნდა ნეტავ? გასულ ზაფხულში ლაყბობდნენ ჯაფარისა და ამინას ქმარს შორის მომხდარი ჩხუბის შესახებ. განსაკუთრებული ქირდვით ჩურჩულებდნენ, რომ ბავშვი, რომელიც ამის შემდეგ ამინას შეეძინა, თითქოს ჯაფარისაგან იყო“...

— საჯია, არ ვიცი, გრძნობ თუ არა, როგორ მიფეთქავს გული, როცა შენ გესაუბრები, ან შენს ხელს ვეხები. ხედავ, როგორ მიყვარხარ, საჯია. როგორც კი ჩემს სახლში მოხვედი, უმალ შემიყვარდი. უსუსურად ვიგრძენი თავი შენთან, თუმცა არასოდეს შემშინებია ვისმესი და ყველას ჩემი შიში და რიდი აქვს. თვით მთავრობა კრთის ჩემს წინაშე და ჩემი კეთილი განწყობის მოპოვებას ცდილობს. ყველა ცდილობს დამიმეგობრდეს. შენ კარგად იცი, რა სიმდიდრე მაქვს. ვისაც მსურს, იმას ვიყიდი დოლარით. საჯია, მითხარი რა გსურს და ყველაფერს შეგისრულებ. შენც მიყვარხარ და შენი შვილებიც. პირობას გაძლევ სკოლაში მოვაწყო ბავშვები. მითხარი მხოლოდ, რომ ჩემთან

დარჩები, ჩემი იქნები და რაც კი მაბადია, ყველა-ფერს მოგცემ.

— ბატონო ჩემო, მე რა თქვენი ღირსი ვარ? თქვენ გამოჩენილი ადამიანი ხართ, სუყველას თქვენი შიში და რიდი აქვს, ყველა ცდილობს გასიამოვნოთ. შეძლებული ხართ, სამუშაოს აძლევთ ასობით მუშას, მე კი ერთი უბედური და ღატაკი ქალი ვარ. თუკი თქვენ მოისურვებთ, შეგიძლიათ რჩეული ოჯახის ქალიშვილი მოიყვანოთ ცოლად. მე მხოლოდ თქვენს მსახურად ყოფნა შემფერის.

— სრულ სიმართლეს ამბობ. თავიანთი ქალიშვილების გათხოვების სურვილით აღტკინებული დედები გარს მივლიან. მაგრამ, ცოლის შერთვა არა მსურს. აგერ ორმოცდაათი წელია მარტოხელად ვცხოვრობ, ამერიკა და ევროპა მოვიარე, დაუღალავად ვშრომობდი და დიდძალი ქონება მოვინაგრე. ჩემი სიმდიდრე და მდგომარეობა სავსებით საკმარისია, რომ ყოველგვარი სურვილი დავიკმაყოფილო. ჩემი ძველი ნაცნობი ქალები აღარ მიზიდავენ, ახლა ვგრძნობ, რომ შენს შემდეგ არც ერთ მათგანს არ დავუბრუნდები, დღეიდან საბოლოოდ შენთან ვიქნები.

ჯაფარი გადაეხვია საჯიას, სახე, თვალები და მკერდი დაუკოცნა. საჯია ყოველნაირად ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა.

— ბატონო ჩემო!

— საჯია!

— ხომ მოგახსენეთ, რომ უფლება არა მაქვს

თქვენი ცოლი გავხდე, ხოლო თქვენს საყვარლად გახდომისაგან კი ღმერთმა დამიფაროს. თქვენს სახლში მე როგორც მოსამსახურე შემოვედი და ერთადერთი ჩემი მისწრაფება შვილების, ჩემი საბრალო ბავშვების შენახვაა.

— მე შევინახავ შენს შვილებს და სწავლის შესაძლებლობასაც მივცემ. სხვა არავინ გააკეთებს მათთვის იმდენს, რასაც მე გავაკეთებ. რაღასა ფიქრობ, საჯია, ნუთუ შვილებს წაართმევ ჩემს მიერ შემოთავაზებულ ბედს? კრიზისი ყოველდღიურად ძლიერდება და მასთან ერთად ცხოვრებაც ძნელდება. საცაა ომი დაიწყება. მე უზრუნველვყოფ შენს შვილებს, მათთან ერთად შენ გულუხვი ცხოვრება გექნება.

— სიმდიდრე, ბატონო ჩემო, ღატაკთა ხვედრი როდია. ჩვენთვის პატიოსანი ცხოვრება და ლუკმაპური საკმარისია.

— სისულელეს ნუ სჩადი, საჯია, ინანებ.

საჯია ხელიდან დაუსხლტა ჯაფარს, მაგრამ მან კვლავ ჩაბღუჯა ახალგაზრდა ქვრივი, ვნებიანი აღტკინებით აქლოშინდა, ორივენი ტახტზე დაგორდნენ. ჯაფარმა ქაღალდის ფულის დასტა ჩაუცოცა საჯიას, ეგონა ფულს დაახარბებდა მაგრამ საჯია კვლავ წინააღმდეგობას უწევდა. კარზე დააკაკუნეს. საჯიამ დრო იხელთა და საბაზანო ოთახში გავარდა, იქიდან კი სამზარეულოში გავიდა. გონს მოვიდა თუ არა, მსა-

ხურის კაბა გაიხადა, ერთ-ერთი დარბაზის მაგიდაზე დაყარა მიჩეჩებული ფული და სახლიდან გავარდა.

## ნაწილი მესამე

### I

— სელმა ტარაფ, დირექტორის მოადგილე გიბარებს.

— მე მიბარებს დირექტორის მოადგილე? რისთვის დავჭირდი?

— აბა რა ვიცი?

როდესაც სელმა დირექტორის მოადგილის კაბინეტში შევიდა, იგი მოღუშული უჯდა საწერ მაგიდას.

— ამ თვეში შენ ოთხჯერ დაგიგვიანია სამუშაოზე. ბატონმა დირექტორმა დამავალა, გამეფრთხილებინე, რომ თუ კვლავ ასე გამეორდება, სამუშაოდან დაგითხოვთ.

— ვაღიარებ, რომ ამ თვეში ოთხჯერ დავიგვიანე სამუშაოზე. აგრეთვე ცუდად მოვიქეცი ფაბრიკის დირექტორის, ბატონი ჯაფარის მიმართ. ჩემი მეგობარი სამირა, თქვენი ფაბრიკის მუშის ქემალის და, მძიმედ დაავადდა. ჭლექი აქვს. მისი დღეები დათვლილია... ვინღა მოუვლის მას. ბატონო მოადგილევ, არ შემეძლო უმწეოდ დამეტოვებინა საბრალო სნეული, ჩემი მეგობარი სამირა.

— არა მგონია, რომ სამირას ავადმყოფობა საკ-

მაო საბუთი იყოს იმისათვის, რომ გულცივად მოეპყრო შენს მოვალეობას. თუკი სამირა ჭლექით არის დაავადებული, რატომ აქამდე არ გაგზავნეთ სანატორიუმში?

— ექიმი ქერიმი ბევრს ეცადა, მაგრამ მისმა თხოვნამ არ გაჭრა. თქვენ კარგად იცით, რომ სამირა ღარიბია, ხოლო ქემალი თავისი ხელფასით საგზურს ვერ შეუძენს. მე შევაგროვე ფული ამხანაგებში და ოცი გრამი სტრეპტომიცინი ვიყიდე.

— შენ რომ დახმარება გეთხოვა ჩემთვის, ან ბატონი ჯაფარისათვის, განა უარს გეტყოდით? ჯაფარი ამგვარ თხოვნას არასოდეს არ სტოვებს უყურადღებოდ. გარდა ამისა, ქარხანაში შენი მოვალეობა ერთია, ხოლო, რაც შენ სამირაზე თქვი — სულ სხვა საქმეა. მე ყველაფერს მოვახსენებ ბატონ ჯაფარს. მაგრამ, რაც არ უნდა დაემართოს სამირას, ან სხვა ვისმეს, შენ უფლება არა გაქვს დაარღვიო წესრიგი ბატონ ჯაფარის სამსახურში.

სელმა დირექტორის მოადგილის კაბინეტიდან გამოვიდა და სამირასთან გაეშურა.

— ძვირფასო სელმა, დღეს ძალიან ადრე დაბრუნდი ფაბრიკიდან.

— დირექტორის მოადგილეს დავეთხოვე. ალბათ, გჭირდები არა?

— ქემალი ნახე ფაბრიკაში?

— კი, ვნახე, საცაა ისიც მოვა.

— საშინელ სისუსტეს ვგრძნობ მთელ სხეულში. აღსასრულის დღე მიახლოვდება.

— თავიდან მოიცილე უცნაური ფიქრები. ექიმმა დამაიმედა, სამირას არა უჭირს რა. აგერ ექიმიც მოვიდა.

— როგორა გრძნობ თავს, სამირა?

— ვკვდები, ექიმო. ამიერიდან აღარ შეგაწუხებთ. საკმარისი საზრუნავი გავუჩინე ყველას. ქემალი და სელმა თქვენთვის მომინდვია, ექიმო. ქემალი მარტოდმარტო რჩება. ქემალს ჰყავდა დედა და სიკვდილმა გამოჰგლიჯა; ჰყავდა დაც, მაგრამ ალბათ ისიც დასტოვებს ქემალს. მას კი არავინა ჰყავს სელმასა და ჩემს გარდა. ღმერთო, როდისღა მოვა ქემალი?

— გამხნევდი, სამირა, ხვალე უკეთ იქნები.

— რიღასი უნდა მეშინოდეს? შენს სიცოცხლეს ვფიცავ, ძვირფასო, სიკვდილისა არ მეშინია. მეშინია მხოლოდ, რომ მარტოხელად დარჩენილ ქემალს გაუჭირდება. მომიახლოვდი, სელმა, ჩემო კეთილო ექიმო, თქვენც მომიახლოვდით. ორივეს ყოველთვის გიყვარდათ ქემალი... სელმა, ერთი წუთით დაგვტოვე მარტონი მე და ექიმი... მომიახლოვდით, ექიმო. სიკვდილის წინ მსურს, თქვენ დაგიტოვოთ ჩემი ანდერძი. თქვენ ყველაზე მეტად შეხმარებოდით და ძალიან ბევრი გააკეთეთ ჩემს გადასარჩენად... მალე მე მოვცილდები ამ ქვეყანას, სადაც კარგი არა მინახავს რა უბედურების მეტი; მე მხოლოდ ქემალისათვის ვცოცხლობდი, მაგრამ ახლა კი იმისათვის ზედმეტი ბარგი ვარ და გული

მტკივა. პირობას მომცემთ, ექიმო, რომ მამობას გაუწევთ ქემალს?

ექიმს თვალზე ცრემლი მოადგა, დაიხარა და შუბლზე აკოცა ქალს.

სელმა ფაბრიკაში გაიქცა ქემალის მოსაყვანად. შორიდანვე ხმაურისა და სროლის ხმა მოესმა და გამოქცეულ მუშებს შეასწრო თვალი.

ფაბრიკის მუშები გაფიცულიყვნენ და დირექტორის კაბინეტში შეცვენილიყვნენ. მთავრობის მიერ დანიშნული მუშათა მოთხოვნილებების შემსწავლელ კომისიას არაფერი გაეკეთებინა. ამასთანავე, სიძვირე დღითიდღე მატულობდა, ცხოვრება აუტანელი ხდებოდა, ხალხი შიმშილობდა. მუშებს მოთმინების ფიალა აევსოთ, მათ გაფიცვა გადაწყვიტეს და დემონსტრაცია მოაწყვეს თავიანთი უფლებების დასაცავად.

სასწრაფოდ გამოძახებულმა უშიშროების რაზმებმა ალყა შემოარტყეს ფაბრიკას და სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს. ორი მუშა მოჰკლეს, ათი დაიჭრა და ორმოცდაათი დააპატიმრეს. ამხანაგებისათვის სიმამაცის მაგალითი ქემალი იყო. ქემალმა ფაბრიკის ეზოდან ქუჩაში გამოიხედა, სელმას მოჰკრა თვალი და მისკენ გაემართა. მის დანახვის უმალ ქემალი ყველაფერს მიხვდა. მან გაარღვია ხალხის ტალღა და გვერდით ამოუდგა სელმას. როგორც კი გაიგო, სამირა უკვე სიკვდილის პირზეაო, სელმასთან ერთად შინ გაიქცა, რომ გამოსთხოვებოდა ძვირფას დას, პოლიციე-

ლები უკან დაედევნენ, მაგრამ სელმა და ქემალი ხელიდან დაუსხლტნენ მდევრებს.

ძმის დანახვაზე სამირას ჩამქრალი თვალები გაბრწყინდა. უნდოდა ხელი გაეწოდებინა ქემალისა და სელმასათვის, მაგრამ ერთი ამოიხ-რიალა და სული დალია.

## 2

სამირას დაკრძალვის მეორე დღეს ქემალი თავისი ოთახის კუთხეში ჩამომჯდარიყო. ჯერ კიდევ გუშინ დილით აქ მის დაიკოს ეძინა. ბოლმა ახრ-ჩობდა ქემალს. აჰა, სულ მარტოა იგი! მარტოდ-მარტო, თავის ტანჯვასა და სიღატაკესთან. მძიმე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა.

უცებ ოთახში აღელვებული სელმა შემოვიდა. ქემალს ცრემლები მოადგა თვალზე.

— ტირილის დრო არ არის, ქემალ. დაუყოვნებლივ უნდა დასტოვო ქალაქი.

— რა მოხდა?

— უ'ში'როების რაზმეულები მოდიან შენს დასაპატიმრებლად. ჯაფარი შენ გთვლის გუშინდელი დემონსტრაციის თაოსნად.

— მე? კი მაგრამ, განა ჩემი დაპატიმრებისათვის საკმარისია მხოლოდ ბატონი ჯაფარის ბრალდება?

— მიამიტი ნუ ხარ! ახლავე წადი, თორემ ჯაფარის ძლევამოსილება თავს დაგატყდება. გუშინ სამირა დავმარხეთ და მე არა მსურს, დღეს შენ საპყრობილეში ჩაგაგდონ.

— საით წავიდეთ?

— ქვეყანა დიდია!

ხუთი წუთით გაასწრეს სელმამ და ქემალმა პოლოციას. გზაზე ქერიმთან შეირბინეს, უამბეს, რაც მოხდა. ერთგულმა მეგობარმა ექიმმა სანოვაგით მოამარაგა ისინი და ათი ლირა გაატანა. ექიმმა გაიფიქრა, რამდენი განსაცდელი მოელის ახალგაზრდებსო და გადასწყვიტა სამირას ანდერძი ახლავე ეთქვა მათთვის.

— სიკვდილის წინ, სამირამ თავისი უკანასკნელი სურვილი გამიზიარა. მას თქვენი შეუღლება სურდა. შესაფერ დროს ვუცდიდი, რომ სამირას უკანასკნელი სურვილი თქვენთვის შემეტყობინებინა. დარწმუნებული ვარ, აასრულებთ მის თხოვნას. ულმობელმა ბედმა განსაცდელში ჩაგაგდოთ. წადით, უფალი იყოს თქვენი მფარველი! ხელი მიეცით ერთმანეთს, როგორც ცოლქმარს შეეფერება, ღმერთმა დაგლოცოთ!

სამირას ანდერძმა სიხარულით ააესო ახალგაზრდების გული, ერთმანეთს გადაეხვივნენ, მერე ქერიმს გამოეთხოვნენ. ქემალი და სელმა ჩქარობდნენ ქალაქიდან გასვლას. ღამით, დაღლილ-დაქანცულმა ლტოლვილებმა სოფელ ზათარს მიაღწიეს და სოფლის განაპირად, ქოხის კარებს მიადგნენ. კარი მოხუცმა ქალმა გააღო, მას სახეზე განცვიფრება გამოეხატა. ქემალმა და სელმამ უთხრეს, რომ ისინი აქაურები არ არიან, აქ არავის იცნობენ და ღამის გათევა თხოვეს. დამხვ-

დურს აღარაფერი უკითხავს, ხალისით დასთანხმდა ღამე გაეთევინებინა მათთვის, შინ შეიპატიჟა და მცირე ვახშამი შესთავაზა.

დილით ადრე გაიღვიძეს ქემალმა და სელმამ.

— დილა მშვიდობისა, ჩემო კარგებო. მოდით, ცოტა წაისაუზმეთ.

— გმადლობთ, დეიდა! ისედაც შეგაწუხეთ!

— აბა, რით შემაწუხეთ, შვილებო? რაც მაქვს, სულითა და გულით გთავაზობთ.

მოხუცი ქალის გულთბილობამ მოხიბლა დევნილნი.

სელმამ დაწვრილებით მოუთხრო დიასახლისს თავისი და ქემალის გაჭირვება. სიძულვილით ლაპარაკობდა ფაბრიკანტთა სიხარბესა და მთავრობის უსამართლობაზე.

მოხუცი ცრემლმორეულ ქემალს მოეხვია.

— ნუ სტირი, შვილო. მოთმინებით აიტანე შენი ხვედრი და ღმერთს შეევედრე, წყალობის თვალით გადმოგხედოს. ჩემთან ისე იქნებით, როგორც საკუთარ სახლში. ამ ოთახში სამივენი მოვთავსდებით. ჩემი ქოხი თვალს მოფარებულია და თქვენი მდევრები ვერასოდეს მიხვდებიან, სადა ხართ შეფარებულნი. მე დაგიფარავთ ყოველნაირი ბოროტებისაგან და სანამ ძალ-ღონე შემწევს, საჭმელს არ მოგაკლებთ. ყოველდღიურად მაქვს სხვისი სარეცხი და ჩემი გასამრჯელო. ხომ ცოლ-ქმარი ხართ, შვილებო?

— ცოლ-ქმარი გახლავართ.

— თქვენ აქ უშიშრად იქნებით, ჩემო შვილებო. მთავრობას მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ვახსენდებით, როდესაც ჩვენი ხმები ესაჭიროება თავისი კანდიდატების დეპუტატებად ასარჩევად. ჩვენს ხმებს კი არ კრებენ, არამედ ყიდულობენ. ეს არცთუ ურიგო რამაა. ყველას ეძლევა საშუალება ხმის მიცემით ფული იშოვოს. ჩვენს სოფელში ორმოცდაათი ამომრჩეველია. წინა არჩევნების დროს ყოველ ამომრჩეველს ხუთ ლირას უხდიდნენ, ამჯერად კი ოცი ლირა გადაუხადეს... სოფელმა ერთბაშად ათასი ლირა შემოსავალი მიიღო. ჩვენთვის ეს ნამდვილი დღესასწაული იყო, სხვა დღესასწაული ჩვენთვის არ არსებობს. ამბობენ, რომ დეპუტატები გაბედნიერებას გვიპირებენ. ყური მოვკარი, რომ ხმა მიგვიცია მდიდარი დეპუტატისათვის, გვარად ჯაფარისათვის, რომელსაც დიდი ფაბრიკა ჰქონია ქალაქში. რატომ გეღიმება, სელმა?

— დეიდა, ჯაფარი სწორედ იმ ფაბრიკის მეპატრონეა, საიდანაც მე დამითხოვეს. სწორედ მას უნდოდა ქემალის დაპატიმრება. ჯაფარის სიმდიდრე დღითიდღე მატულობს. იგი ყოველდღე ეკლესიაში ევედრება ღმერთს, რომ მალე დაიწყოს ომი, რადგანაც ომი კიდევ უფრო გაზრდის მის შემოსავალს. ჯაფარმა შეისყიდა არა მარტო თქვენი, არამედ მრავალი სხვა სოფლელთა ხმა, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისი დეპუტატობა მან სწორედ იმ ფულით იყიდა, რომელიც მე და შენ

მოგვპარა. რას უნდა ველოდეთ ასეთ დეპუტატებისაგან? ისინი ისეთ კანონებს ადგენენ, რომელნიც მხოლოდ მათთვის არის სასარგებლო.

— შვილო, შენ ხშირად იმეორებ სიტყვას „ომი“. რაო, განა ქალაქში ამბობენ, რომ მოსალოდნელიაო? ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი განსაცდელისაგან! აი, ჩვენი სოფელი, ომის წინ აქ ათასი მცხოვრები იყო, ახლა კი ორასიც არ არის. გლეხების მეოთხედი შიმშილით დაიხოცა, მეორე მეოთხედმა ბედის საძიებლად ამერიკას მიაშურა, ხოლო მესამე მეოთხედი ქალაქად წავიდა, რომ სიღატაკისაგან თავი გადაერჩინა. სული რომ შერჩენოდათ, გლეხებს საოჯახო ნივთები გაჰქონდათ გასასყიდად. სარკმელის ჩარჩოებსაც კი ყიდდნენ ერთი მუჭა ფქვილის ფასად, ღმერთო, დაგვიფარე ომისაგან! წყევლა და კრულვა ომის გამჩაღებლებს!

## 3

ქემალი და სელმა მოხუცთან დაბინავდნენ. მოხუცი ქალი ყოველდღიურად სარეცხის გასარეცხად დადიოდა და მონაგარი გროშებით შემოტანილ მცირეოდენ სანოვაგეს სტუმრებს უნაწილებდა, საკუთარი შვილებივით დახაროდა სელმასა და ქემალს. დიასახლისი რომ არ შეეწუხებინათ, ახალგაზრდები რაიმე სამუშაოს ძებნას შეუდგნენ. მაგრამ ეს სოფელი იმდენად ღატაკი იყო,

რომ საშოვარზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სოფლის მახლობლად ზეთისხილის მოზრდილი ბაღი იყო გაშენებული. სწორედ ზეთისხილის კრეფის დრო იწყებოდა.

— დეიდა, ვისია ეს ბაღი? ეგებ ჩვენც დაგვიქირაონ ზეთისხილის საკრეფად!

— ეს ბაღი მონასტერ ალ-ჰუზუნიას კუთვნილებაა. ვინც ოცდაათ გოდორს მოჰკრეფს, ერთი გოდორი გასამრჯელოდ მას ეძლევა.

— მერედა ვინ ყიდულობს მისგან ზეთისხილს?

— იგივე მონასტერი.

— იცით რა, დეიდა, თხოვეთ მოურავს, ეგებ ჩვენც მოგვცეს სამუშაო.

— თქვენ, ქალაქელებს, გაგიჭირდებათ ალბათ ამ სამუშაოს შესრულება.

— არაფერია, ჩვენ არავითარი სამუშაო არ გვაშინებს; მთავარია სარჩო-საბადებელი ვიშოვნოთ როგორმე.

მეორე დღეს სელმა და ქემალი მოურავთან წაჰყვნენ მოხუცს. იმ წელს ზეთისხილის მოსავალი უხვი იყო და მოურავს მუშახელი ჭირდებოდა, ამიტომ მაშინვე მიიღო ქემალი და სელმა. ქემალი იმ მამაკაცებს შეუერთდა, რომელნიც ზეთისხილს ეზიდებოდნენ გამომხდელ საწნახელთან. სელმა კი ხილის მკრეფავ ქალებს შეუერთდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ორივენი დღიურად ორ გოდორ ხილს მაინც გამოიმუშავებდნენ თავისთვის, შემდეგ მოურავს მიჰყიდიდნენ ნახევარ ლირად

და ამ ფულით ოთხიოდე ლავაშსა და რაიმე დასაყოლებელს იყიდნენ.

სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც იშვიათად ხედავდნენ უცხო ადამიანს, სოფელ ზათარში ქემალისა და სელმას გამოჩენა ძალიან გაუკვირდათ. გლეხები მალე დაუახლოვდნენ გამრჯე ახალგაზრდებს, ხშირად მიდიოდნენ მოხუცის ქოხში და გატაცებით ისმენდნენ ქემალისა და სელმას საუბარს ქალაქის ცხოვრებაზე.

ქემალი და სელმა შეეთვისნენ და დაუმეგობრდნენ მათ, რათა თვალი აეხილათ მათთვის.

სოფელ ზათარში, სხვა სოფლების მსგავსად, არც, სკოლა იყო და არც ექიმი. სამაგიეროდ აქ იყო ეკლესია, სადაც სოფლელები ყოველ კვირა დადიოდნენ, ხოლო ღრმად მორწმუნენი კი ყოველ დღე. წირვა-ლოცვას ისმენდნენ, სოფლის მღვდელისაგან კურთხევას ღებულობდნენ, რომელიც მათ მოთმინებას, საიქიოს სამოთხისებურ ცხოვრებას უქადაგებდა, ხელისუფლებისადმი და ყველა უფროსისადმი მორჩილებას უნერგავდა, დაბეჯითებით არწმუნებდა, რომ სული მოკვდავ სხეულზე გაცილებით ძვირფასია, რომ მიწიერ ცხოვრებაში გაჭირვებულ და სააქაოში ტანჯულ ღატაკებს სათანადოდ აუნაზღაურდებათ საიქიოში, სადაც არ არის არც მწუხარება, არც ვაება, არც შიმშილი და სნეულება, არამედ მხოლოდ ამაოების ბორკილებისაგან გათავისუფლებული უსხეულო სულის მარადიული ნეტარებაა.

ორი თვე გავიდა სელმას და ქემალის ზათარში ჩამოსვლის დღიდან, მღვდელმა შეამჩნია, რომ მლოცველთა რიცხვი დღითი დღე კლებულობდა, ხოლო ზოგიერთი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, მორწმუნე ისეთი შეკითხვებით მიმართავდა, რომელნიც წინათ არასოდეს სმენია მათგან:

—გვითხარი, მამაო, განა სამოთხეში მოსახვედრად მთელი სიცოცხლე სიღატაკეში და გაჭირვებაში ყოფნაა საჭირო?

— დაჰდაჰ-ბეგი და მისი ცოლი აღსარებისა და ზიარების მისაღებად ყოველდღე შორიდან მანქანით მოდიან ეკლესიაში, თუმცა მათ არავითარი გაჭირვება არ აწუხებთ და განცხრომით ცხოვრობენ. მაშ, რატომ იწუხებენ თავს ეკლესიაში სიარულით, ლოცვითა და აღსარებით, თუკი ისინი მაინც ჯოჯოხეთში უნდა მოხვდნენ, როგორც მდიდრები? ნუთუ ყველა მდიდარის ხვედრი მხოლოდ ჯოჯოხეთია?

— გუშინ ჩვენი მეზობელი გარდაიცვალა, რადგან ექიმი არ გვყავს და მკურნალობას მოკლებული ვართ. როგორ ფიქრობთ, მამაო, ახლა იგი უკვე სამოთხეშია?

მღვდელმა არ იცოდა ამგვარ კითხვებზე რა პასუხი გაეცა. იგი საეკლესიო წიგნებს იმარჯვებდა, დამარიგებელ ქადაგებას იწყებდა, ფსალმუნს უკითხავდა და დაბეჯითებით არწმუნებდა მათ, თავი აერიდებინათ ურწმუნო შეკითხვებისათვის, დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რაც ყოვლისშემ-

ძლე უფლის მიერ აღიარებულია საღვთო წერილში, ამავე დროს თავის მოვალეობის გულისხმიერად შემსრულებელი მღვდელი ყოველივე გაგონილსა და ყურმოკრულის შესახებ საეკლესიო ხელისუფლებას ატყობინებდა. რწმენაშერყეულ სოფლელთა სწორ გზაზე დაყენების, მათი რწმენის განმტკიცების მიზნით სოფელში გახშირდა გაქნილი მქადაგებლების ჩამოსვლა. მჭევრმეტყველი მოქადაგენი დილა-საღამოს გამართულ წირვა-ლოცვებზე განმარტავდნენ საღვთო სიტყვას, მისადმი მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ, ქებათა-ქებას ასხამდნენ სულს, რომლის დიდებასაც ისინი ცოდვილსა და ამო სხეულს უპირისპირებდნენ.

— უკვდავ არს სული, შვილნო ჩემნო, ხოლო სხეული წარმავალია, ჭიაღუას ხვედრია იგი. ადამიანის ამქვეყნიური, გარდამავალი, ცხოვრება, სხვა არაფერია, თუარ სიკვდილის შემდეგ მარადიული არსებობისათვის მზადება. სხეულის შიმშილი ჰკვებავს სულს. ნუ შეუშინდებით სიკვდილს, რადგან მის შემდეგ ნეტარება მოგელით.

თუმცა, ამგვარ სასულიერო შეკრებების საპირისპიროდ, დროდადრო სულ სხვაგვარი კრებები ეწყობოდა მოხუცი ქალის ქოხში, სადაც შეკრებილნი ხარბად უსმენდნენ ქემალსა და სელმას, რომელნიც დაუღალავად განმარტავდნენ: — ყოველ ადამიანს აქვს უფლება ბედნიერად იცხოვროს, შრომა სათანადოდ უნდა ანაზღაურდეს,

რომ ჩვენ გაუნათლებენი ვართ, ძალაუფლება შეძლებულთა ხელშია. ვისაც ქონება აქვს, ის იღებს სწავლა-განათლებას. გაიძვერა და მოხერხებული მდიდრები უსინდისოდ ყვლეფენ მშრომელებს.

ქემალსა და სელმას მსმენელნი ისეთ შეკითხვებს აძლევდნენ, რაც აშკარად მეტყველებდა მათ მიამიტობაზე.

ქემალი და სელმა ცდილობდნენ ისე გაეცათ მათთვის პასუხი, რომ მისი შინაარსი ამ უბრალო ადამიანებისათვის საკვსებით ნათელი ყოფილიყო.

— მართალია ვითომ, რომ ღმერთს ჩვენ, ღარიბ-ღატაკნი, უფრო ვუყვარვართ, ვიდრე დაჰდაჰ-ბეგი, რომ ღვთის წყალობის მოსაპოვებლად საკმარისია შევურიგდეთ ბედს.

— მაგის მქადაგებელი — დაჰდაჰ-ბეგის დაქირავებულია მხოლოდ. იგი სიღატაკის ატანას გიქადაგებთ იმისთვის, რომ მორჩილად ემსახუროთ მდიდრებს. ამისათვის მას სათანადო გასამრჯელო ეძლევა დაჰდაჰ-ბეგისაგან.

მოხუცი ქალის ქოხში ამგვარი საუბრების შედეგად გლეხობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, თავი იჩინა ისეთმა განწყობილებებმა, რომლებიც ერთნაირად აღელვებდნენ, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე სარწმუნოების მქადაგებლთ. ერთნიც და მეორენიც მოხუც ქალს ბრალსა სდებდნენ, რომ მისი ქოხი ურწმუნოებისა და შფოთის ბუდედ გადაიქცა და აფრთხილებდნენ

ამგვარი შეკრებები შეეწყვიტა. მაგრამ გლეხები, რომლებმაც გულითადად შეიყვარეს ქემალი და სელმა, მოუთმენლად ელოდნენ საღამოს, რომ ისევ შეკრებილიყვნენ მოხუცის ქოხში.

ადგილობრივი ხელისუფალნი და ეკლესიის მესვეურნი მალე დარწმუნდნენ, რომ მათ არ ძალუძდათ სოფლელების ჩამოცილება ქემალისა და სელმასაგან და რჩევა-დარიგებიდან მუქარაზე გადავიდნენ, ეკლესიისაგან განვკვეთავთ ყველას მოხუცსაც და ახალგაზრდას, ვინც იმ ქოხში დადისო. მაგრამ, როცა ამანაც არ გაჭრა, რადგან მუქარის განხორციელება ერთგვარად სახიფათო იყო, გადაწყვიტეს სამოქალაქო ხელისუფლებისა და პოლიციისათვის მიემართათ, რათა სოფლიდან განედევნათ მოსულნი, რომელნიც შფოთსა და უკმაყოფილებას თესდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა შორის.

ზეთისხილის მოსავალი წელს მეტად უხვი იყო. წვიმები რწყავდნენ ზეთისხილის ბაღებს, რომელთა ნაყოფიდანაც დაწურულ ზეთს უხვად იღებდნენ. ზეთის საწური ფაბრიკები დღე და ღამე მუშაობდა. მკრეფავები ზეთისხილს კრეფდნენ, მდელოზე ახვავებდნენ, მტვირთავებს კი ფაბრიკაში გადაჰქონდათ ზეთისხილი, სადაც მუშები ზეთს სწურავდნენ და საწყობებში გზავნიდნენ.

ზეითუნის ზეთის ფასი წელს მაღალი იყო. საექსპორტო ფირმების წარმომადგენლები ზეითუნის ზეთს მემამულეებისაგან იძენდნენ და საზ-

ღვარგარეთ გაჰქონდათ, იქ კი სამაგიეროდ, სხვადასხვა საქონელს ყიდულობდნენ და ომის შემთხვევისათვის იმარაგებდნენ. გასულ წელს კილოგრამი ზეთისხილი ერთი ლირა ღირდა, წელს კი მისი ფასი ორ-ნახევარ ლირამდე გაიზარდა.

სოფელ ზათარში ზეთისხილის ბაღის ნახევარი მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. მეორე ნახევარი კი დაჰდაჰ-ბეგის, შეიხ დაჰაშისა და მისი ბიძაშვილების კუთვნილება იყო. ბოლო დრომდე ბაღის რამოდენიმე პატარა ნაკვეთი ცალკეულ წვრილ მიწისმფლობელებს ეკუთვნოდათ, მაგრამ საერთო სიძვირემ ისინი აიძულა თავიანთი ნაკვეთი მსხვილ მემამულეთათვის მიეყიდნათ. ზეთისხილის უხვ მოსავალსა და ზეთზე ფასების ზრდას მუშებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა. დღიური მუშის ხელფასი, დღეში — ერთი ლირა, უცვლელი დარჩა, თუმცაღა ერთი ლირის ფასად ბევრს ვერას შეიძენდი. გლეხები თვითონა კრეფდნენ ზეთისხილსა და ზეთსაც თვითონ სწურავდნენ, იძულებულნი იყვნენ იგივე ზეთი სპეკულაციურ ფასებში გადამყიდველებისაგან შეეძინათ. ომის მოახლოების შესახებ უგუნურმა მითქმა-მოთქმამ სურსათ-სანოვაგეზე ფასების მომატება გამოიწვია. სოფელ ზათარის ზეთისხილის ბაღების მფლობელნიც ყველაფრის გაძვირებას უჩიოდნენ, გარდა თავიანთ საწყობებში შენახულ ზეითუნის ზეთის სიძვირისა. რაოდენ დიდი უბედურებაა ომი ღატაკთათვის და რამდე-

ნი გამორჩენა აქვთ მისგან Ძდიდრებს, ვაჭრებსა და სპეკულანტებს!

როდესაც დღიური მუშები ზეთისხილის საკრეფად ბაღებში მივიდნენ, მოურავმა გააფრთხილა, რომ მიღებულია დიდი Შეკვეთა ᲖეᲗᲣნის ზეთზე და ამ შეკვეთის გამო მან მოითხოვა, რომ ყოველ მუშას გაორკეცებულად ეშრომნა. ამგვარი ხელსაყრელი შეკვეთები ჩვეულებრივი როდი იყო, ევროპის ფაბრიკები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ზეთის გაგზავნის დაჩქარებას.

— დღევანდელი დღე, თქვენი დღეა, მეგობრებო! დაგვეხმარეთ მყიდველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში, ეს ხომ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია. დაიწყეთ მუშაობა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

— კეთილი, ბატონო მოურავო, შევეცდებით. მაგრამ იმედი გვაქვს რომ ცოტა მეტ გასამრჯელოს გადაგვიხდით, — უთხრა მოურავს ერთ-ერთმა Ძუშამ.

— ამგვარი დიდი მოთხოვნილება ზეთისხილზე, აბუ მასყუდ, დიდხანს არ გაგრძელდება. ჩვენ ხომ გეხმარებოდით, როდესაც საᲫუშაო არ იყო, ახლა კი, ამ მცირე ხნის მანძილზე, თქვენც დაგვეხმარეთ.

— მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში თქვენ საკმაოდ დიდ მოგებას მიიღებთ. განა ჩვენ უფლება არა გვაქვს, ამ მოგებიდან რაიმე წილი მაინც მივიღოთ?

— ეჰე, აბუ მასყუდ, შენ მოხერხებული კაცი ყოფილხარ და ანგარიშიც კარგი გცოდნია! ნებაზე რომ მიგიშვან, კისერზე მარყუჟს ჩამოგვაცვამ და ჩამოგვახრჩობ კიდეც! თუმცა, რა გვაქვს საკამათო. თუ კარგად იმუშავებთ, სამუშაოების დასრულების შემდეგ ნაწყენი არ დარჩებით!

მუშები კმაყოფილებით აბუტბუტდნენ:

— გასამრჯელოს მოგვიმატებენ... არ ვიზარალებთ.

ბოლოს მოურავმა წამოიძახა:

— ნუღარ აყოვნებთ! ღმერთი ახსენეთ და მუშაობას შეუდექით!

მუშები ზეთისხილის კრეფას შეუდგნენ, ხოლო მოურავი მუშებთან საუბარმა დააფიქრა.

— ყოველივე წაღმა-უკუღმა შეტრიალდა, თავისი ხვედრით კმაყოფილი აღარავინ არის. დღიური მუშებიც კი მოთხოვნილებებს აყენებენ, ჩვენს მოგებებს ანგარიშობენ, უჩვენოდ კი შიმშილით დაიხოცებოდნენ, სხვაგან სად იშოვნიდნენ სამუშაოს? ღატაკი რომ გაძღება, უმადური და თავხედი ხდება. ომის დროს ისინი მზად იყვნენ ხელფეხი დაეკოცნათ ჩვენთვის, ოღონდ ლუკმაპური ეშოვნათ. ახლა კი ლუკმაპურით ვეღარ დააკმაყოფილებ. მათ უკვე იციან თავიანთი სარფა. ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როდესაც აბუ მასყუდმა და მისთანებმა შეიგნეს, რომ მათ გარეშე არ ძალგვიძს არსებობა. კი მაგრამ, საიდან ისწავლეს ჭკუა ამ მუშებმა? ცხადია, დღიურ მუშებს

თვალი აუხილა იმ ირმა წყეულმა უცხო ქალმა და კაცმა. მათ წარყვნეს აქაურობა. აბა წინათ დასაშვები იყო, ქალებს თვალი გაესწორებინათ ჭაბუკებისათვის და მზის ჩასვლის შემდეგ სახლიდან გასულიყვნენ? ვიდრე ბოროტებას ღრმად არ გაუდგია ფესვები, ის მოსულები უნდა გავაძევოთ სოფლიდან. ჯობს ბატონთან წავიდე და ყოველივე მოვახსენო.

მზე ჩასულიყო, მოურავის ნებართვით გლეხები პლანტაციას სტოვებდნენ. საღამოს ბინდში გლეხების სიმღერა გაისმა:

ო, დღეო ნათელო, მოგვაფინე შუქი საამო,
რომ აღარ ვიყოთ უბედურნი და სევდიანნი,
შავი დღეები მოგვაშორე სამარადჟამოდ,
თორემ წყვდიადში დაძაბუნდა ადამიანი.
ო, დღის ნათელო, ჩვენთვის ნუთუ არ გათენდება?
ან დამცირება როდემდისინ უნდა ვითმინოთ?
როდისღა უნდა გაიფანტოს ეს დაბინდება,
რომ მძიმე შრომით ტანჯულებმა აღარ ვიგმინოთ?
შენი განგება, სამართალო, სადღა ვეძიოთ,
რომ ბედნიერ დღეს, მევობრებო, ჩვენცა ვეწიოთ?
ღატაკო ხალხო, ჩვენი დღენი ჩაგვრაში ვხოხავთ,
თვით ლუკმაპურიც ჩვენი სისხლით არის ნაზელი,
უღლიდან ხსნისთვის სისხლის წვეთებს კვლავ ნუ დაზოგავთ,
თავისუფლება მოვიპოვოთ ოღონდ ნათელი!

## 4

როდესაც გლეხები წავიდ-წამოვიდნენ და სოფელ ზათარში მყუდროება ჩამოწვა, ეკლესიის მესვეურის სასახლეში რჩევა-დარიგების მისაღებად და თავიანთი მორჩილების გასამჟღავნებლად

მორწმუნეები შეიკრიბნენ. დედამიწა წყვდიადს მოეცვა, ხოლო ეკლესიის მესვეურის სასახლის დარბაზებსა და ფართო ხეივნებში ელექტრონათურები აციაფდნენ. ეკლესიის მეთაურისათვის თითქმის მეოთხედი საუკუნე იყო ეს მაღალი წოდება მიენიჭებინათ, იგი ხანშიშესული იყო. ყოველგვარი საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად მას მიმართავდნენ. იგი შეძლებისდაგვარ ასრულებდა თავის მოვალეობას. ზოგი სახელმწიფო სამსახურში მიისწრაფოდა და მხარდაჭერას სთხოვდა, ზოგსაც მეზობელთან დავა ჰქონდა მიწის ნაკვეთის გამო. ეკლესიის მეთაურის გადაწყვეტილებას ამ დავის შესახებ მოდავე მხარეები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ეკლესიის ამ ხელისუფალის სასახლეში საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი დადიოდა. მდიდრებს ძღვენი მიჰქონდათ, ღატაკნი წყალობას ეძიებდნენ. ოჯახის შექმნის მსურველნი დალოცვასა და ქორწინების ნებართვას მოელოდნენ. სასამართლოში გამოძახებულნი ცდილობდნენ სარეკომენდაციო ბარათი მიეღოთ მოსამართლეებისადმი. თვით ხელისუფლების წარმომადგენლებიც ეკლესიის მეთაურის კეთილგანწყობას ეძიებდნენ. ეკლესიის მეთაურის ნდობის მოპოვებით მოხელენი თავის მდომარეობას იმტკიცებდნენ. მისი ნებართვის გარეშე მთელ ოლქში არაფერი კეთდებოდა, დეპუტატი არ აირჩეოდა და გზა არ გაიყვანებოდა. აზ-ზაფრანიას მთელ

ოლქში მხოლოდ ეკლესიის მეთაურს ჰქონდა გადამწყვეტი ხმა. მთელი მოსახლეობა ვალდებული იყო უსიტყვოდ დამორჩილებოდა მას. მხოლოდ და მხოლოდ იგი განაგებდა ყველა საქმეს, დიდსაცა და მცირესაც. იგი იყო ყოველი მცხოვრების, მისი ავლადიდების, სარჩო-საბადებლისა და გონების სასულიერო და საერო განმგებელი. მთავრობა შიშის თვალით უყურებდა მის დიდ გავლენას ოლქში და ყოველგვარ სურვილს უსრულებდა, რითაც კიდევ უფრო მეტად ამტკიცებდა მის ძალაუფლებას, მცხოვრებთა მორჩილებასა და თვით მთავრობის მყარ მდგომარეობასაც უზრუნველჰყოფდა.

როდესაც მოურავი მისი უწმიდესობის სასახლეში მივიდა, იგი საერო საქმეებით იყო გართული: დავას არჩევდა. მის სახეს ღიმილი იშვიათად ეწვეოდა, ჩვეულებისამებრ მისი სახე მხოლოდ კუშტ მრისხანებას გამოხატავდა. სასახლის დარბაზში ბოლთასა სცემდა და ვიდრე დაჯდებოდა, დამსწრენიც მისადმი მოწიწების ნიშნად ფეხზედ იდგნენ.

— სად არის დეპუტატი. საადი?

— აქა ვარ, თქვენო უწმიდესობავ.

— რამდენჯერ გითხარი, რომ ხატარის საქმე დაუყონებლივ უნდა დასრულდეს? ხატარი კი ყოველდღე უშედეგოდ დადის ქალაქში. ტყუილად ხომ არ აგირჩიეთ დეპუტატად, საად?

— მომიტევეთ, თქვენო უწმიდესობავ. ოცჯერ

მივმაროე სათანადო სამმართველოს, სადაც მითხრეს, რომ ხატარი არ არის მართალი. მთავრობაში შესული ყველა საბუთი ხატარის საწინააღმდეგოა, მისი მოდავის, ზეიდანის სასარგებლოდ მეტყველებს.

— რომელ სიმართლეზე ლაპარაკობ? განა მე ვერ ვერკვევი ყოველივე ამაში? რას როშავ, საად? ეგებ გსურს, ამ უბრალო საქმისათვის მე თვითონ გავემგზავრო ქალაქს? ხვალვე უნდა წახვიდე სამმართველოს უფროსთან, ან მასთან, ვისაც იგი ემორჩილება და მოსთხოვო, საქმე ხატარის სასარგებლოდ გადაწყდეს. გადაეცი უფროსებს, რომ თუ ჩემს სურვილს ანგარიშს აღარ გაუწევენ, მაშინ მეცოდინება მომავალში როგორ მოვექცე მათ.

მისმა უწმიდესობამ დეპუტატს ზიზღით ზურგი შეაქცია და ახლა სხვა სტუმარს მიუბრუნდა:

— სალამი მის უმაღლესობას, მინისტრს. ვგონებ, ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწე გამხდარხართ, სხვანაირად რომ ვთქვათ — ტყუილები გისწავლიათ. ორი თვეა მპირდებით ჩვენი დაგვანი პოლიციის სერჟანტად დანიშნოთ, ხოლო აბუ-სელიმი—მცველად. ჩვენს მამულში ყოველდღიურად იპარავენ ზეთისხილს. გასულ კვირას დაცვამ ხუთი ყმაწვილი და გოგონა დააკავა. ახლა, როდესაც ზეთისხილი გაძვირდა, განა დასაშვებია, რომ მოსავლის თუნდაც მცირედი ნაწილი ქურდბაცაცებმა მოგვპარონ? ბიჭო, ერთი მოურავს დაიძახე!

— გისმენთ, თქვენო უწმიდესობავ!

— მოურავო, მოახსენე მის უმაღლესობას, მინისტრს, შენთან რაც ხდება.

— თქვენ მხოლოდ ცოტა ბრძანეთ, თქვენო უწმიდესობავ! სოფლის ყველა ნაძირალა ზეთისხილს იპარავს. ზოგი ავაზაკი დავიჭირეთ. ხილის მკრეფავებიც გვპარავენ, მართალია, შედარებით ცოტას, მაგრამ მაინც იპარავენ. ცოტა აქ, ცოტა იქ და საკმაოდ გროვდება, თქვენო უმაღლესობავ.

ეკლესიის მეთაურის და მისი მოურავის უკმაყოფილება მინისტრმა დიდი გულისყურით მოისმინა და დაჰპირდა, რომ მისი უწმიდესობის სურვილისამებრ ენერგიული და უნარიანი პირების შერჩევით გააძლიერებდა სოფელ ზათარის პოლიციას. შემდეგ მინისტრმა წასვლის ნება ითხოვა და მასპინძელს ხელი დაუკოცნა.

მინისტრის წასვლის შემდეგ მოურავმა თქვა:

— ჩემო ბატონო, საყურადღებო საქმე მაქვს...

— თქვი...

— სოფელში მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა. სოფლელებში შფოთის სული ტრიალებს. გუშინ ისეთი რამ მომთხოვეს, რაც წინათ არასოდეს მსმენია. გასამრჯელოს მომატებას მოითხოვენ იმ მიზეზით, რომ კვლავინდებურზე მეტ საპუშაოს შესრულებას ვაიძულებთ. უყურეთ ერთი, დღიური მუშები ანგარიშს იწყებენ, თუ რა შემოსავალს იძლევა ბაღი და წილს თხოუ-

ლობენ. დიახ, ბატონო ჩემო, სოფლელები მეტად გათავხედნენ. ნეტავ ერთი მოგესმინათ რასა მღეროდნენ, როცა სამუშაოდან ბრუნდებოდნენ. ამ სიმღერაში წამდაუწუმ იმეორებდნენ სიტყვებს „ჩაგვრა“, „უბედურება“, „სიკვდილი“, „სისხლი“ და სხვა ამისთანებს. ხოლო, როდესაც ჰასამას უბეში ჩაყრილი ზეთისხილი აღმოვუჩინე, მან ყვირილი მორთო, რომ გასამრჯელო არა ჰყოფნის. ბევრჯერ გავაფრთხილე, რომ დაშოშმინებულიყვნენ, თორემ ყოველივეს თქვენს უწმიდესობას მოვახსენებდი და სასტიკად დასჯიდით. დიახ, თქვენო უწმიდესობავ, მდგომარეობა სახიფათო ხდება. გლეხებს ვეღარ ვენდობით. ჩემი აზრით, მათი განწყობილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც სოფელში ვიღაც ქემალი და სელმა გამოჩნდნენ. სოფლელები ყოველ საღამოს ამ ორი გადამთიელის ლაყბობას უსმენენ. ეს მათ ასწავლეს ზათარის მცხოვრებლებს სამართალზე, მართლმსაჯულებაზე და ჩაგვრაზე მსჯელობა. წინათ გლეხები ქედს იხრიდნენ თქვენს წინაშე, ახლა კი მთლად დაჰკარგეს ღვთის შიში.

— აი, თურმე რაშია საქმე! მამა ფარუსი ადრეც მეუბნებოდა ამ ამბავს. ჩანს, ქადაგნი ვერ ართმევენ თავს თავიანთ საქმეს. ხოლო ეგ ორი გადამთიელი უნდა გავაძევოთ სოფლიდან, ნებას არ მივცემთ, ხალხი აგვიჯანყონ. სოფლელები სიმშვიდით, მორწმუნეობით, მორჩილებითა და მოთ-

მინებით გამოირჩეოდნენ. დიახ, უნდა განვდევნოთ ეგ ორი მაწანწალა, ბატონო საად!

— გისმენთ, თქვენო უწმიდესობავ!

— ერთხელ კიდევ მწადს შენი გამოცდა, საად. ხვალ დილითვე წახვალ პოლიციის უფროსთან, მოითხოვ ორი ან სამი პოლიციელი გაგზავნონ იმ სოფელში, რომ ეს ბოროტების მთესავი მაწანწალები განდევნონ.

ამ საუბრის შემდეგ ერთი დღეც არ იყო გასული, რომ ქემალი და სელმა გაასახლეს ეკლესიის მეთაურის ბრძანებით სპეციალურად გამოგზავხილ პოლიციელთა თანხლებით, რომელნიც მისი უწმიდესობის ნება-სურვილს ასრულებდნენ. ქემალსა და სელმას სოფლელები გულდაწყვეტილნი გამოემშვიდობნენ. განვლილი .დროის მანძილზე გლეხებს ბევრ რამეზე აეხილათ თვალები, რაც წინათ არ იცოდნენ, რასაც უმალავდა მათ საერო და სასულიერო ხელისუფლება. ვიდრე განდევნილნი სოფლის გზიდან გადაუხვევდნენ შეჩერდნენ, რომ უკანასკნელად შეეხედათ მეგობრებისათვის, რომლებთანაც სამი თვე გაატარეს. დამწუხრებული სოფლელები ხელს უქნევდნენ, ეთხოვებოდნენ ძვირფას სტუმრებს...

## 5

მას შემდეგ, რაც სოფლის განაპირას, უდაბურ ადგილას, საჯიამ თავისი ვაჟი, სოსო დამარხა, მისი

მდგომარეობა სავსებით აუტანელი გახდა. საჯიას მიქელ გაბრიელის აჩრდილი ელანდებოდა, თითქოს მზად იყო დანარჩენი ორი შვილისათვის, მოესწრაფა სიცოცხლე. სოსოს სუსტი სხეული ციებამ ჩაფერფლა და მოჰკლა. საჯია მეტისმეტ გაჭირვებას განიცდიდა: დღიური გასამრჯელო ექვსიოდე ლავაშსაც არა ყოფნიდა. სოფელში არ იყო წამლები, ხოლო, როგორც გამოირკვა, ზეითუნის ფოთლების ნახარში ვერა ჰკურნავდა ციებას. სოფლელთა თანაგრძნობა და მისი უწმიდესობის უმნიშვნელო მოწყალება საკმარისი არ იყო, რომ საჯია მშვიდად შეხვედროდა ხვალინდელ დღეს. ვაჟიშვილი დაჰკარგა, და განა ასეთივე ხვედრი არ შეიძლებოდა სწვეოდა მის დანარჩენ შვილებსაც? არა, ამ სოფელში მას აღარაფრის იმედი აღარა ჰქონდა. იქნებ, ქალაქში დაბრუნება ჯობდა? იქ დაუბრუნდეს ჯაფარის სახლს და საკუთარი პატიოსნების საფასურად შვილებს მოუპოვოს ბედნიერება? კეთილი, მაგრამ როგორ განშორდეს თავისი გულის ნაწილს, რომელიც ზათარის უდაბნოში დამარხა?

საჯია თავის მოკვლასაც ფიქრობდა. მაგრამ, რაღა ეშველებოდა მის ორ პატარას? იქნებ ჯობდეს, ჯერ ბავშვები მოვწამლო და მერე თვითონ მივიღო საწამლავი, რომ მთელი ოჯახი ერთ სამარეში დავიმარხოთო?

გაუბედურებული დედა ყოველდღე დადიოდა სოსოს საფლავზე. საჯიას ეჩვენებოდა, თითქოს მე-

საფლავენი მეორე სამარეს თხრიდნენ მისი შვილებისათვის. ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მერე ისევ გონს მოვიდოდა და ბავშვებს მიმართავდა:

— არა, ჩემო პატარებო, არასოდეს არ გაგწირავთ! ყველაფერს გავაკეთებ, რომ გადაგარჩინოთ. ღმერთო, შემაძლებინე ამ ბნელი და სახიფათო გზის გაკაფვა. არა, არასოდეს არ მიგატოვებთ, ჩემო პაწაწინებო! თავს შემოგწირავთ, ოღონდ კი თქვენ მოესწრებოდეთ იმ ნეტარ დროებას, ყოველ ადამიანს რომ დააფასებენ და პატივს სცემენ მის ღირსებას.

ერთხელ, დილაადრიან საჯიამ შვილები სოსოს საფლავზე მიიყვანა, მუხლი მოიდრიკა საფლავის ბორცვთან, გვერდში ჩოიყენა მუხლმოდრეკილი ორივე ბავშვი და განსვენებულს მიმართა: „უკანასკნელად მოვედით შენთან. იძულებულნი ვართ გაგშორდეთ. გული შუაზე მეგლიჯება, ნახევარი აქა მრჩება, ნახევარი კი შენს და-ძმას ეკუთვნის. მაგრამ, სადაც უნდა წავიდე და სადაც უნდა ვიყო, მუდამ დაგიტირებ, ჩემო საყვარელო. უბედურებას გავურბივარ და შენი და-ძმა მიმყავს ამ სოფლიდან. ღმერთისათვის მიმინდვიხარ, სოსო!“ — წარმოთქვა საჯიამ და გული შეუღონდა. შეშინებულ პატარებს ეგონათ, დედა მოკვდაო. ტირილითა და ზლუქუნით დაუწყეს მას ხვევნა და ჯაჯგური. ამ მძიმე სანახაობას კიდევ უფრო საზარელსა ხდიდა უკაცრიელი მიდამო და ადრიანი დილის სამარისებური დუმილი. გონს მოსულმა

გაუბედურებულმა დედამ გულში ჩაიკრა შვილები და გადაჰკოცნა. სამივენი მწარე ცრემლს აფრქვევდნენ. შემდეგ საჯიამ ხელები ჩაჰკიდა შვილებს და ნელა გაუდგა გზას.

დაღლილ-დაქანცულმა საჯიამ და ბავშვებმა ქალაქს შუაღამისას მიაღწიეს. საჯიამ თავის ძველ მეზობელს, ლატიფას მიუკაკუნა კარზე. ლატიფა შეეცადა ნუგეში ეცა სტუმრებისათვის. მაგრამ რა ანუგეშებს შვილის დამკარგავ დედას? ლატიფა გადაეხვია პატარებს, გადაჰკოცნა და დააპურა. საჯიას კი ლუკმა პირში არ ჩაუდვია.

ორივე ქალს მთელი ღამე არ სძინებიათ. დილით საჯიამ მეზობელს ბავშვებთან დარჩენა თხოვა, ვიდრე თვითონ ქალბატონ მინიესთან მივიდოდა და სამუშაოს შოვნაში შემწეობას თხოვდა.

ქალბატონი მინიე ბაღში სეირნობდა, როცა საჯია მივიდა. მან შორიდანვე მოჰკრა თვალი საჯიას და დაუძახა:

— რა შეგემთხვა, საჯია? საიდან მოდიხარ?

— ქალბატონო მინიე, შორიდან მოველ, იქიდან, სადაც ჩემი ვაჟის, სოსოს, სამარე დავტოვე.

— რას ამბობ?! ნუთუ, საბრალო ბიჭუნა მოკვდა?..

— დიახ, ქალბატონო, მოკვდა. ახლა კი მისი და-ძმის ხვედრი მაშინებს. ქალაქში დავბრუნდი და აქ მინდა მოვძებნო ზეითუნის ხის ფოთლების ნახარშზე უკეთესი წამალი.

ქალბატონმა მინიემ სახლიდან შეხვეული საჭმელი გამოუტანა, საჯიას გადასცა, ნუგეში სცადა, არწმუნებდა, რომ აუცილებლივ გამოუძებნიდა შესაფერის სამუშაოს...

## 6

მეორე დღეს ქალბატონი მინიე გახარებული დახვდა საჯიას:

— დეპუტატი ჯაფარი დამპირდა, რომ კვლავ აგიყვანს შინამოსამსახურედ. ახლა, როცა იგი დეპუტატი გახდა, მას საოჯახო მეურნეობის გამძღოლი თანაშემწე სჭირდება. დღე და ღამე სტუმრები ჰყავს, ხოლო თუკი მინისტრი გახდება, მის სახლში უფრო მეტი სტუმრები მოიყრიან თავს. თვალსაჩინო თანამდებობის ადამიანი, მით უმეტეს მინისტრი, ხომ ყოველთვის ყურადღების ცენტრშია! გუშინ წვეულებაზე მასთან იყო ყველა მოხელე, უცხოელი ელჩი და უმშვენიერესი მანდილოსანი. ჩემს დღეში ასეთი მდიდრული წვეულება არ მინახია. აურაცხელი არაბული და ფრანგული საჭმელები. უახლოეს ორ დღეში საბოლოო პასუხი უნდა შემატყობინოს, ვფიქრობ დამთანხმდება. უნდა გამიმართლო მზრუნველობა. ეს ნობათი კი შენს პატარებს წაუღე.

ლატიფას ბინაში საჯია დაბნეული დაბრუნდა. არ უნდოდა ჯაფართან სამსახური მას შემდეგ, რაც იქ თავს გადახდა. ქალბატონ მინიეს რომ სცოდნო-

და ყველაფერი, ალბათ, სხვა ადგილს გამოუძებნიდა. ხომ არა ჯობს უამბოს ყოველივე? არა, საჯია თვითონ იშოვის სამუშაოს და ეს საიდუმლოც მის გულში დაიმარხება.

— ლატიფა, კიდევ ორიოდე დღე შეგაწუხებ, ვიდრე სამუშაოს მოვძებნიდე. ხელი გამიმართე და სამუდამოდ დავალებული ვიქნები შენგან.

— მეგობრად და დად მიგულე, საჯია. შენი ბავშვები კი ჩემს შვილებად მიმაჩნია. ყველა ლატაკი — ერთმანეთის ჭირისუფალია.

სამუშაოს ძებნაში საჯიამ მთელი ქალაქი შემოიარა. გაგონილი ჰქონდა, რომ ბატონ ჟოზეფს შვილებისათვის ძიძა სჭირდება და მის სახლს მიადგა. შინ ჟოზეფის ცოლი დახვდა. თხოვნა მოისმინა და ჯერ თანხმობა უთხრა, მერე კი უარი სტკიცა, იმ მიზეზით, რომ საჯია ორი შვილის პატრონია, ხოლო მას უშვილო ძიძა უნდა აიყვანოს, რომ მთელი დრო და უნარი ამათ საოჯახო საქმეებს შეალიოს.

— საჯია, შენ ვერ შესძლებ ჩვენთან სამსახურს. მოახლე დღედაღამ ჩვენთან უნდა იყოს. შენ კი შვილები გყავს?

— ქალბატონო, შემიძლია გარიჟრაჟზე მოვიდე და გვიან ღამით წავიდე, როდესაც თქვენი ბავშვები დაიძინებენ.

— ბავშვებს შეიძლება ღამეც დასჭირდე. ვთქვათ, რომელიმე მათგანი შეუძლოთ გახდა, ვინ-

ღა მიხედავს? მე და ჩემი მეუღლე საღამოობით თითქმის არასდროს შინ არ ვართ.

— ღმერთმა დაგიფაროთ და თუ საჭირო იქნა, ღამითაც დავრჩები.

— გაგიძნელდება, საჯია. ხომ ვერ გაჰყოფ გულს ჩვენსა და შენს შვილებს შორის.

საჯია იმედდაკარგული გამოტრიალდა, დარწმუნდა, რომ ორი შვილის პატრონი მოახლედ ვერ მოეწყობოდა. მაგრამ ეგების ქარხანაში, ან სამკერვალო საამქროში იშოვოს სამუშაო.

ალ-მაუდის უბანში საჯიამ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კარზე მიაკაკუნა და დარაჯსა ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა დირექტორის ნახვა.

— რად გინდა დირექტორი?

— მინდა ფაბრიკაში ვიმუშაო.

— ათეული ქალი და კაცი მოდის მაგისთვის ყოველდღე, არა მგონია, რომ ადგილი იყოს... ცოტა დაიცადე, ვიკითხავ.

ნახევარი საათის შემდეგ დარაჯი დაბრუნდა და თქვა, რომ დირექტორი სულგრძელი და ზრდილობიანი ადამიანია და სთხოვს კაბინეტში ეწვიოს.

— დილა მშვიდობისა, ბატონო.

— რა გნებავთ?

— სამუშაოს ვეძებ. წერა-კითხვა კარგად ვიცი, ცოტაოდენი ფრანგულიც მეხერხება.

— როგორი სამუშაო გსურთ?

— ყოველგვარ სამუშაოზე თანახმა ვარ. ორი შვილი მყავს შესანახი.

— ჩვენ აქ მცირე ხელფასს ვუხდით მუშებს. სამ სულს იგი შესაძლოა არ გასწვდეს. მოსალოდნელ ომზე ატეხილმა აყალმაყალმა მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა. იძულებული ვართ ხარჯი შევკვეცოთ.

— ყოველგვარ გასამრჯელოზე თანახმა ვარ. ოღონდ შვილებს სული შევუნარჩუნო, და მე მეტი არა მინდა რა...

— ახლა მთავრობის მიერ გამოცემული კანონის თანახმად, ხელფასის გარდა მუშებს დახმარება უნდა ეძლეოდეთ ოჯახის წევრებისათვის. როგორც ჩანს, მთავრობას ჩვენი ქარხნების დახურვა სწადია. მაგრამ, მაშინ მუშებს რაღა ეშველებათ?

— აბა რა ვიცი, მე სამუშაო მინდა.

— ყველანი ერთსა და იგივეს იმეორებთ, მაგრამ, როგორც კი სამუშაოს მიიღებთ, ჩვენს წინააღმდეგ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს აწყობთ და ამ დაწყევლილი კანონის შესრულებას მოითხოვთ. არა, ჩემო დაო, თქვენთვის არა მაქვს სამუშაო. ჩვენ ახლა უშვილოების დაქირავებას ვამჯობინებთ.

საჯია გულგატეხილი გამოვიდა დირექტორის კაბინეტიდან. ნუთუ შვილები არიან საბაბი ყველა უბედურებისა? მაგრამ, ხომ ამბობენ, რომ შვილები ცხოვრებას ამშვენებენ.

ბოლოს საჯიამ გადაწყვიტა დიდ სამკერვალო ქარხანაში „რემი მოდში“ მისულიყო. მაგრამ აქაც უარი სტკიცეს იმ საბაბით, რომ ფაბრიკის ყველა

კლიენტი მოდების მოყვარული არისტოკრატიაა, და რომ საჯიამ მკერავის ხელობა არ იცოდა, ხოლო ფაბრიკაში მომუშავე ქალთა უმრავლესობას პარიზში აქვს შესწავლილი ჭრა-კერვა.

კიდევ ბევრს დაუკაკუნა კარზე საჯიამ, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ მიიღო. ოცგან მაინც მიაკითხა საჯიამ სამუშაოს. ზოგან ზრდილობიანად ეუბნებოდნენ უარს, ზოგან კი დაცინვით. ჩანს, შვილებიანი ქალისათვის უაზრო იყო სამუშაოს ძებნა. ნეტავ ვინმე მაინც დახმარებოდა, შვილები სკოლაში, ან ობოლთა თავშესაფარში მოეწყო. თუმცა, ამისათვის ხომ გავლენიან პირთა პროტექცია იყო საჭირო, ხოლო საბრალო და მარტოხელა ქალს საიდან ეყოლებოდა მფარველები?

ერთ საღამოს, როცა საჯია სამუშაოს მორიგი ძებნის შემდეგ დაბრუნდა, ლატიფამ შეატყობინა, რომ ქალბატონ მინიეს სურს საჯიას ნახვა და დილისათვის დაიბარა იგი.

## 7

— რა ქენი, საჯია, ჯერ ვერ იშოვე სამსახური?

— ვერა, ჩემო ქალბატონო. მთელი ქალაქი ამაოდ შემოვიარე. ჩანს ქალბატონო მინიე, ტანჯვა-ვაება ყოფილა ჩემი ბედისწერა. ხოლო, სვე-ბედთან ჭიდილში ვერაფერს გავხდი.

— დეპუტატი ჯაფარი გუშინ ჩემთან იყო, ძალიან უნდა მოახლედ აგიყვანოს. დღეს ოთხ საათზე მიდი მასთან.

საჯიას ფერი წაუვიდა, აზრები აერდაერია. უცებ გაახსენდა ჯაფარის სახლში გატარებული დღეები. ჯაფარმა თავი რომ მოიავადმყოფა... გაუპატიურება დაუპირა... ლოშნიდა... ფული მიაჩეჩა...

— რა მოგდის, საჯია?

— არაფერია, ქალბატონო მინიე. ჩემნაირი ადამიანებისათვის ვგონებ სიკვდილი უმჯობესი იქნებოდა.

— ეგრე რატომ ლაპარაკობ? ბედი გქონია — ჯაფარის სახლში იმსახურებ. ჯაფარი მდიდარი კაცია, დეპუტატია, და, შესაძლოა, ხვალ მინისტრიც გახდეს. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ უცოლოა, შინ ქალი არა ჰყავს, რომელიც შეგავიწროვებდა. თუკი მის კეთილგანწყობას დაიმსახურებ, მის სახლში ნამდვილი დიასახლისი იქნები. ჯაფარი ოთხი საათისათვის გელოდება...

— ბატონო, ვიღაც ქალს სურს თქვენი ნახვა, — მოახსენა მსახურმა ჯაფარს.

— შემოუშვით.

საჯია იმდენად იყო შეცვლილი, რომ ჯაფარი განცვიფრდა. მის წინ გამხდარი, მოდუნებული და დაბნეული საჯია იდგა. თუმცა ქალის გარეგნობა მის თანაგრძნობას იწვევდა, ძველი ვნებათა ღელვა ისევ ღვიოდა.

— ქალბატონ მინიესაგან შევიტყვე, რაც თავს გადაგხდა აქედან წასვლის შემდეგ. რა სათქმელია, ამ საშწუხარო ამბებმა მეტად შემაფიქრიანა. იმედი მაქვს, ახლა მაინც მიხვდი, როგორი მცდარი ნა-

ბიჯი გადადგი მაშინ. შენი ახლანდელი მდგომარეობა ძალიან მაწუხებს. მზად ვარ წარსული დავივიწყოთ და კვლავ მოგცე წინანდელი სამსახური თუმცა, ახლა დეპუტატი ვარ და მსახურიც მეტი მჭირდება, — რადგან წვეულებების მოწყობა, ამომრჩეველთა და მრავალ სხვათა მომსვლელთა მიღება მიხდება. მაგრამ შენ განსაკუთრებულ პირობებს შეგიქმნი. მსახურთა უფროსად დაგაყენებ. შენს ბავშვებს სკოლაში მოვაწყობ. მე ეს არაფრად მიღირს — საკმარისია ერთი სიტყვა ვუთხრა მინისტრს. ცალკე ბინას მიგიჩენ მეორე სართულზე, შენთვის და შენი შვილებისათვის. მზამზარეული სუფრის გარდა ყოველთვიურად ორმოცდაათ ლირას მიიღებ. ბავშვებს ტანსაცმელი, კვება და სწავლა სჭირდებათ. ყველა შურის თვალით შეგხედავს და მლიქვნელობას დაგიწყებს. შეგიძლია ახლავე შეუდგე საქმეს. ჩემი სახით ყველაზე მოსიყვარულე და ახლობელი ადამიანი გეგულება.

ჯაფარი სავარძელთან იდგა, რომელშიაც მდუმარედ იჯდა საჯია. ლაპარაკი რომ დაასრულა ჯაფარმა, მარჯვენა ხელზე მოუჭირა ხელი საჯიას, მარცხენა ხელის იდაყვით კი თავისკენ მიიზიდა.

როცა საჯია დაბრუნდა ლატიფთან, პატარა სამია ჩალის ქვეშაგებზე იწვა. ბალღს ციების შეტევა დასწყებოდა, ლატიფა მზრუნველად დასტრიალებდა თავს პატარას. დასათბუნებლად ბავშვისათვის ყველა ძონძმანძი გადაეხურა. რაც კი რამ სახლში ებადა.

— რა დაემართა ჩემს გოგონას?

— ნუ გეშინია, საჯია, ციება მალე გაუვლის. შვილების გამოზრდა ადვილი როდია, ჩემო დაიკო. ქინაქინას მივაღებინებთ და გამოკეთდება.

— ვაიმე, დაწყევლილი ვარ ამ ციებით. აქაც თან გამომყოლია. ზათარში სოსო გამომგლიჯა ხელიდან, აქ კიდევ სამიას წართმევა უნდა. ეს რა უბედურებაა ჩემს თავს!

— სამიას არავითარი ხიფათი არ მოელის. ეს ჰაერის გამოცვლის შედეგია.

— მაშ, განა ციებას მარტოოდენ ზეითუნის ხის ფოთლების ნახარშით არ ჰკურნავენ? მერედა სად ვიშოვით ქინაქინას?

— ახლავე წავალ ქალბატონ მინიესთან. წითელი ჯვრის საზოგადოება უსასყიდლოდ აძლევს ქინაქინას იმათ, ვისაც ყიდვის საშუალება არ აქვთ.

ერთი საათის შემდეგ თვით ქალბატონი მინიე მოვიდა საჯიას და მისი ავადმყოფი გოგონას სანახავად.

— ქალბატონო მინიე, ნუთუ სამიაც მოკვდება?

— დამშვიდდი, საჯია. ჩვენს უბანში ბავშვების უმეტესობა ციებიანია. მითხარი, ჯაფარი ნახე?

— ვნახე, ქალბატონო, და მასთან დაბრუნება გადავწყვიტე, რაც უნდა მოხდეს. რას იზამ. სიკვდილი უფრო საზარელი ყოფილა. ქალბატონო, სამია გამოკეთდება?

— ნუ სწუხარ, საჯია. ხვალ ქინაქინას გამოგიგზავნი. ერთი დილით მიაღებინე, მეორე — შუა-

დღისას, მესამე — საღამოს. შემდეგ კი ყოველ კვირა ორ-ორი აბი მიაღებინე.

— დედიკო, მცივა... მცივა...

მეორე დღეს საჯიამ ჯაფართან დაიწყო მუშაობა. იგი შეურიგდა თავის ბედს. საჯია შვილების გადასარჩენად მზად იყო თავი გაეწირა.

## ნაწილი მეოთხე

### 1

ქემალი და სელმა მხოლოდ ღამით ჩაიყვანეს ქალაქში და პოლიციის სამმართველოში მოათავსეს. სამუშაო დღე აქ უკვე დასრულებული იყო და უფროსების მოლოდინში ახალგაზრდები დილამდე სარდაფში ჩასხეს. ბნელ და ნესტიან სარდაფში დაპატიმრებულნი მობუზულები ისხდნენ, სინათლე სარკმელიდან ძლივს აღწევდა. სიდამპლის და სიბინძურის სუნით იყო ჰაერი გაჟღენთილი. ერთი სკამის გარდა, რომელზედაც პატიმრები რიგრიგობით ისვენებდნენ, სარდაფში სხვა ავეჯი არ იყო. კუთხეში დოქით წყალი იდგა. ღამის სიცივის, შიმშილის და მცველების ყვირილის გამო იატაკზე მწოლარე სელმას და ქემალს წუთიერი დასვენების საშუალება არ მიეცათ.

მძიმე ფიქრები რომ რამენაირად გაეფანტათ, სელმა და ქემალი ბანქოს თამაშში გართული მცვე-

ლების საუბარს უგდებდნენ ყურს და ისე გაატარეს დამქანცავი ხუთი საათი.

— საიდან მოიყვანე ეგ წყვილი, აზამ?

— გუშინ მივიღე სოფელ ზათარში წასვლისა და მათი დაპატიმრების ბრძანება. არ ვიცი ვინ არიან — ცოლ-ქმარი, საყვარლები, თუ ჩვეულებრივი ქურდბაცაცები.

— რა ლამაზი ქალია! ნება მომეცი, მე დავუდგე მას დარაჯად!

— როგორ არა გრცხვენია, არიფ, იქნებ პატიოსანი ქალია. ჩვენ ხომ არ ვიცით რისთვის დაპატიმრეს.

— ოჰო, ჩვენს სერჟანტს კანონებიც სცოდნია.

— გვეყო ხმაური, მეგობრებო. მოდით ცოტა წავიძინოთ.

— ცხრიანი!

— სადა სჩრი ცხრიანს, ვერა ხედავ, ჯერ ცხრიანები არ გამოსულა, თუ ღვინომ აგირია გონება?

— არა, შეპყრობილმა ჩიტუნიამ დამასხა თავრეტი.

— ხომ გითხარით, ჭკვიანად იყავით-მეთქი, თორემ ქაღალდის თამაშსა და ღვინის სმას აგიკრძალავთ. კაფე-რესტორანში როდი ვართ, ჩვენც აქ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებთ.

დაპატიმრების ორდერში სერჟანტმა ქემალისა და სელმას გვარები ამოიკითხა. ქემალის სახელი ეცნაურა. გადაშალა იმ პირთა სია, რომელთაც პოლიცია ეძებდა და გაიგო, რომ ქემალი სწორედ

იმ ფაბრიკაში მუშაობდა, სადაც სამი თვის წინათ გაფიცვა მოეწყო. ქემალის სახელის გასწვრივ აღნიშნული იყო, რომ იგი გაფიცვის ერთ-ერთი წამომწყები იყო და დემონსტრაციის მეთაური, როცა დემონსტრანტებსა და პოლიციელთა შორის მომხდარი შეტაკების შედეგად სამი პოლიციელი მძიმედ დაშავდა.

სერჟანტმა გულით გაიხარა, რომ ის მავნე პიროვნება, პოლიციას რომ ესოდენ დიდი საზრუნავი გაუჩინა და ზიანი მიაყენა, დაპატიმრებული იყო. საქმის ვითარება რომ გაიგეს, პოლიციელებმა სარდაფის სარკმლიდან დაუწყეს თვალიერება ქემალსა და მის მეუღლეს და ჩურჩულით გამოთქვამდნენ ვარაუდს, თუ რა უნდა მიესაჯათ მათთვის.

ქემალი და სელმა მცველთა ოთახის გვერდით მდებარე კედელთან იყვნენ ატუზულნი და სულგანაბულნი უსმენდნენ პოლიციელთა საუბარს. მცველებმა ბანქოს თამაშს თავი ანებეს და გაფიცვებისა და დემონსტრაციების მიზეზებზე გააბეს საუბარი, აგრეთვე გაფიცულებთან შეტაკებების შედეგად დაპატიმრებულებისა და დაჭრილ-მოკლულთა შესახებაც. მცველთა საუბარმა იმდენად დააინტერესა ქემალი და სელმა, რომ დაღლილ-დაქანცულობა, შიმშილი და სიცივე დაავიწყდათ. ყურმოკრულმა საუბარმა უფრო განამტკიცა დაპატიმრებულთა გადაწყვეტილება — განეგრძოთ ბრძოლა ხალხის ინტერესების დასაცავად. როდესაც სერჟანტმა ოთახის კარი მიიხურა და ხვრინვა

ამოუშვა, პოლიციელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და გულახდილად ალაპარაკდნენ. სიჩუმე პირველად მუსადმა დაარღვია:

— ამ პატიმარს იმ დღიდან ვიცნობ, სხვებთან ერთად, სელიმ ალკაბისის ბინაზე რომ დააპატიმრეს. გახსოვს, ჰასან? მის დედასაც ვიცნობდი. როდესაც დედამ შვილის დაპატიმრების ამბავი შეიტყო, დამბლა დაეცა. ორიოდე დღე იცოცხლა მის მერე და გარდაიცვალა. მალე მისი დაც მიჰყვა. ქემალი კარგი და ჭკვიანი ყმაწვილია. მისი დანაშაული ისაა, რომ მუშებისა და ღატაკების, ჩვენს უფლებებს იცავს. ბრალად სდებენ, რომ იგი კომუნისტია.

— კომუნისტური პარტიის არსებობა ჩვენში კანონით არის აკრძალული, მეგობარო! ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კომუნიზმი კი ეწინააღმდეგება დემოკრატიას.

— დემოკრატიის წინააღმდეგია? ჩანს, იმგვარი დემოკრატიისა, როცა რამოდენიმე ადამიანი განცხრომაშია, ხოლო უმრავლესობას კი პურისა და წყლის მეტი არაფერი აბადია.

— ესე იგი ფაშების, ბეგებისა და მდიდრების დემოკრატიის მოწინააღმდეგე ყოფილა.

— თქვენ რაღაცას ურევთ. მაგას უმუშევართა დემოკრატიას უწოდებენ.

— ეგ რა ჩვენი საქმეა? ჯობს ისა თქვით, ამ პატიმრებს რა მოელით?

— ხვალე დაკითხვა, მერე ციხე, შემდეგ სასა-

მართლო, შემდეგ კი... ღმერთმა უწყის, რა მოელით.

— თუ კომუნისტები არიან, მეტად სასტიკ განაჩენს გამოუტანენ. თუ არადა მაინც სათანადოს მიუსჯიან, როგორც აჯანყებულებს.

— მაშ, ვინც თავის უფლებებს იცავს, ჯანყისთავი ყოფილა, გამოდის, არა?

— დიახ, მაგრეა. უფლება უნდა მოგანიჭონ, ბრძოლით მისი მოპოვება ნებადართული არ არის. ამჟამად მთელი ქვეყნიერება არეულ-დარეულია. ჩვენს ხელისუფალთ უნდათ სტაბილიზაციას მიაღწიონ. სტაბილიზაცია იმას ნიშნავს, რომ როგორიც მდგომარეობა იყო, ისეთივე, უცვლელი უნდა დარჩეს. ძლიერი ნთქავს სუსტს. პატარას კიდევ დიდი. თევზივითა ჰყლაპავს. ყველას ენიჭება თავისუფლება, ვაჭარს რა ფასებშიც სურს, იმ ფასებში ივაჭრებს, მეწარმე თავისუფალია დაიქირავოს და სამუშაოდან დაითხოვოს ვინცა სურს და როდესაც მოესურვება. ხოლო შენ თავისუფალი ხარ, გინდა იმუშავე, გინდა იშიმშილე და თუ გნებავს მოკვდი კიდევაც. გაუმარჯოს თავისუფლებას!

— სამწუხაროა, მეგობრებო, რომ ამ პატიმრების მაგვარ ადამიანებს ტანჯავენ. ისინი ხომ მარტო თავისთვის არ იბრძვიან, არამედ, ყოველი ღატაკი და მდაბიო ადამიანისათვის, და განა ჩვენც მათ, ამგვარი ხალხის რიცხვს, არ ვეკუთვნით? უფრო მეტად სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ჩვენ, ჩაგრული კლასის შვილები, იძულებულნი

ვართ ეს ბაბაცი მებრძოლნი ვდევნოთ, ციხეში ჩავსვათ და ხშირად თოფიც ვესროლოთ. ღმერთმა დასწყევლოს ამგვარი სამსახური!

— სამაგიეროდ, ძმაო, ლუკმაპური გაგაჩნია. ღმერთი იყოს ჩვენი მსაჯული!

გათენებისას სარდაფის კარი გაიღო. რამოდენიმე მცველმა პატიმრებს მცირეოდენი საჭმელი მოუტანა. პოლიციელები უღიმოდნენ მათ. ქემალმა და სელმამ კეთილმოსურნეთა შორის იგრძნეს თავი. სანამ სერჟანტს გამოეღვიძებოდა, მცველები სარდაფიდან გამოვიდნენ და კარი გამოიკეტეს.

მეორე დილით ყველა გაზეთი იტყობინებოდა ქემალ მარზუკისა და სელმა ტარაფის დაპატიმრების ამბავს.

## 2

დეპუტატად არჩევის შემდეგ ჯაფარის სახლში წვეულებები და საღამოები უფრო ხშირად იმართებოდა. ამა ქვეყნის ყველა დიდებული, თანამემამულე და უცხოელიც, სხვადასხვაგვარი საქმიანი რჩევის მისაღებად ჯაფართან მიდიოდა, მას მიმართავდა. ჯაფარი მოხერხებულად და ეშმაკურად აწყობდა თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ კომბინაციებს. ბევრ გაზეთს უწევდა ფინანსიურ დახმარებას. თუ ყველა ჟურნალისტი არა, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა ჯაფარის ინტე-

რესებს ემსახურებოდა და ძის კეთილგანწყობის, ძიებაში იყო. გარდა ამისა ჯაფარს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ამერიკისა და ევროპის ფინანსისტთა წრეებში. ვიდრე იგი მხოლოდ მეწარმე იყო, ამ წრეების წარმომადგენელნი მაშინაც ცდილობდნენ ჯაფართან დაახლოებას. ეს მისწრაფება მათ უფრო მეტად მას შემდეგ გაუძლიერდათ რაც ჯაფარი დეპუტატად აირჩიეს და იგი უკვე უშუალო გავლენას ახდენდა ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე.

თავისი სახელოვანი მეგობრის, უცხოელი ელჩის ბრაუნის პატივსაცემად გამართულ წვეულებაზე, ჯაფარმა საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელნი და მაღალი წოდების ულამაზესი და უმშვენიერესი მანდილოსნები მიიპატიჟა. ამით მას სურდა, ერთი მხრივ, ელჩის თვალში ავტორიტეტის ამაღლება, ხოლო მეორე მხრივ, ეგრძნობინებინა სტუმრებისათვის, თუ რარიგად აფასებენ მას დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, რომელთანაც ჯაფარს სხვადასხვაგვარი პოლიტიკური და კომერციული ინტერესები აკავშირებდნენ.

— თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი კომერსანტი ბატონი რაიმონი და მისი მეუღლე. ეს ჩემი კოლეგა გახლავთ, დეპუტატი ჰასან-ბეგი, თქვენი დიდი პატივისმცემელი. ეს კი ქალბატონი მადლენია, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. ქალბატონო მადლენ, აი ესეც თქვენი

ახალი კლიენტი. ქალბატონი ბარიკა — ქვეყნის უმშვენიერესი მანდილოსანი. ეს კი შაქიბ-ბეგი გახლავთ, დაზვერვის სამმართველოს უფროსი. ასამი და მისი მეუღლე, ქალბატონი მინიე, წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე. ეს კი „სახიფათო ჟურნალისტთა“, გაზეთ „ახალი ცხოვრების“ მფლობელი. მისი სიტყვა — ბასრი ხმალია, წერილები — ცეცხლმფრქვევი ვულკანი, თუმცაღა იგი ჩვენი ერთგული ადამიანია.

— მე და ჩემი მეუღლე მადლობელი ვართ გულთბილი მიღებისათვის, ბატონო ჯაფარ, თქვენ კიდევ ერთხელ დამისაბუთეთ ყოველივე, რაც აქ ჩამოსვლამდე მქონდა გაგონილი თქვენს ქვეყანაზე და ხალხზე. თქვენი ქვეყანა მართლაც მსოფლიოს ულამაზესი მხარეა. აქ, თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ჩვენ გვიყვარს თქვენი ქვეყანა და ჩვენი სანუკვარი ოცნება მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება. არ დაგიფარავთ, ბატონო ჯაფარ, რომ ჩემი მთავრობისაგან მითითება მაქვს, ყოველმხრივ დავეხმარო თქვენს შესანიშნავ სამშობლოს. უფრო მეტიც, ჩვენ მზადა ვართ ყოველნაირი თავდასხმისაგან დაგიცვათ, ვინც არ უნდა იყოს ასეთი თავდამსხმელი. ჩვენ არავისი გვშურს, რადგან თვითონა ვართ მდიდრები და გვსურს სხვებსაც გავუზიაროთ ჩვენი უხვი საქონელი... რამოდენიმე პროექტი მაქვს პორტფელში. ამ პროექტებს განსახილველად აქაურ ფინანსისტებსა და ექსპერტებს გადავცემ:

თუკი თქვენ ამ გეგმების განხორციელებაში დაგვეხმარებით და არ დაუშვებთ, რომ მტერმა ხელები აფათუროს, ჩაერიოს და გაგვიფუჭოს საქმე, თქვენს ქვეყანას ჩვენ ნამდვილ წალკოტად გადავაქცევთ...

— ხომ გაიგონეთ, სამირ? ხვალვე დაბეჭდეთ „ახალ ცხოვრებაში“ ბატონი ელჩის საუბარი. ამითი თქვენ სამშობლოს გაუწევთ სამსახურს. ყოველი ჩვენგანი, პოლიტიკოსი და ფინანსისტი, დეპუტატი და ჟურნალისტი, ერთობლივად უნდა იღწვოდეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, იბრძოლოს მისი აყვავებისა და დამოუკიდებლობისათვის. თქვენ, სამირ, ყველაზე უკეთ შესძლებთ ამ თემის გაშუქებას. ჰო, მართლაც გაზეთ „ახალი ცხოვრების“ ტირაჟი უნდა გაიზარდოს. სტამბა არ გაკმაყოფილებთ? ახალ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ სტამბას აგიშენებთ.

— ბატონო ჯაფარ, თხოვეთ ელჩს, კომპანია „ნეიშნელში“ მოაწყოს ჩემი ძმა. კიდევ ერთი პირობა. სამწუხაროდ, ყველა როდია დარწმუნებული, რომ ის ღონისძიებანი, რომელთა შესახებ ბატონმა ელჩმა მოგვახსენა, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ არის მიმართული, მაგრამ მათი განხორციელება მოგებას მოუტანს მათ, ვინც ამ საქმეს დააფინანსებს, ე. ი. ბატონი ელჩის თანამემამულეებს. ზოგიერთი გაზეთი უკვე წერს, რომ ეს იმპერიალისტური პროექტებია და, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, მათ წინაღმდეგ ბევრი ამხედრდა,

რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს. პატივცემულო ბატონო დეპუტატო, თუ ელჩს სურს, რომ საქმე მისი გეგმის მიხედვით წარიმართოს, საჭირო იქნება ფართო კონტრპროპაგანდის გაშლა. ამას კი განსაზღვრული ხარჯები დასჭირდება, თუმც ის ხარჯები არაფერია ჩვენს მოგებასთან შედარებით.

— თვით ეშმაკი გიზით სულში, სამირ. ხომ გითხარით, ჩემი იმედი გქონდეთ. მე მინდა, რომ თქვენ ბურთი ჩასჩაროთ პირში ამ ძირგამომთხრელ აგიტაციას. ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამერიკელთა გეგმებით, და, ჩვენც სასარგებლონი ვიყვეთ მათთვის. მეწარმენი მოგებას მიიღებენ, მუშები — სამუშაოს, ხოლო ყოველი ჟურნალისტის გასამრჯელო კი თვით მის დამსახურებასა და პრესაში გამოსვლის აქტიურობაზე იქნება დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, „ელვის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული მაჯიდის წერილი შეგვიძლია, სულაც არ მივიღოთ მხედველობაში. მაჯიდი კომუნისტია და უცხოეთის სახელმწიფოს დაქირავებული აგენტი.

— ბატონო ჯაფარ, ამ ხალხის მნიშვნელობის უგულვებელყოფა არ გმართებთ. ჩვენში ათიათასობით უმუშევარია, რომელთაც არც თავისი თავისა და არც ოჯახების რჩენა არ ძალუძთ. მათი კომუნისტებად გამოცხადება საკითხის გადაჭრა როდია. განა მართლა მისცემენ უმუშევართა უმრავლესობას სამუშაოს უცხოელთა ამ ახალ საწარმოებში? ვთქვათ, ორასიოდე მუშამ მიიღოს

სამუშაო, სხვა მუშებს უცხოელები თავისი ქვეყნიდან ჩამოიყვანენ.

— რას ლაპარაკობთ, სამირ? კომუნისტივით მსჯელობთ. თვითონ დაინახავთ, რა დიდ სარგებლობას მიიღებს ჩვენი ქვეყანა იმ გეგმების განხორციელების შედეგად, რომლებსაც ბატონი ელჩი გვთავაზობს...

ვიდრე წვეულებას დატოვებდა, ელჩმა სათითაოდ ჩამოუარა სტუმრებს და მეგობრულად ჩამოართვა ხელი. ელჩებისათვის მიზანშეწონილია, მრავალი გავლენიანი მეგობარი გაიჩინონ იმ ქვეყანაში, სადაც თავისი სახელმწიფოს მიერ არიან წარგზავნილნი. როდესაც ემშვიდობებოდა სამირს, რომელიც ჯაფარმა ელჩს „საშიშ ჟურნალისტად“ წარუდგინა, ბრაუნმა წინადადება მისცა მას, საელჩოს საინფორმაციო ბიუროს სწვეოდა.

## 3

დეპუტატ ჯაფარის სახლში საჯია საფუძვლიანად დასახლდა. ჯაფარის აზრით, ვერც ერთი ქალი ვერ გაუძღვებოდა ოჯახის მეურნეობას, ვერ დაამზადებდა საჭმელს და მოსამსახურე პერსონალს ვერ უხელმძღვანელებდა საჯიაზე უკეთესად. ჯაფარი არც არაფერს ეკითხებოდა და არც რაიმეში ანგარიშს სთხოვდა საჯიას. გრძნობდა მის ერთგულებასა და ყველაფერს, თავის სახლს, ავლა-დიდებას და ფულსაც ანდობდა. ყველა მსახური ვალ-

დებული იყო საჯიას განკარგულება შეესრულებინა. მას სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა მინიჭებული, როცა კი მოისურვებდა, შეეძლო წასულიყო, თავისი ბავშვები მოეყვანა, რაც უნდოდა ეყიდნა მათთვისა და თავისთვის. დილაობით ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, საღამოებს კი დედასთან ატარებდნენ, ხოლო თუ ჯაფარს სტუმრები არა ჰყავდა, თვით ჯაფართან ერთობოდნენ.

ჯაფარს სურდა, რომ საჯია ყოველთვის ლამაზად ყოფილიყო ჩაცმული და ამისათვის ფულს არ იშურებდა. დღისით დატვირთული იყო თავისი საკომერციო საქმიანობით, პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრებით, ხუთი კომპანიის გამგეობათა სხდომებისა და თათბირებში მონაწილეობით, რომელთაგან ზოგს თვითონ მეათურობდა, ზოგის კი მხოლოდ წევრი იყო. მეწარმე, კომერსანტ და პოლიტიკოს ჯაფარს თავის მრავალფეროვან მოღვაწეობაში შორსმჭვრეტელობა და თანაბარი ყურადღების მიქცევა მართებდა საქმიანობის ყველა მხარისათვის.

თავისი კაპიტალების, საწარმოებისა და კომერციული ოპერაციების წყალობით, ჯაფარმა შესძლო არჩევნებში გამარჯვება და პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივება. ახლა ცდილობდა თავისი პოლიტიკური გავლენა პირადი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ყოველ მის ნაბიჯსა და გეგმას განსაზღვრული მიზანდასახულება ჰქონდა. იმ მრავალმხრივ საქმოსანს, როგორიც ჯაფარი იყო,

მოსვენება არა ჰქონდა, ამას იმგვარი ადამიანი სჭირდებოდა, რომელიც მასზე იზრუნებდა. ლამაზი, კეთილი და ერთგული საჯია, სწორედ ასეთი ქალი იყო, როგორსაც იგი ეძებდა. საჯიასთან ყოფნა ყოველთვის სიხარულს ანიჭებდა ჯაფარს. სიღატაკემ საჯიას ხელიდან ვაჟიშვილი გამოსტაცა და ჯაფარი რომ არ ყოფილიყო, დანარჩენი ქალ-ვაჟიც დაეღუპებოდა. საჯიას ჯაფარის მხარდაჭერა სჭირდებოდა, ჯაფარს კი საჯიას მეგობრობა.

— გადაღლილი ხართ, ბატონო ჯაფარ, ჯან-მრთელობას არ უფრთხილდებით. რა ფასი აქვს ფულს და მაღალ თანამდებობას, თუკი დასვე-ნების დრო არ გექნებათ?

— რა ვქნა, საჯია? ყველა მე შემომყურებს. ჩემგან მოელის ყველა საკითხის გადაწყვეტას. მინისტრთა საბჭო მოითხოვს, რომ დეპუტატები დავითანხმო, მხარი დაუჭირონ მთავრობას. საქონელზე ფასების შეზღუდვისათვის ვაჭრებს სურთ სამაგიერო მიუზღან მთავრობას. მეწარმენი მათი ინტერესების დაცვას მოითხოვენ. მაგრამ, ყოველივე ეს არაფერი არ არის მუშათა საკითხთან შედარებით. ყოველდღე გაფიცვა და დემონსტრაცია ეწყობა. გაფიცულთა სიმართლის დასასაბუთებლად სიძვირეზე მიუთითებენ, თითქოს სიძვირის მოსპობა ჩვენზე იყოს დამოკიდებული! მეტად დიდ მოთხოვნილებებს აყენებენ, ვერაფერი ველარ დააკმაყოფილებს. მუშებში კომუნიზმის სულისკვეთება ვრცელდება. მე კი, ერთი მხრივ,

მაინც იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო მათ. მეორე მხრივ, საქმის ინტერესები მოითხოვენ, რომ ავლაგმო მათი აღვირახსნილობა. მუშები პურის, ტანსაცმლის და ყავის სიძვირესაც კი უჩივიან, თითქოს მუშისათვის ყავის სმა აუცილებელი იყოს. აღარავის სურს შეძლებისდაგვარად იცხოვროს. თუმცა, კმარა საქმეებზე სჯა-ბაასი, ამისათვის დღეც საკმარისია, ხოლო ღამე მაინც ჩვენთვის იყოს, საჯია. მეკარეს უთხარ, რომ შინ არა ვარ და არავინ შემოუშვას. შენთან მსურს განმარტოება.

ჯაფარმა ხელი მოხვია საჯიას და ტახტზე მოისვა. როდესაც ღვინომ სძლია, ჯაფარმა თავისი გულის ნადები გადაუშალა საჯიას, გაუმჟღავნა მას ჩვეულებრივ დაფარული ზრახვები, თუ რას უმზადებდა იგი მინისტრს, ბატონ არიფს მის კონკურენტს — კომერციულ საქმიანობაში; ან კიდევ მის ქარხანაში გაფიცულ მუშებს, რომლებიც აჯანყებას აპირებდნენ;

— მე მათ ვუჩვენებ, რა ძალა აქვს ჯაფარს. გაფიცვის ყველა მოთავეს შიმშილით ამოვახრჩობ. საპყრობილეში ამოვალპობ. დე იცოდნენ, ვინ არის ჯაფარი! არა, საჯია, ნუ ცდილობ შეამსუბუქო მათი დანაშაული. ნუ მიენდობი მათ შთაგონებას. ჩვენ მათ არაფერს ვაკლებთ. ეგ ხალხი ადამიანური მოპყრობის ღირსი არ არის. „თუ შეიბრალებ მდაბიოს-ჯანყი აუცილებელია“. შენ მათ აღარ ეკუთვნი, საჯია. ახლა შენ მათზე გაცილე-

ბით მაღლა დგახარ. საზოგადოებრივ და ოჯახურ წინააღმდეგობებს რომ არ ვაწყდებოდე, ცოლად შეგირთავდი. თუმცა ცოლზე ახლობელი ხარ, საჯია. მხოლოდ ჩემი მდგომარეობისა და კეთილი სახელის შენარჩუნება მაიძულებს, წესიერების ზღვარი არ დავარღვიო.

საჯია მდუმარედ უსმენდა ჯაფარს და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მისი ხვევნა ეამებოდა. სინამდვილეში, საჯიას გულში მოხვდა ჯაფარის სიტყვები, მუქარა და ზრახვანი. ვითარებამ აიძულა საჯია ჯაფართან ეცხოვრა, მაგრამ სრულ ფუფუნებაში ცხოვრებამაც ვერ დააშორა საჯია მათ, ვინც ძლივძლივობით უზრუნველყოფდა საკუთარ არსებობას.

შესანიშნავია სამართლიანი და წესიერებით უზრუნველყოფილ სამყაროში ცხოვრება, სადაც ადამიანს ეძლევა სარჩო და თავისუფლება, სადაც მას შრომის, ცხოვრების და სიყვარულის უფლება აქვს მინიჭებული!

ანგარებით სიყვარული, სიყვარული კი არა, არსებობის საშუალებაა. დაიწყეველოს ის სამყარო, სადაც სიყვარულის გრძნობა ესოდენ დამცირებული და გათელილია. დაილოცოს ყველა, ვინც უკეთესი ცხოვრებისა და ადამიანის ღირსებისათვის იბრძვის!

როდესაც ჯაფარის ოთახიდან გამოვიდა, საჯიამ თავისი ბავშვების საძილე ოთახს მიაშურა და მხურვალედ დაჰკოცნა პატარები.

— ჩემო საყვარლებო, რომ იცოდეთ რისი ატანა უხდება დედათქვენს, რომ შიმშილით არ დამეხოცოთ. რომ იცოდეთ, რის ფასად მიღირს პური, რომლითაც გკვებავთ და ტანსაცმელი, რომელიც თქვენ გაცვიათ! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო პატარებო, დე, მან ისეთი ცხოვრება გარგუნოთ, რომელიც ჩემსას არ ემგვანება!

## 4

ჯაფარის ყველა შინამოსამსახურეს უყვარდა საჯია. მას პატივსა სცემდნენ ჯაფარის ქარხნის ძუ'ებიც. საჯია ყოველთვის ესარჩლებოდა ბატონის მიერ შერისხულ მსახურს. ბავშვის ავადმყოფობის გამო სამუშაოზე დაგვიანებული მუშა სთხოვდა საჯიას, რომ გასამრჯელოდან ჯარიმის დაქვითვით არ დაესაჯათ. ეხმარებოდა ქალიშვილებს გათხოვებისას ერთი კვირის ფასიანი შვებულების მიღებაში. ჯაფართან იგი ყველას მოსარჩლე იყო და ჯაფართან მარტოდ დარჩენილი იგი ყველაფერზე ითანხმებდა მას.

საჯიას ფიქრი ჯაფარის სიმთვრალეში წამოცდენილი მუქარის გარშემო ტრიალებდა... რომ იგი ახალ-ახალ ტანჯვა-წამებას უმზადებდა და უფრო მძიმე უღელს დაადგამდა მუშებს... ამის გამო აფორიაქებულმა საჯიამ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ვერაგულად ხომ არ მოიქცევა თუ გააფრთხილებს მუშებს იმის შესახებ, რაც განზრახუ-

ლი ჰქონდა ჯაფარს? თუ ჯაფარი შეიტყობს მის ამგვარ ნაბიჯს, რა დღე მოელის საჯიას? საჯია კარგად იცნობს ჯაფარს, მის შურისმგებელ ხასიათს, კარგად იცის, რომ ზოგიერთი მინისტრიც კი ვერ ბედავს ჯაფართან შეკამათებას. შესაძლოა საჯიას სიყვარულმა ააცდინოს მას ჯაფარის შურისძიება, მაგრამ საბრალო მუშები კი ვერ გადაურჩებიან მის რისხვას. მაშასადამე, საჯიას სიფრთხილე მართებს, ისე უნდა იმოქმედოს, რომ არც თვითონ და არც მისმა შვილებმა ლუკმაპური არ დაჰკარგონ, ხოლო მუშებმა სამუშაო შეინარჩუნონ და პატრონის რისხვას გადაურჩნენ. ძნელი ამოცანაა, მაგრამ მან ხელი მოჰკიდოს და მოხერხებულად აასრულოს იგი! არა, საჯია მოღალატე როდი იქნება, თუ იგი გაღატაკებულ მშრომელთა წინააღმდეგ მიმართულ ჯაფარის ბოროტ ზრახვებს გამოაცლენს. მოღალატე მაშინ იქნება, თუკი დაფარავს იმას, რაც შეიტყო. რა უფლება აქვს ჯაფარს არაადამიანურად მოეპყროს ხალხს, მუხანათურად იძალადოს საკუთარი ინტერესებისათვის? ღირს კი ეს ადამიანი იმათ, რომ საჯიამ უერთგულოს და ყველა მისი ბოროტი ზრახვის თანამოზიარე გახდეს? განა შურისგების ღირსი არ არის, არა ერთი ჩადენილი ბოროტმოქმედებისა და ვერაგული ხრიკებისათვის? შურისგების გრძნობამ გადასძლია და საჯიამაც გადასწყვიტა ეძია შური.

განსაკუთრებით კარგი განწყობილება საჯიას

სელიმ ალ-კაბისის დედასთან ჰქონდა. სწორედ იმ მუშის დედასთან, რომლის ბინაზედაც მოწყობილი კრების დროს დააპატიმრეს ქემალი. ამ ღირსეულმა ქალმა აღმოუჩინა მხარდაჭერა და შეიფარა საჯია მძიმე დროს, როდესაც ქმარმა ბედის ანაბარა მიატოვა ახალგაზრდა ქალი.

თვეში ერთხელ, ან ორჯერ მიდიოდა მოხუცი ქალი ჯაფარის სახლში საჯიას სანახავად, რომ ბატონის რისხვა აერიდებინა თავიდან თავისი ვაჟიშვილისათვის. საჯია მოხუცს პატივისცემით და გულღიად ხვდებოდა და დროდადრო მცირეოდენ სანოვაგესა და ძველ ტანსაცმელს აწვდიდა. სწორედ ამ მოხუცისა და ჯაფარის ერთ-ერთ ქარხანაში მომუშავე მისი ვაჟიშვილის საშუალებით გადაწყვიტა საჯიამ მუშებთან კავშირის გაბმა.

— ვერასოდეს ვერ დავივიწყებ შენს ამაგს, დეიდა უმ-სელიმ. ქმარმა რომ მიმატოვა, შენ შემიფარე. ჩემი ვალია მცირე სამაგიერო მაინც გადაგიხადო. დარწმუნებული იყავი, რომ სელიმზე მუდამ ვიზრუნებ. ახლა კი გთხოვ, სელიმს შემდეგი გადასცე: მუშათა მოთხოვნილებამ, დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა ჯაფარი მოთმინებიდან გამოიყვანა. ბოლო დროს ვამჩნევ, რომ რაღაც ბოროტი განზრახვა აქვს მუშების წინააღმდეგ ჩაფიქრებული. ამ სახლთან მე არაფერი მაკავშირებს. აქ მხოლოდ იმისათვის ვჩერდები, რომ შევეცადო შევანელო ჯაფარის რისხვა. მაგრამ, ყოველთვის, სანამ ვიცოცხლებ, სულითა და გუ-

ლით ღატაკ ხალხთანა ვარ. გადაეცი სელიმს და მის ამხანაგებს, მოითმინონ, ვიდრე ღმერთი შეეწეოდეთ. ყოველთვის ხომ ჯაფარისა და მისი მსგავსი პირებისათვის არ გაანათებს ბედის ვარსკვლავი, უკეთესი დრო დადგება. გახსოვდეს, რომ არც ერთმა სულიერმა არ უნდა გაიგოს, რაც გითხარი, თორემ ჯაფარი ეჭვის თვალით შემოგხედავს და მეც ველარ შევძლებ, რაიმე სარგებლობა მოვუტანო მუშებს.

უმ-სელიმთან საუბრის დროს საჯიას თვალები აუცრემლიანდა, მოხუცი ქალიც არა ნაკლებ იყო აღელვებული. ორივეს ბევრი უსამართლობა ჰქონდა გადატანილი და ახლა იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ მომავალში.

## 5

სიბაყის ქუჩაზე მდებარე ლამაზი შენობიდან ყოველდღიურად ასობით გაზეთის გამყიდველი ეფინება ქუჩას „ახალი ცხოვრების“ უკანასკნელი ნომრებით. უკანასკნელი ამბებით დაინტერესებული გამვლელ-გამოვლელი სწრაფად იტაცებენ. „ახალ ცხოვრების“ გამომცემელი სამირი ცნობილი და ნიჭიერი ჟურნალისტია; მკითხველებს ხიბლავს მისი მოხერხებული გაშუქება სხვადასხვანაირი ცნობებისა. მისი სიტყვა — ბასრი ხმალია; ტყუილად კი არ ეშინიათ მოწინააღმდეგებს და თავს არიდებენ მასთან შეხლა-შემოხლას. ბოლო

დროს სამირი გამდიდრდა, გავლენა მოიპოვა და მის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ. მეწარმენი ცდილობენ კარგ განწყობილებაში იყვნენ მასთან.

იმის შიშით, რომ სამირს თავისი ბასრი კალმით მინისტრთა მუნდირის ღირსება არ შეელახა, მთავრობის წევრები პატივისცემით ექცეოდნენ. ყოველ წვეულებაზე სამირი მათი სასურველი სტუმარი იყო. მის გარეშე არც ერთი ბანკეტი არ იმართებოდა. სამირის ავტომანქანა უკანასკნელი მოდელის „კანდილაკი" იყო. მისი კაბინეტი პოლიტიკურ მოღვაწეთა, მსხვილ საქმოსანთა და გამოჩენილ პირთა შესახვედრ ადგილად იყო ქცეული. გაზეთი „ახალი ცხოვრება" — უაღრესად მრავალმხრივი შინაარსისა, ხოლო მისი რედაქტორები საუკეთესო პუბლიცისტები იყვნენ. ხელისუფალნი ამ გაზეთს ახალი ამბების და ჭორების გაგებისათვის ეტანებოდნენ; სტუდენტები სამეცნიერო ხასიათის წერილებით იყვნენ დაინტერესებულნი, ქალებს გაზეთის ყოველ ნომერში მოთავსებული სათავგადასავლო მოთხრობები და არისტოკრატიის ცხოვრების ქრონიკა აინტერესებდათ; ვაჭრებს ეს გაზეთი თავიანთი სარეკლამო განცხადებების მოსათავსებლად ყველაზე შესაფერის ორგანოდ მიაჩნდათ.

თავისი გაზეთის საშუალებით სამირი უფრო მეტ შემოსავალს იღებდა, ვიდრე მსხვილი ვაჭარი აღებ-მიცემობის გზით.

იგი თანაბრად იღებდა გასამრჯელოს თავის გა-

'ხეთ'ში გამოქვეყნებული ცნობებისათვისა და იმ ცნობების დაფარვისათვისაც, რომელთა გამოქვეყნება ჩირქს მოსცხებდა ზოგიერთ გავლენიან პირს.· რა საკვირველია, რომ გაზეთ „ახალ ცხოვრებას“ უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე „ელვას“, ხოლო სამირის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მაჯიდისა. „ახალ ცხოვრებას“ ეტანებოდნენ მაღალი წრეების წარმომადგენელნი, პოლიტიკური მოღვაწენი, ვაჭრები, მეწარმენი, პროფესორები, მოხელენი და შეძლებული ოჯახების მეთაურნი, ხოლო „ელვა“ მუშების, ღატაკების და შინამოსამსახურეებისათვის იყო განკუთვნილი.

გაფიცვის მომდევნო მშფოთვარე დღეებში „ელვას“ მკითხველთა რიცხვი გაიზარდა. „ელვა“— ღარიბ-ღატაკთა და მუშათა გაზეთია, მაჯიდი კი მათი თანამოაზრე. ჟურნალისტ და რევოლუციონერ მაჯიდს ამხანაგებთან მხარდამხარ ბრძოლა თავის მოვალეობად მიაჩნია. მაჯიდი გაზეთის მფლობელიცაა და რედაქტორიც, თვითონვე ადევნებს თვალს გაზეთის ბეჭდვასა და დაგზავნას, რადგანაც საშუალება არა აქვს რედაქტორები, მეტრანპაჟეები და ექსპედიტორები დაიქირავოს. იგი დღეღამეში თვრამეტ საათს მუშაობს, რედაქციაში ჭამს და სვამს, დღებსაც იქვე ატარებს. ჟურნალისტობა ხელობად როდი მიაჩნდა, არამედ საკუთარ მოწოდებად.

გაზეთ „ელვის“ საშუალებით მუშები იგებდნენ

აპირებდა თუ არა მთავრობა რაიმე ნაბიჯის გადადგმას მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, როგორ გრძნობდნენ თავს დაჭრილი დემონსტრანტები და რა ბედი ეწია მოკლულთა ოჯახებს. მას შემდეგ, რაც „ელვამ“ მთავრობის საწინააღმდეგო კომპანია ჩაატარა, საზოგადოებრივი აზრი მშრომელთა მხარეზე გადაიხარა. მრავალრიცხოვან კრებებზე აღშფოთებით ლაპარაკობდნენ მეწარმეთა თვითნებობაზე, მუშების უუფლებობაზე, სიძვირის ზრდაზე, იმპერიალისტთა ხრიკებზე, ომის მზადებასა და სხვადასხვა დაავადებათა გავრცელებაზე. ყოველივე მეტყველებდა, რომ მწიფდებოდა არსებული წესწყობილების წინაღმდეგ მიმართული განწყობილება და ხალხში მღელვარება მატულობდა.

ამგვარ ვითარებაში ხალხის დამშვიდებასა და დაძაბულობის გაფანტვას მთავრობა დაპატიმრებულთა გასამართლების დაჩქარებით ცდილობდა; ამით მთავრობას უნდოდა მაჯიდისათვის პირში ბურთი ჩაეჩარა და ჯელი შეეშალა „ელვის“ გავრცელებისათვის, ან, ყოველ შემთხვევაში, შეენელებინა ამ გაზეთის გავლენა და მნიშვნელობა. ეს კი არცთუ ისე იოლი იყო. თავისი წერილების თემებს მაჯიდი ხალხის ნამდვილი ცხოვრებიდან იღებდა, რაც ესოდენ მახლობელი იყო მისთვის. იგი წერდა ხალხის ტანჯვა-ვაებაზე და შევიწროებაზე, მის გაჭირვებაზე, სიძვირეზე და ხელისუფალთა თვითნებობაზე. მგზნებარედ იცავდა მშრო-

ძელთა სასიცოცხლო ინტერესებს, აძათრახებდა თავისუფლების მტრებს, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მათ, ვინც ომიანობის უპასუხისმგებლო პროპაგანდითა და მოსალოდნელი ომის მითქმა-მოთქმით პანიკას თესდა ხალხში. მაჯიდი გულიდან ამონახეთქ წერილებს წერდა, ყველასათვის გასაგები ენით.

...სამირის კაბინეტ'ში ტელეფონმა დაიწკარუნა. სამირმა ყურმილი აიღო.

— სამირ, საზოგადოებრივი აზრი სწორ გზას ასცდა. დაუშვებელია, რომ მომავალშიაც შფოთი და მღელვარება სუფევდეს. თუ მდგომარეობა კალაპოტში არ ჩადგება, მთავრობა ვერ შესძლებს რეფორმების გატარებას, უმუშევართა რიცხვი გაიზრდება და სიძვირე საყოველთაო მოვლენად იქცევა. თქვენ საზოგადოებრივი აზრის დაშოშმინების განსაკუთრებული უნარი შეგწევთ, თქვენს გაზეთს ჩვენს ქვეყანაში დიდი გავლენა აქვს. უნდა დაგვეხმაროთ! ყოველ ჩვენგანს სურს რეფორმების გატარება. ხალხი უვიცია, სამირ, და თქვენნაირი განათლებული ადამიანები ვალდებულები არიან, განუმარტონ ხალხს საქმის ნამდვილი ვითარება, რომ არავინ არ ექცეოდეს იმგვარი გამხრწნელი იდეების გავლენის ქვეშ, რასაც მაჯიდი ავრცელებს. რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ პიროვნებისა და აზრის თავისუფლებას, მაგრამ თუ თავისუფლებას ისეთ პირებს ჩავუგდებთ ხელში, ვისაც მისი გამოყენების უნარი არა აქვს, ამგვარი

თავისუფლება საზოგადოებას საფრთხეს შეუქმნის. ჩვენ ვაფასებთ თქვენს პუბლიცისტურ ნიჭს, მოვლენათა მსვლელობაში მთავარის გამორჩევის უნარს, და ჩვენი მხრივ, მზადა ვართ ყოველნაირად დაგეხმაროთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მყარ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ. რაც კი დაგჭირდებათ, ყველაფერი თქვენს განკარგულებაში იქნება.

სამირს, ისევე როგორც მაჯიდს, კარგად ესმოდა, რომ შექმნილია საგანგაშო და სახიფათო ვითარება. იგი მაჯიდივით კარგად ხედავდა ხალხის ტანჯვა-ვაებას.

მიუხედავად ამისა, გაზეთი „ახალი ცხოვრება“ დავალების განხორციელებას შეუდგა. შესაძლოა, სამირმა, მისთვის ჩვეული ოსტატობით შესძლო ხალხის დაშოშმინება, დაარწმუნოს მუშები, რომ იგი მათ ინტერესებს იცავს, მუშათა ინტერესებისათვის ზრუნავს. მთავარი ისაა, რომ მაჯიდისა და გაზეთ „ელვას“ გავლენა შეასუსტუს. სამირმა „ახალი ცხოვრების“ მოწინავე წერილებში გამოავლინოს თავი, როგორც პოლიტიკური ყომარბაზობის ჭეშმარიტმა ხელოვანმა. თავის მოწინავეებში სამირი აღნიშნავდა, რომ მთავრობას უნდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნილებები, რომ მეწარმენი სამართლიანად მოპყრობოდნენ მუშებს.

ერთ-ერთ მოწინავე წერილში სამირი წერდა:

„მთავრობა ყველას თანაბარი მზრუნველობით უნდა ეექცეოდეს. მუშათა კლასი — ერის ხერხემა-

ლია. კრიზისის დროს მთავრობა პასუხს აგებს მის კეთილდღეობაზე. დაუშვებელია, რომ კრიზისი მძიმე ტვირთად აწვებოდეს მხოლოდ მუშებს, მაშინ როცა ვაჭრები და მეწარმენი, მდიდრდებიან. როცა ომის ცეცხლი აგიზგიზდება და მუშები ჯარში წავლენ, მთავრობის ვალია იზრუნოს მათზე, თუკი სურს ისეთი ჯარი ჰყავდეს, რომელიც მტერთა გამკლავებას შესძლებს".

— გაზეთის მომდევნო ნომერში სამირი ასე მიმართავდა მუშებს:

„ძმებო, ეს გაზეთი თქვენია! მან ვალად იდო ემსახუროს თქვენს წმიდათა წმიდა საქმეს, დაიცვას თქვენი უფლებები. მოთმინებით აღიჭურვეთ და თავისუფლად მოაზროვნე, ძირგამომთხრელი ელემენტების ხაფანგში ნუ გაებმებით. თუკი ხელისუფლებას სიძნელეებს შეუქმნით, გაფიცვებით, დემონსტრაციებით და ანარქიით, — ვერაფერს ვერ. მიაღწევთ. ვინც თქვენ მეგობრებად ასაღებენ თავს და ანარქიისაკენ მოგიწოდებენ, — მოღალატენი და უცხოეთის იმ სახელმწიფოს დაქირავებული აგენტები არიან, რომელიც მიზნად ისახავენ ძირი გამოუთხარონ მყარ მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში და ზიანი მიაყენონ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას. სიმშვიდე დაიცავით, რომ მსხვილ მეწარმეებს საშუალება მიეცეთ თავისი საქმიანობა დარწმუნებით განაგრძონ, — არ დახურონ ფაბრიკა-ქარხნები, თორემ უმუშევრობა სა-

ყოველთაო გახდება და უფრო მეტად დაზარალ-
დებით.

ჩვენი გაზეთის პოზიციის წყალობით შესაძლ-
ებელი გახდა, რომ გუშინ გაიცა ბრძანება ამნისტიის
შესახებ. გჯეროდეთ, დანარჩენ პატიმრებსაც გაა-
თავისუფლებდნენ, რომ მარტოოდენ გაფიცვაში მი-
ეღოთ მონაწილეობა. ერთსა გთხოვთ, ხალხის
გულწრფელად მოსიყვარულე ადამიანებს საშუა-
ლება მისცეთ, მიიღონ სათანადო ღონისძიებანი
თქვენი პირობების შესამსუბუქებლად. არ დაუშ-
ვათ თქვენს რიგებში წამქეზებლები, ნუ აძლევთ
მათ საშუალებას, თქვენი სამართლიანი საქმე
მღელვარებისა და უწესრიგობის საბაბად გამოი-
ყენონ, ხელი შეუშალონ პატიოსანი მშრომელების
ცდას, რათა თავიანთი წმიდათა წმიდა უფლებანი
დაიცვან".

მეორე დღეს მაჯიდმა თავისი გაზეთის „ელვას"
საშუალებით გასცა პასუხი სამირს:

„საოცარია, რომ „ახალი ცხოვრების" რედაქ-
ტორი ერთდროულად ესარჩლება მთავრობას,
მსხვილ კაპიტალისტებს და მუშებსაც. მთავრობას
იგი სთავაზობს დაწვრილებით გაერკვას მეწარმე-
თა და მუშებს შორის არსებულ კონფლიქტში. მე-
წარმეებს ევედრება შეივრდომონ მუშები და და-
აკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი.

ბატონ სამირს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ
ჟურნალისტს, მაგრამ ამჯერად მისთვის ამ უნარს
ულალატია. ჩვენ მას გაბედულ ადამიანად ვიც-

ნობთ, მაგრამ დღეს მან უცებ უღალატა თავის ჩვეულ ხაზს, ყველას რჩევა-დარიგებას აძლევს, თითქოს იმ საკითხის გადაჭრა, რომელსაც იგი იხილავს და რომელიც მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობს, რჩევა-დარიგებით შეიძლებოდეს!

ბატონ სამირს დავიწყებია, რომ სამყაროში ისეთი რამ არსებობს, რასაც კანონი ეწოდება, რომ სიცოცხლე — ბუნებრივი უფლება არის ადამიანისა, ხოლო კანონი არსებობს იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი უფლება უზრუნველყოს ყველასთვის, ვინც არ უნდა იყოს იგი. სამირის აზრით, მუშებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ ნორმალურ პირობებში იცხოვრონ, მთავრობას რომ არ ესაჭიროებოდეს ჯარისკაცები, რომლებმაც სამშობლოსათვის სისხლი უნდა დაღვარონ. მეორე მხრივ, თუ კაპიტალისტებისათვის ხელსაყრელი იქნებოდა მუშების მიმართ თავიანთი მორალური ვალდებულებების შესრულება, მათ შეუძლიათ, ანგარიში არ გაუწიონ ელემენტარული სამართლიანობის მოთხოვნას და უარი თქვან ამგვარ ვალდებულებაზე. უცნაური მსჯელობაა. ჩვენ გვსურდა, გვეხილა „ახალი ცხოვრების“ რედაქტორის ნიჭისა და უნარის უფრო ღირსეული გამოყენება.

დიახ, მსჯელობის უნარმა უმტყუნა ჩვენს კოლეგას. ვფიქრობთ, იგი თვითონაც გრძნობს ამას და ნამდვილი, ჭეშმარიტი მსჯელობის მაგიერ, ინტრიგანულ მსჯელობას და ხრიკებს მიმართავს. თავის უკანასკნელ წერილში ბატონი სამირი ძველის-

ძველ და მოსაბეზრებელ სიმღერას იმეორებს, როდესაც ჩვენ დაქირავებულ აგენტებად, ჯანყისთავებად და ანარქისტებად გვნათლავს. მაგრამ მას რომ სინდისი ჰქონდეს, იგი სულ სხვანაირად უპასუხებდა კითხვას, ვინ არის დაქირავებული ჟურნალისტი; ის, ვინც თავისი გაზეთის გამოშვებისათვის დღესა და ღამეს ასწორებს, ლუკმაპურისა და ღატაკი ბინის მეტი არაფერი აბადია, თუ ის, ვინც სასახლეში ცხოვრობს, ანგარიშმიუცემლად ფანტავს ფულებს წვეულებებსა და ლამაზმანებზე და უძვირფასეს ავტომანქანებს იძენს, ცხოვრობს ისე, რომ იგი უფრო ემირს ან მაჰარაჯას მოგაგონებთ, ვიდრე ჟურნალისტს.

თვითეულ ჩვენგანმა იცის, თუ რა შემოსავალი აქვს ამ უანგარო გაზეთის გამომცემელს. გრცხვენოდეთ, მოჟურნალისტო თუ მოპოლიტიკოსო კარიერისტებო, ჭორიკანებო, მკვეხარებო!

ხალხმა იცის თქვენი ფასი, დადგება შურისგების დღეც, შურისძიებას ვერსად წაუხვალთ! ინგრევა თქვენით დასახლებული და ცრუ წმიდანობით შემოსილი ტაძარი. ახლოვდება თქვენი ტაძრის კერპთა გაცამტვერების დღე, როგორადაც არ უნდა ეცადნენ ტაძრის ქურუმნი ამ კერპთა გადარჩენას.

ხალხს აღარ სურს წაბილწული კერპების თაყვანისცემა! ხალხი ზურგს აქცევს მათ, და მალე ამას საკუთარი თვალით იხილავთ!“

მეორე დღეს ყველა გაზეთებში გამოქვეყნდა

ნთავრობის დადგენილება: „სათანადო განკარგულების გაცემამდე, გაზეთი „ელვა“ დაიხუროს. რადგან ამ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ უშიშროებას და უთანხმოებას ნერგავენ ერის სხვადასხვა ფენებს შორის“.

## 6

უწესო ცხოვრების გზაზე დამდგარი ქალი სინაზეს და მორიდების გრძნობასა კარგავს. მის საუბარში მიმოხრასა თუ ჩვევებში, ყველაფერში დამახასიათებელი ურცხვობა და უხამსობა ვლინდება.

ციხის საკანში, რომელშიაც სელმა მოათავსეს, სხვადასხვა ჯურის სისხლის-სამართლის დანაშაულთა ჩამდენი ქალები იყვნენ გამომწყვდეულნი. აგერ ქურდბაცა, აი მკვლელი ქალი; ეს კი ბაზარში უწესო ყოფაქცევისათვის დაპატიმრებული როსკიპი; აქვეა მაჭანკალი, რომელსაც გარყვნილების ბუდედ გადაექცია თავისი სახლი, შეეტყუებინა შიგ არასრულწლოვანი გოგონები და გათახსირებულ მამაკაცთათვის ჩაეგდო ხელში.

აი, ამგვარ დედაკაცებთან მოათავსეს სელმა, რომელსაც ისეთ საქმიანობაში სდებდნენ ბრალს, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ბოროტმოქმედებასთან. პატიმარი ქალები ისევე შეხვდნენ სელმას, როგორც თავიანთ თანამოსაქმეს. როდესაც

სელმა საკანში მისთვის მიჩენილი კუთხისაკენ გაემართა, ქალები გარს შემოეხვივნენ და ეკითხებოდნენ თუ რისთვის იყო იგი დაპატიმრებული: ქმარი ხომ არ მოჰკლა, ეგების რაიმე ძვირფასი ნივთი მოიპარა, შესაძლოა საკუთარი სხეულით ვაჭრობდა, ან სხვისას ჰყიდდა? ამასთანავე, დედაკაცები იმგვარ უწმაწურ სალანძღავ სიტყვებს ხმარობდნენ, რომელნიც მანამდე არასოდეს არ გაეგონა სელმას. რათა პატიმარი ქალები ჩამოეცილებინა, სელმამ თავი მოიმძინარა. მალე ყარაულის ბრძანება გაისმა, პატიმარი ქალები ყარაულების და ხელისუფლების ლანძღვა-გინების დუდუნით საკანში აქა-იქ მიეყარნენ დასაძინებლად.

სელმას ქემალის მომავალ ხვედრზე ფიქრმა მოსვენება დაუკარგა. დარწმუნებული იყო, რომ დიდხანს არ დატოვებდნენ ციხეში, გაფიცვის დღეს იგი ფაბრიკაში არ ყოფილა და როგორადაც არ უნდა ეცადა პოლიცია და მოსამართლენი, მას ვერ დასდებდნენ ბრალს გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მაგრამ ვაითუ გაფიცულთა წაქეზება დასდონ ბრალად? ანდა მკვლელობაში დასწამონ ცილი! ზოგი ადამიანი ყველაფერს იკადრებს; შესაძლებელია მას ცრუ მოწმეებად წამოუყენონ რამდენიმე სუსტი ნებისყოფის მქონე და სინდისგარეცხილი პიროვნება. მშრომელთა მოძრაობის ჩახშობის, მუშების დასჯისა და მათი სამართლიანი ბრძოლის ანარქიად, აჯანყებად, სახელმწიფოს სიმშვიდისა და უშიშროების საწინააღმდეგო ნაბიჯად

გამოცხადების მიზნით, ხელისუფლება შეეცდება ყოველგვარი ხერხი გამოიყენოს. ხალხთან ანგარიშის გასწორების ნაცადი ხერხი, რომლისათვისაც მთავრობას არა ერთხელ მიუმართავს, განა გაბედავინმემ. ქემალი და მისი ამხანაგები დაეცვა ჯაფარისაგან? ჯაფარი თვითონაც დეპუტატია, მისი თანამოსაქმენიც დეპუტატები, მინისტრები, ან ერთმანეთის მახლობელ-ნათესავნი არიან და პირადი ინტერესების გამო ყოველი მათგანი სახალხო ბრძოლას შიშის თვალით უყურებს...

ნეტავ რაზე ფიქრობს ახლა ქემალი? შეშინებული ხომ არ არის? მარტოა გამოკეტილი, თუ საერთო საკანშია ბოროტმოქმედებთან ერთად? ნეტავ, შორიდან მაინც მოკრას თვალი!

სელიმ თანდათანობით შეაჩვია თვალი საკანში მყოფ პატიმარ ქალებს. მან დიდი მოთმინება გამოიჩინა, რომ პატიმარ ქალებთან ნორმალური ურთიერთობანი დაემყარებინა და ამითი მაინც ერთგვარად შეემსუბუქებინა პატიმრობის სიმძიმე. საუბარი გაუბა პატიმრებს, რჩევა-დარიგებას აძლევდა, აგრძნობინებდა მათ, რომ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად არსებობს სულ სხვა გზა, და არა ის, რომელსაც ისინი მისდევდნენ. პატიმარ ქალებზე სელმა დადებით გავლენას ახდენდა. სელმა შეიყვარეს, მის საუბრებში თანაგრძნობას და მორალურ მხარდაჭერას ხედავდნენ. თვით ვადია თავტიჰიაც კი საგრძნობლად მოლბა, თავშეკავებული გახდა და ყურადღებით

უსმენდა სელმას. ატმოსფერო ციხის საკანში თანდათან გაუმჯობესდა. ეს ცვლილება ყარაულებმაც შენიშნეს.

სამაგიეროდ, ამ გარემოებამ ციხის უფროსები შეაშფოთა. ეშინოდათ პატიმარ ქალებზე სელმას გავლენის ზრდისა, ეშინოდათ, რომ ისინიც სელმას თანამოაზრენი გახდებოდნენ. პოლიტიკისათვის უმჯობესია სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ჰქონდეს საქმე, ვიდრე რევოლუციონერებთან. მკვლელობა, ქურდობა და გარყვნილება ხელისუფლებისათვის ისე საშიში როდია, როგორც იმ იდეების გავრცელება, რომელთა მქადაგებელიც იყო სელმა. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად სელმა ცალკე საკანში გადაიყვანეს.

ქემალიც ერთ საკანში სხვადასხვა ჯურის ბოროტმოქმედებთან გამოამწყვდიეს. ამნისტიის შესახებ ბრძანებულების შესაბამისად ქემალთან ერთად გაფიცვაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული ამხანაგები გაათავისუფლეს. ბრძანებულება მიზნად ისახავდა ხალხის დაშოშმინებას: დე მუშებმა განაახლონ მუშაობა, შეწყდეს დემონსტრაციის დროს მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ მითქმა-მოთქმა. დაშავებულმა პოლიციელებმა იარები მოიშუშეს, ხოლო ქარხნის ადმინისტრაციამ განსაზღვრული თანხა უწყალობა მოკლული და დაჭრილი მუშების ოჯახებს; მთავრობაც პირობას იძლეოდა, სათანადო თანხა გაეღო იგივე მიზნებისათვის.

ქემალი უკვე ერთი თვე იმყოფებოდა ციხეში. მაგრამ გასასამართლებლად ჯერ არ გამოუძახიათ. ქემალი არასოდეს არ გამოირჩეოდა კარგი ჯანმრთელობით, ხოლო ციხეში მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. პატიმრებს უვარგის საკვებს აძლევდნენ; ციხის მნე პირადი გამორჩენის მიზნით ცუდი ხარისხის სურსათს აწვდიდა პატიმრებს. პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, მაგრამ მათი ჩივილი უყურადღებოდ რჩებოდა. ციხის მნე ერთდროულად ციხის სამმართველოს ბუღალტერიც იყო, იგი გავლენიან და გამოჩენილ პიროვნებად ითვლებოდა და მისი კეთილსინდისიერება არავითარ ეჭვს არ იწვევდა. გარდა ამისა რა ფასი ჰქონდა პატიმართა საჩივრებს.

ციხეში კვირაში ორჯერ ცხადდებოდა ციხის ექიმი, რაღაც წამალს აძლევდა ქემალს, რომელიც არაფერს შველოდა, რადგან საჭმელი არ ვარგოდა, ხოლო საკანში აუტანელი სიბინძურე იყო. საკანი სავსე იყო პატიმრებით, რომელნიც აქვე იატაკზე მდგარ ბანკებში საქმობდნენ. გასულ კვირას ორი პატიმარი ციხის საავადმყოფოში გადაყვანისთანავე გარდაიცვალა.

ექიმმა ციხის უფროსს განუცხადა:

-- 1075 ნომერი პატიმრის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება. მას ჭლექი აქვს. მარჯვენა ფილტვი მთლიანად აქვს დაზიანებული. ამგვარ გარემოებაში მისი ციხეში დატოვება არ შეიძლება, რომ არაფერი ითქვას მაზე, მისი საერთო საკანში

ყოფნა სხვებსაც უქმნის საფრთხეს. საჭიროა მისი საავადმყოფოში გადაყვანა.

— ეგ ჩემგან არ არის დამოკიდებული, ექიმო. ამ პატიმრის შესახებ განსაკუთრებით მკაცრი განკარგულება მაქვს მიღებული.

— მაგრამ, უფლება არა მაქვს ციხეში დავტოვო იგი. არ მსურს, პასუხი ვაგო ჩემი მოვალეობის დარღვევისათვის.

— რაკი ასეა, წარმოადგინეთ თქვენი დასკვნა უმაღლეს ორგანოებში მოსახსენებლად. ვალდებული ვარ, ზუსტად დავიცვა ინსტრუქცია. მხოლოდ მადლობელი ვიქნები, თუკი შესძლებთ მიაღწიოთ, რომ ბრძანება გაიცეს მისი საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ.

მეორე დღეს ციხის უფროსმა 1075 ნომერს შეატყობინა, რომ სასამართლო სამი დღის შემდეგ შედგებოდა. ამ ხნის განმავლობაში ქემალი კვლავ საკანში დასტოვეს. ქემალზე ამხანაგები ზრუნავდნენ, საჭმელს უზიარებდნენ, ცდილობდნენ მის სიმშვიდეზე და დასვენებაზე. თვით ბოროტმოქმედნი უფრო მეტად თანაუგრძნობდნენ ამ ადამიანს, ვიდრე ისინი, ვინც პასუხისმგებელი იყო ადამიანის სიცოცხლისათვის.

## 7

სასამართლოს შენობა ქემალისა და სელმას გასამართლების პროცესზე დასწრების მსურველე-

ბით იყო გაჭედილი. ქალაქში მოძრაობა შეწყდა, მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს, სოფლებიდან გლეხები ჩამოვიდნენ. თავიანთი საყვარელი ყოფილი სტუმრების სანახავად სოფელ ზათარის მოსახლეობის დიდი ნაწილიც აქ იყო. აივნები სავსე იყო დემონსტრანტებითა და ცნობისმოყვარე მაყურებლებით. წესიერების დასაცავად სასამართლოს მთელ შენობაში და მის ირგვლივ ათობით პოლიციელი იყო ჩამწკრივებული.

გამოჩნდა საზიდარი, რომლითაც ქემალი და სელმა სასამართლოს შენობაში მიჰყავდათ. ხალხი მისალმების შეძახილებით ხვდებოდა პატიმრებს. ბავშვები და ქალები ყვავილებსა და ბაზილიკის შტოებს ესროდნენ ქემალსა და სელმას. პოლიციელები წესრიგის დამყარებას ცდილობდნენ, მაგრამ მათ ხმას ხალხის ხმაური ნთქავდა.

რომელიღაც ყმაწვილი საზიდართან მიიჭრა და წამოიძახა:

— გაუმარჯოს სიმართლეს!

დედებს გულში ჩაეხუტებინათ ჩვილი ბავშვები და სიმღერით ხვდებოდნენ პატიმრებს...

ამ აურზაურსა, ხმაურში და ხალხის შეძახილებში საზიდარი სასამართლოს შენობასთან შეჩერდა. საზიდრიდან ჯერ სელმა გადმოვიდა, შემდეგ ქემალი. ბორკილგაყრილი, სუსტი, დაუძლურებული ქემალი ფეხს ძლივს ადგამდა. ქემალის შემყურე ქალებს ცრემლი მოერიათ. სასამართლოს დარბაზი პროცესზე დამსწრეების მსურველებს ვერ

იტევდა. პოლიცია მხოლოდ საშვის მქონე ხალხს უშვებდა დარბაზში, ხოლო საშვი მარტოოდენ სანდო პირებს ჰქონდათ მიცემული. მაგრამ მიუხედავად საშინელი სიცხისა, ხალხი სასამართლოს შენობის წინ უცდიდა განაჩენს.

ცხრა საათი ჩამოჰკრა, მოხელემ სასამართლოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა. ყველა ფეხზე წამოდგა.

სასამართლოს მოხუცი თავმჯდომარე, ღირსებით და დიდებით აღსავსე მოსამართლე, ცნობილი იყო თავისი განსწავლულობით, პატიოსნებითა და მიუდგომლობით. ოცდაათი წელია იგი მოსამართლეა და მის კეთილ სახელს ლაქა არ მოსცხებია, მის სავარძელს ამშვენებდა წარწერა: „მართლმსაჯულება — სახელმწიფოს საფუძველია". ამ სავარძელში მჯდომ თავმჯდომარეს, ვითარცა სახელმწიფოს ღირსების დამცველს, ხელთ ეპყრა მართლმსაჯულების სასწორი.

თავმჯდომარემ ხმამაღლა გამოაცხადა:

— დამსწრე საზოგადოებას ვთხოვ, სიწყნარე და წესრიგი დაიცვას.

შემდეგ, თავმჯდომარის მითითებით, მდივანი საბრალდებულო ოქმის კითხვას შეუდგა:

„ათ აგვისტოს ქარხნებში თითქმის ყველა მუშა გაიფიცა. № ქარხნის მუშებმა წამოიწყეს გაფიცვა. სულ მალე გაფიცვა თითქმის ყველა ქარხანას მოედო. გაფიცულებმა არა მარტო შესწყვიტეს მუშაობა, მოაწყვეს დემონსტრაცია. დე-

მონსტრანტებმა მედუქნეები, ყავახანების და მაღაზიების მფლობელნი აიძულეს, ვაჭრობა შეეწყვიტათ, ძალით შეაჩერეს ტრამვაის ვაგონები და ავტომანქანები, ამის გამო მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს. წესრიგის აღსადგენად გაძოძახებულ პოლიციელებს დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს, რის შედეგადაც ოთხი პოლიციელი დაშავდა. ხოლო მას შემდეგაც, როდესაც პოლიციამ თოფები გაისროლა ჰაერში, დემონსტრანტებმა არ შეწყვიტეს ქვების სროლა, რამაც პოლიციელები აიძულა, საკუთარი თავისა და მშვიდობიან გამვლელ-გამომვლელთა დაცვის მიზნით იარაღი ეხმარათ. დაიჭრა ათი, მოკლეს ორი დემონსტრანტი. მომხდარი ამბის შემდეგ უშუალოდ წარმოებულმა ძიებამ დაადგინა, რომ ზოგიერთი დემონსტრანტი შეიარაღებული იყო და სროლა აუტეხა პოლიციელებს. ძიებამ დაადგინა აგრეთვე, რომ დღეს სასამართლოს წინაშე მდგარი ბრალდებული, პასუხს აგებს, როგორც გაფიცვისა და დემონსტრაციის ერთ-ერთი წამომწყები. იგი სიტყვით მიმართავდა დემონსტრანტებს და მოუწოდებდა მათ, დაემხოთ მთავრობა, მოეხდინათ რევოლუცია, და თავს დასხმოდნენ ჩვენთან მეგობრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოების დაწესებულებს...

ძიებამ დაადგინა აგრეთვე, რომ ბრალდებული კანონით აკრძალული პარტიის წევრია, უცხოეთის სახელმწიფოს ინტერესებით ხელმძღვანელობს და

არსებული წესწყობილების დამხობას ქადაგებს. ბრალდებულის დანაშაულს კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ დემონსტრაციის შემდეგ იგი ქალაქიდან გაიპარა და ბრალდებულ სელმა ტარაფთან ერთად სოფელ ზათარს შეაფარა თავი. სელმა ტარაფი აცხადებს, რომ იგი ბრალდებულის მეუღლეა, თუმცა ამგვარი განცხადების დასამტკიცებლად არავითარი ოფიციალური საბუთი არ არსებობს.

ხსენებულ სოფელში ბრალდებულებმა ისარგებლეს რა სოფლელთა გულუბრყვილობით, გააჩაღეს თავიანთი პროპაგანდა, რის შედეგადაც დაიწყო გლეხთა მღელვარება მემამულეთა წინააღმდეგ. ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ბრალმდებელი მოითხოვს მსჯავრი დაედოს ბოროტმომქმედ ქემალ მარზუკს, რამდენადაც იგი გაფიცვისა და დემონსტრაციისაკენ მოუწოდებდა, თვითონაც მონაწილეობდა მათში და ბრალი მიუძღვის მშვიდობიან მოქალაქეთა და პოლიციის მუშაკთა დაშავებასა და მკვლელობაში. ბრალმდებელი მოითხოვს აგრეთვე, რომ ქემალ მარზუკის მსჯავრი დაედოს მის მეგობარ სელმა ტარაფთან ერთად, რადგანაც სოფელ ზათარში ისინი ერთად ეწეოდნენ მტრულ პროპაგანდას და მოქალაქეთა შორის შუღლს თესდნენ“.

საბრალმდებო ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ ქემალს მიმართა:

— ხომ გაიგონე, ქემალ მარზუკ, რაც საბრალმ-
დებო ოქმში არის ნათქვამი? გაქვს რაიმე სათქმე-
ლი?

ქემალმა წამოდგომა სცადა, მაგრამ იმდენად
დაუძლურებული იყო, რომ ვერ შესძლო.

თავმჯდომარეს შეეცოდა და ნება დართო
მჯდომარეს ეპასუხა. ქემალი აკანკალებული და
სუსტი ხმით ლაპარაკობდა, თან ყოველი შეტევი-
სას ჭუჭყიანი ცხვირსახოცით იწმენდდა პირზე მო-
მდგარ სისხლს.

— ბატონო თავმჯდომარევ, ვწუხვარ, რომ ძა-
ლა არ შემწევს, დაწვრილებით შეეეხო ყოველივეს,
რაც საბრალმდებო ოქმშია ნათქვამი, დიახ, ჩემო ბა-
ტონო, დემონსტრაციაში ვმონაწილეობდი, მაგრამ
დემონსტრაციის ხელმძღვანელობის პატივი მე არა
მქონია მონიჭებული, ამიტომ არ შემიძლია დემონ-
სტრაციის მეთაურობა ჩემს თავს მივაწერო. ჩვენი
მოკლული და დაჭრილი ძმები — მუშების მიმართ
თვითნებობისა და ჩაგვრის მსხვერპლნი არიან.
ჩვენ მუდამ ვიბრძოლებთ. თუკი საბრალმდებო
ოქმში ძირგამომთხრელ პრინციპებადაა მონათლუ-
ლი უფლება სამართლიანობისა და მართლმსაჯუ-
ლების მოთხოვნისა, მაშინ რაღას წარმოადგენენ
თვით ამ სამართლიანობის პრინციპები, ბატონო
თავმჯდომარევ.

ქემალს კვლავ სისუსტემ სძლია, სკამიდან რომ არ
გადმოვარდნილიყო, დამცველმა ხელი შეაშველა.

თავმჯდომარემ სელმას მიმართა:

— სელმა ტარაფ, შენ რაღა გაქვს სათქმელი.

— გაფიცვაში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან ორი თვით ადრე მაიძულეს სამუშაოსათვის თავი დამენებებინა. ამის გამო ესოდენ პასუხსაგებ მომენტში, არ შემეძლო მხარში ამოვდგომოდი ჩემს ამხანაგებს, თუმცა ამას დიდ პატივად ჩავთვლიდი, მაგრამ, გაფიცვა ხომ დემოკრატიული კონსტიტუციებით მინიჭებული უფლებაა მათთვის, ვისაც სხვა დანარჩენი უფლებები წართმეული აქვს...

— იმაზე ილაპარაკე, რაშიც ბრალი გედება. გაფიცვაში მონაწილეობა შენ ბრალად არ გედება და არავინა გთხოვს, კონსტიტუციებსა და უფლებებზე სიტყვა წარმოთქვა. ახლდი თუ არა ქემალ მარზუკს სოფელ ზათარში, ეწეოდი თუ არა მასთან ერთად იქ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის შუღლის გამჩაღებელ აგიტაციას.

— დიახ, ქემალი ჩემი ქმარია და თან ვახლდი. იგი ავადმყოფია და ჩემი ვალია დავეხმარო მას. მაგრამ არც ერთ ჩვენგანს მსგავსი არაფერი ჩაუდენია, რასაც გვაბრალებენ. ამის დამამტკიცებელი ფაქტი ის არის, რომ ზათარის მცხოვრებთ, რომელთაგან ზოგს ვხედავ ამ დარბაზში, ვუყვარდით, ისევე, როგორც ჩვენ გვიყვარდნენ ისინი და როცა პოლიციამ დაგვაპატიმრა, ტირილით გამოგვაცილეს. ჩვენ მხოლოდ ვუზიარებდით ერთმანეთს სიხარულს და ტანჯვა-ვაებას. დიახ, ჩვენ გვსურდა, თვალი აგვეხილა მათთვის. ნუთუ ეს და-

ნაშაულია. ზათარში ჩვენი ყოფნა ხელს უშლიდა არა გლეხებს, არამედ, მათ, ვინც გლეხობას ყვლეფს.

პროკურორი წამოხტა ადგილიდან და წამოიძახა:

— ბატონო თავმჯდომარეო, ბრალდებული გასცდა თავდაცვის ფარგლებს.

— თავის დაცვა ბრალდებულის წმიდათა წმიდა უფლებაა. სასამართლოს საფუძველი არ გააჩნია სიტყვა წაართვას ბრალდებულს, — უპასუხა მას თავმჯდომარემ.

— გმადლობთ, ბატონო თავმჯდომარეო, როდესაც ჩვენ სოფელ ზათარს შევაფარეთ თავი, ლუკმაპურის სახსარი არ გაგვაჩნდა. ერთმა მოხუცმა ქალმა შეგვიფარა თავის ქოხში. როდესაც სოფლელებმა გაგვიცნეს, მიუხედავად სიღატაკისა, ყოველი მათგანი გვეხმარებოდა. გლეხებმა სიხარულით მიგვიღეს, ყოველ საღამოს მოდიოდნენ ჩვენი საუბრების მოსასმენად, ჩვენ კი მათი ცხოვრების ამბებს ვისმენდით. ბატონო თავმჯდომარეო, თქვენ რომ შეგეძლოთ სოფელ ზათარში წასვლა, ამ სოფლის მდგომარეობის ნახვა, გაგება იმისა, მართლა ვაჩაღებდით თუ არა იქ შუღლსა და სიძულვილს; მოვუწოდებდით თუ არა საზოგადოებრივი წყობილების დამხობისაკენ, შეიტყობდით, რომ ეს ყოველივე—სიცრუეა...—ცრემლმორეულმა სელმამ ქემალზე მიუთითა, — იგი ქმარია ჩემი, თუმცაღა საბრალმდებო ოქმში ნათქვამია, რომ

მე, საამისო საბუთები არა მაქვს. ქორწინება მარ-
ტოოდენ მღვდლის ან მოღვაწის მიერ გაცემული
მოწმობა როდია, რომელსაც ამასთანავე ხშირად
დაუსწრებლივ გასცემენ ხოლმე. ჩვენ არა გვჭირ-
დებოდა ამგვარი ფარატინა ქაღალდი. ქორწინება
მეუღლეთა გამაერთიანებელი სულიერი კავშირია,
რომელსაც არავითარი მოწმობა არ ესაჭიროება.
ჩვენი შეუღლება ჩვენი ცხოვრების უმძიმეს წუთ-
ში მოხდა.

სელმა აქვითინდა, ქემალთან მიირბინა და გა-
დაეხვია. დამსწრე საზოგადოებას ცრემლი მოადგა
თვალებზე. შემდეგ თავმჯდომარემ პროკურორს
მისცა სიტყვა.

— პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, ნე-
აბა მომეცით, ამ მარცალი სასამართლოს წინაშე წამ-
დგარი ორი ბრალდებულის საქმე ერთმანეთისაგან
განვაცალკეო. — დაიწყო პროკურორმა, — ერთ
მათგანს, ქემალ მარზუკს, ბრალად ედება ორი
რამ: ჯერ ერთი, გაფიცვის, დემონსტრაციისა და
საზოგადოებრივი უშიშროების დარღვევისაკენ
მოწოდება, გარდა ამისა, მას ბრალად ედება სა-
ზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის ძირგა-
ბოძთხრელი, სიძულვილის დამნერგავი პროპა-
განდა... რაც შეეხება ბრალდებულ სელმა ტარაფს,
პირველი ბრალდება მას არ ეხება, რადგან მან
მართლაც გაფიცვამდე ორი თვით ადრე დაანება
თავი მუშაობას, მაგრამ, ქემალის მიმართ წამოყე-
ნებული მეორე ბრალდება ვრცელდება სელმაზე-

დაც, რომელიც ქორწინების შესახებ თავისი უცნაური ფილოსოფიიდან გამომდინარე, ქმარად მიიჩნევს ქემალს. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფილოსოფია ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენს მორალს, იგი იმ ძირგამომთხრელი ფილოსოფიის ნაწილს წარმოადგენს, რომლის ქადაგების უფლება მისცა თავის თავს ბრალდებულმა ამ სასამართლო პროცესზე. პროკურატურა, რა თქმა უნდა, იზიარებს ქემალ მარზუკის სნეულებით გამოწვეულ საერთო მწუხარებას და სხვებთან ერთად მას გამოჯანსაღებას უსურვებს.

მიუხედავად იმისა, რომ დამსწრე საზოგადოება საგანგებოდ შერჩეულ პირთაგან შედგებოდა, უმრავლესობას დამცინავად გაეღიმა.

პროკურორმა განაგრძო:

— მაგრამ, დაუშვებელია, რომ თანაგრძნობამ ჩვენი საღი მოსაზრებანი დაჩრდილოს. მინდა გაგახსენოთ გაფიცვის დღეები, რომელმაც ესოდენ დიდი მსხვერპლი გამოიწვია და მწარე ხვედრი არგუნა არა ერთ ადამიანს. თქვენს წინაშე მდგარი ბრალდებული რომ არ ყოფილიყო, სისხლი არ დაიღვრებოდა. განა უცნაური არ არის, რომ უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვის გამომწვევი ბრალდებული სრულიად ჯანმრთელი იყო მაშინ, როცა გაფიცვისაკენ მოუწოდებდა, აქეზებდა დემონსტრატებს. ხომ ხედავთ, ბედისწერამ იგი სასამართლოზე ადრე დასაჯა.

დარბაზი აღშფოთებით ახმაურდა.

— ბრალდებული ამტკიცებს, რომ გაფიცვა გამოწვეული იყო მეწარმეთა მიერ მუშათა უფლებების გათელვით, მთავრობის დაპირებათა შესრულების გაჭიანურებით. მუშათა საკითხის შესწავლა მთავრობამ უდიდესი სპეციალისტებისაგან შემდგარ კომისიას დაავალა. საკითხის შესწავლა, სათანადო ცნობების და სტატისტიკური მონაცემების შეკრება და სხვა ქვეყნებში მოქმედი კანონების გაცნობა კი სათანადო დროს მოითხოვს. გარდა ამისა, კომისიაში მთავრობამ მიიწვია უცხოელი ექსპერტი, რომელსაც დიდი გასამრჯელო მიეცა. მთავრობა ყველასათვის არსებობს და არა მარტო მუშებისათვის.

დარბაზში სიცილი გაისმა.

—— ბრალდებულის დანაშაული მძიმდება მითაც, რომ მან თავი აარიდა პასუხისმგებლობას. განა ბრძოლის ასპარეზის მიტოვება და სოფელ ზათარში თავის შეფარება მის სიმხდალეზე არ მეტყველებს?

ამის გაგონებაზე სელმა ადგილიდან წამოიჭრა. მაგრამ, თავმჯდომარემ შეაჩერა.

გენერალურმა პროკურორმა მშვიდად განაგრძო:

— ვისაც ბელადობა სურს, მას საამისო გამბედაობაც უნდა ჰქონდეს. ხოლო ამ ბრალდებულმა ბოროტმოქმედებათა გზაზე დააყენა თავისი ამხანაგები, შემდეგ კი მიატოვა. მამაცი რომ ყოფილიყო და თავისი რწმენით ემოქმედა, იგი გადამ-

წყვეტ წუთში ამხანაგებს არ უღალატებდა. სოფელ ზათარში არ დაიმალებოდა, რომ იქაც მოეტყუებინა გულუბრყვილო ხალხი. ის ქვეყანა, რომლის ცის ქვეშაც ყოველი ჩვენგანი ცხოვრებითა სტკბება მშვიდობიანი ქვეყანა არის. ხელისუფალთა ვალია — მღელვარებისა და უწესრიგობის ყოველგვარი გამოვლინება აღმოფხვრან ამქვეყნად. სიმტკიცე და წონასწორობა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ყველა ჩვენი თანამემამულეთა მშვიდობიანი არსებობა, ჩვენი კულტურული და სარწმუნეებრივი დაწესებულების მიერ ხალხში დანერგილი სულიერი და ზნეობრივი საფუძვლები, რომლის დასაცავადაც არის მოწოდებული მთავრობა,—ყოველივე ეს კი არ უნდა გაანადგუროს ადამიანთა მცირე ჯგუფმა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ჩაგრულნი და შევიწროვებულნი არიან. ბატონო მსაჯულნო, გთხოვთ, მთელი სისასტიკით განსაჯოთ ჯანყის, ანარქიის, არეულობის მესვეურნი. მკვლელად მარტო იგი როდი ითვლება, ვინც მსხვერპლს გულში დანას ჩასცემს. უფრო დიდი დამნაშავე ის არის, ვინც მკვლელს ხელს გაუმართავს, მკვლელობას განიზრახავს და მის განსახორციელებლად ემზადება. ასეთი ბოროტმოქმედი უფრო საშიშია საზოგადოებისათვის, იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს. მე მოვითხოვ, რომ ქემალს და სელმა ტარაფსაც, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაფერისი სასჯელი მიეზღოს.

პროკურორმა სიტყვა დაასრულა. ყველა დამს-

წრე ბრალდებულთა დამცველს მუხტარს მიაჩერდა.

ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მუხტარი, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, განათლებული და კეთილშობილი ადამიანი, ცნობილი იყო, როგორც დამოუკიდებელი და პროგრესული მოაზროვნე, იგი გამოირჩეოდა მჩაგვრელების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით.

როგორც კი მუხტარმა ცოფმორეულ რეაქციონერთა ვერაგული ზრახვები გაიგო, თვითონ ითავა ქემალისა და სელმას დაცვის საქმე. მისი აზრით ეს პროცესი ფართო საშუალებას იძლეოდა ნამდვილი თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის დაცვისათვის, კაცობრიობის მტრების, ცრუ-მატყუარების და ადამიანთა გაბრიყვებით დაინტერესებული პოლიტიკური შარლატანების გამოსამჟღავნებლად.

მუხტარი თითონაც გრძნობდა, ხალხი დაიმედებული იყო, რომ იგი შესძლებდა ბრალდებულთათვის ხიფათი აეცილებინა.

— ბატონო თავმჯდომარეე, ბატონო მსაჯულნო! — დაიწყო მუხტარმა. — როდესაც ამ ძრწოლვის მომგვრელ დარბაზში შემოვედი, მის კედელზე ამოკვეთილი წარწერა — „მართლმსაჯულება — სახელმწიფოს საფუძველია“ — წავიკითხე და მსაჯულთა სავარძლებში ვიხილე ის ადამიანები, რომელნიც მხოლოდ ჭეშმარიტებას მეტყველებენ და სამართლიანად მსჯელობენ, — დავ-

მშვიდდი და ვიწამე, რომ რამდენიც უნდა ეცადნონ მჩგავრელნი და შემავიწროვებელნი, სიმართლე და სამართლიანობა გაიმარჯვებს. ბატონებო, თქვენს წინაშე ორი ადამიანია, რომელნიც დააპატიმრეს წინასწარ შეთითხნილი ბრალდებით. ბატონო მსაჯულნო, თქვენ წინაშე არის ცოლ-ქმარი, რომელთა წმიდათაწმიდა შეუღლებას არ სცნობს ბრალმდებელი; იგი ცდილობს, რომ საეკლესიო წესებზე დაყრდნობით შეურაცხყოს მათი კავშირი. მაგრამ, განა ადამიანის გრძნობა და გონება ყოველგვარ კანონს ეგუება? ხშირად ეს კანონ-წესები ხელშეუხებლობას კარგავენ და მათი სიწმინდე საჭოჭმანო ხდება. ამგვარ წესებს გზააბნეული და გაუნათლებელი ადამიანები, ანდა უკიდურესი რეაქციონერები მისდევენ. როდესაც ადამიანის დაკრძალვისას ადათით დაწესებული რიტუალი არ სრულდება, განა იმას მოასწავებს, რომ ეს ადამიანი არ გარდაცვლილა. დაუშვებელია, რომ სასულიერო პირის მიერ გაცემული ქორწინების მოწმობა უფრო დამაჯერებელი იყოს, ვინემ პატიოსანი ადამიანის დამოწმება. ამ ახალგაზრდების შეუღლების მოწმე იყო პატივცემული და კეთილშობილი ადამიანი, მხედველობაში მყავს ექიმი ქერიმი, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობს. და თუკი სამოქალაქო დაწესებულებანი სჯერდებიან ყოველი სასულიერო პირის, ანდა ქურუმის მოწმობას, მაშინ ქერიმის დამოწმება ყველაზე უფრო მეტად არის სანდო. განსაკუთრებულმა ვი-

თარეგამ ხელი შეუშალა. ამ ცოლ-ქმარს თავიანთი ქორწინება სამოქალაქო დაწესებულებაში დაემოწმებინათ, მაგრამ, ბატონებო, სამარცხვინო იქნება მათი კავშირის სიწმინდის შელახვა. დასაშვებია განა ამ ქორწინების არარსებულად გამოცხადება მხოლოდ იმ საბაბით, რომ იგი არ დაუმოწმებია, არც დაუმტკიცებია ანაფორა გადაცმულ ადამიანს, რომლის სამოსელი მრავალ მანკიერებას ფარავს.

ამ დროს დამცველს სიტყვა შეაწყვეტინა გენერალურმა პროკურორმა:

— პროტესტს ვაცხადებ იმის გამო, რომ დაცვის წარმომადგენელი ეკლესიის მსახურს ამცირებს.

დამცველმა ცივად და ირონიულად შენიშნა:

— ჩანს, თანამდებობა ავალდებულებს პროკურორს სიტყვა შემაწყვეტინოს, მაგრამ მისი პროტესტი როდი სცვლის საქმის არსს, ბატონებო.

დამსწრეთა უმრავლესობა მოწონებით ახმაურდა. მტრულად განწყობის აღმნიშვნელი დუმილი მხოლოდ დარბაზში მყოფთა უმცირესობამ დაიცვა.

— ჩვენი აზრით, — განაგრძო დამცველმა. — ბრალმდებელი ყოველ ღონეს მიმართავს, რათა სისხლის სამართლის კოდექსში გამოძებნოს ისეთი ნუხლი, რომელიც სურს ბრალდებულს მიუყენოს, განა ბატონმა გენერალურმა პროკურორმა ერთი დამაჯერებელი საბუთი მაინც მოიმარჯვა

ქემალ მარწუკის წინააღმდეგ. განა ბრალდებული მხილებულია იარაღის ტარებასა, ან ვისმეს მიმართ ძალადობაში? პროკურორის წკაცრი ბრალდება ეყრდნობოდა ძირითადად იმას, რომ ბრალდებული დემონსტრანტებს სიტყვით მიმართავდა და მათთან ერთად სპეკულანტების, ექსპლოატატორებისა და ომის გამჩაღებელთა საწინააღმდეგო ლოზუნგებს წარმოთქვამდა. ამ მოწოდებაში ხომ არ ხედავს ბატონი პროკურორი დანაშაულს? მე მსურს, რომ ჩვენს თანამემამულეთა შორის, იქნება ეს ხელისუფლების წარმომადგენელი, თუ რიგითი მოქალაქე, ბატონმა პროკურორმა ერთი პიროვნება მაინც დაასახელოს, გარდა თავისი თავისა, რომელიც გაბედავდა ზემოთქმულ პიროვნებათა მსგავსი ადანიანების აშკარა დაცვას. თუ ჩვენ ქემალს ბოროტმოქმედად მივიჩნევთ იმის გამო, რომ იგი იმპერიალიზმისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ იბრძვის, მშვიდობის დამცველად გამოდის, ღატაკთა და დამშეულთა წყალობით გამდიდრებულ სპეკულანტებს ამხელს, მაშინ ხალხის ოთხმოცდაცხრაპროცენტი პროცენტი სატუსაღოში უნდა იქნეს. არანაკლებ უცნაურად ჟღერს ბრალდებულისათვის იმის დაწამება, რომ გაფიცვის დროს მომხდარი სისხლის ღვრისათვის ქემალიაო პასუხისმგებელი. ბატონო პროკურორო, თქვენ მეტად მკვეთრ გამოთქმებს მიმართეთ, მაგრამ განა ქემალია მკვლელი? თქვენ რატომღაც მხედველობიდან გამოგრჩათ ის გარე-

მოება, რომ საექიმო ექსპერტის დასკვნის თანახმად დემონსტრანტები დაიჭრნენ და დაიხოცნენ პოლიციელთა ტყვიით. რატომ გაეცით ბრძანება, რომ მოკლულთა გვამები ძიების დასრულებამდე და სათანადო ოქმების გამოქვეყნებამდე დაეკრძალათ? რატომ მიანდვეთ დაჭრილთა მკურნალობა სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმს? რატომ მიჩქმალეთ ეს საქმე? დემონსტრანტებს პოლიციამ ვერავითარი იარაღი ვერ უპოვა და არც ერთი პოლიციელი არ არის ტყვიით დაჭრილი. ბატონი პროკურორი სიტყვებს უაზროდ ისვრის, ავიწყდება, რომ ვალდებულია საქმე ისე წარმოადგინოს, როგორც ის სინამდვილეშია. როდესაც ბატონ პროკურორს მსჯელობის უნარმა უღალატა, მან ლექცია წაგვიკითხა კანონიერებაზე, სულიერ საგანძურსა და გამბედაობაზე; ქემალს სიმხდალე დასწამა იმისათვის, რომ მან ვითომდა ბრძოლის ველზე მიატოვა თავისი ამხანაგები. თავიანთი უფლებებისათვის მებრძოლ დემონსტრანტებს პროკურორმა კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაში დასდო ბრალი, იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მშვიდობისაკენ მომწოდებელ ხალხს დასწამა, რომ ისინი უცხოეთის სახელმწიფოს დაქირავებული აგენტები არიან, ხოლო ქემალსა და სელმას სოფელ ზათარში მცხოვრებთა შორის შფოთის დანერგვა დააბრალა. საჭიროა ყველა ამ ბრალდებაზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, რათა საეჭვო სოფიზმმა არ გააბრუოს გულუბრყვილო

ადამიანთა გონება. გენერალური პროკურორი კითხულობს, რატომ დასტოვა ქემალმა ქალაქი და სოფელ ზათარს რად შეაფარა თავი? გენერალურ პროკურორს ქემალის მამაცობაში ეჭვი ეპარება. მაშ, მომისმინეთ, ბატონო პროკურორო, საქმის ნამდვილი ვითარება! თქვენს წინაშე მდგარი ბრალდებული ალბათ ასეთი დაუძლურებული არ იქნებოდა, რომ მას ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა არ გადაეტანა არსებობისათვის; იმისათვის, რომ ოჯახი შეენახა და მაღალი საზოგადოების სიმკაცრენი თავიდან აეცილებინა, ქემალი დღე და ღამე შრომობდა. სიკვდილს ებრძოდა, მაგრამ სიკვდილმა ჯერ დედა გამოსტაცა ხელიდან, შემდეგ და, ახლა კი მასაც უქადის სიკვდილს. მაგრამ ქემალის რწმენა და მრწამსი ურყევი იყო, შიმშილსა და სნეულებას უმკლავდებოდა და წამლებს საკუთარი ოფლის და სისხლის ფასად შოულობდა. აი, ეს არის ჭეშმარიტი გმირობა, ბატონო პროკურორო! იცით, თუ არა თქვენ, რატომ მიატოვა მან ქარხანა? შესაძლებელია კიდეც იცით, მაგრამ გსურთ, თავი ისე მოაჩვენოთ, თითქოს არაფერი გაგეგებათ, რათა შემდეგ გმირობის შესახებ ლექცია ჩაგვიტაროთ. ქემალი მხდალი როდია, იგი მოერიდა ცეცხლს, რომელმაც სხვა ადამიანები უკვე დასწვა. გენერალური პროკურორის სიტყვა იმგვარ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს გაფიცულებს მართლაც დაერღვიოთ კანონი და ამიტომ სასტიკ სასჯელს იმსახურებდნენ. თუმცალა, ბატონებო,

ყველამ იცით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ხოლო, როგორც ცნობილია, დემოკრატიული კონსტიტუციები გაფიცვის გამოცხადების უფლებას იმ პირობით ანიჭებენ, რომ გაფიცულნი ხიფათს არ შეუქმნიან საზოგადოებრივ უშიშროებას.

— ყოველი გონიერი ადამიანისათვის ნათელია, პოლიცია რომ არ ჩარეულიყო და დემონსტრანტებს თავს არ დასხმოდა, იმ დღეს არავითარი უბედურება არ დატრიალდებოდა. არ იქნებოდა ცუდი, რომ ბატონი პროკურორი ასევე გულმოდგინედ და მგზნებარედ იცავდეს კანონებს, როდესაც კანონებისადმი უპატივცემულობას ხელისუფალნი იჩენენ. ისინი ხომ უხეშად სთელავენ ჩვენი მუშების უფლებებს. მუშები კი თავიანთ უფლებებს იცავდნენ. არა ერთხელ მიუმართავთ მთავრობისათვის, დიდხანს და მოთმინებით ელოდნენ მთავრობის დაპირებათა შესრულებას, მაგრამ დაინახეს, რომ ფაბრიკა-ქარხნების მფლობელნი კანონებს არ ემორჩილებიან, ხოლო ხელისუფლება უმოქმედობას იჩენს. აი, მაშინ მათი კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენეს—გაფიცვა გამოაცხადეს. თქვენ გაშინებთ ყველა ის, ვინც თავისუფლად აზროვნებს. ნუთუ, ბატონო პროკურორო, ლუკმაპურისათვის ბრძოლა ძირგამომთხრელ საქმიანობას წარმოადგენს: თქვენ ღრმადა ხართ დარწმუნებული, რომ არსებული ტაძარნი მარადიული და წმიდათა წმიდაა, რომ ბიწიერია

ყოველი, ვინც ამ ტაძართა შეურაცხყოფას ბეჭავს. გწამთ, რომ ყველა, ვინც თქვენ არ გეთანხმებათ, გახრწნილია. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე როგორც ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლა ნგრევის ქადაგება როდია. ქვეყნის დამნგრევი და დამქცევი ის იდეები და პრინციპებია, რომლებსაც ნიღბად იფარებენ ექსპლოატატორნი და ომის გამჩაღებელნი.

პროკურორი გრძნობდა, რომ დამცველის სიტყვამ მისი ბრალდება გააბათილა და პროტესტი განაცხადა:

— დამცველი პროცესის ფარგლებს სცილდება და ფილოსოფიურ მსჯელობას იწყებს. ვთხოვ, საქმის განხილვით შემოიფარგლოს, — თქვა პროკურორმა.

დამცველმა არც კი შეხედა პროკურორს.

— ბატონო თავმჯდომარეო, განა გენერალური პროკურორის სიტყვა ფილოსოფიურ ექსკურსს არ წარმოადგენდა. მაშ, რატომ არ მოსწონს მას ჩემ სიმართლესთან უფრო ახლოს მდგარი პასუხი? ბატონო მსაჯულნო, ბრალდებულთა სიცოცხლე თქვენს ხელთ არის. დარწმუნებული ვარ, ყველა გარემოებას გაარკვევთ და შესძლებთ სიმართლისაგან სიცრუის გამორჩევას. დამშვიდებით მოველი თქვენს გადაწყვეტილებას, რადგან მწამს, რომ ამ ადამიანებს თქვენ სამართლიანად და სინდისიერად გაასამართლებთ!

მუხტარის უკანასკნელ სიტყვებს დარბაზი

ძქუხარე ტაშით შეხვდა. თავმჯდომარემ დარბაზში სიწყნარე დაამყარა და სასამართლოს სხდომა დახურულად გამოაცხადა. მსაჯულნი სათათბიროდ გავიდნენ.

ქემალი იმდენად იყო დასუსტებული, რომ ძლივს იჯდა. სელმა თვალს არ აშორებდა ქემალს. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დამსწრენი უცდიდნენ განაჩენს. ერთი ქალი მიუახლოვდა მცველთა რაზმის უფროსს და ავადმყოფისათვის ბოთლი თურინჯის წყალი გადასცა. ქემალმა რამდენიმე ყლუპი მოსვა, დედაბერი დაკვირვებით შეათვალიერა და ჩახლეჩილი ხმით უთხრა:

— გმადლობთ, დეიდა.

ერთი საათის შემდეგ მსახურმა დარბაზში მყოფთ მსაჯულთა დაბრუნება აცნობა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და საყოველთაო დუმილში თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა:

— სასამართლომ განიხილა ბრალდებულთა ქემალ მარზუკისა და სელმა ტარაფის საქმე, მოისმინა ბრალდებულთა განცხადებანი, დამცველისა და გენერალური პროკურორის სიტყვები და დაადგინა: ათ აგვისტოს გაიფიცნენ № ქარხნის მუშები, დაიწყო დემონსტრაცია, რომელმაც დასაწყისშივე დაჰკარგა მშვიდობიანი ხასიათი. დადგენილია აგრეთვე, რომ ბრალდებული ქემალი გაფიცვასა და დემონსტრაციაში მონაწილეობდა და სხვებთან ერთად სიტყვით მიმართა დემონსტრანტებს. გაფიცვისა და დემონსტრაციის დროს მოკლული

იყო ორი კაცი, ათი მოქალაქე და ოთხი პოლიციელი დაიჭრა. მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ ბრალდებულისა და სხვა დემონსტრანტების მიერ ცეცხლმსროლელი იარაღის ტარების ფაქტი არ დადასტურდა, რომ მოკლულნი და დაჭრილნი პოლიციელთა მიერ დემონსტრანტების დასაშინებლად და გასაფანტავად ჰაერში ატეხილი სროლის დროს შემთხვევითი ტყვიის მსხვერპლნი გახდნენ, რომ სამედიცინო ექსპერტის ჩვენებით პოლიციელები ქვებით იყვნენ დაშავებულნი, რომ არ დადასტურდა საზოგადოებრივი უშიშროების საწინააღმდეგო პროპაგანდა ბრალდებულის მიერ სოფელ ზათარში, რომ მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის მოწოდება ბოროტმოქმედებას კი არ წარმოადგენდა, არამედ სამშობლოს ერთგული ყოველი პატრიოტის მოვალეობას და რომ კონსტიტუციის თანახმად, გაფიცვა დანაშაულად არ ითვლება, სასამართლოს მიაჩნია, რომ ქემალ მარზუკს დანაშაული მიუძღვის მხოლოდ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებასა და დემონსტრანტებისადმი სიტყვით მიმართვაში.

მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც დანაშაულების შეშაძსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს, აგრეთვე ის, რომ ბრალდებული სელმა ტარაფი არ ყოფილა დემონსტრაციის მონაწილე, სასამართლო ადგენს:

1. ქემალ მარზუკს მიესაჯოს პატიმრობა სამი თვის ვადით, ამასთან ვადაში ჩაეთვალოს წინასწარი პატიმრობის დრო, ხოლო პატიმრობის დარჩენილი დროის განმავლობაში მოთავსებული იქნას საავადმყოფოში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მკურნალობით.

2. ბრალდებული სელმა ტარაფი გამართლებულია და პატიმრობიდან თავისუფლდება.

ხალხი მქუხარე ტაშით და აღფრთოვანებული შეძახილებით შეხვდა მსაჯულთ და სასამართლოს თავმჯდომარეს.

## 8

ქემალის საქმეზე გამოტანილი განაჩენი ყველას ზომიერად ეჩვენა. რადგან ასეთი განაჩენი პატიმარს უფასო მკურნალობის საშუალებას აძლევდა, რასაც ქემალი ყველა სხვა გარემოებაში მოკლებული იქნებოდა, ამ კაცთმოყვარე აზრებმა ხომ არ შთააგონეს ეს ხერხი მოსამართლეს? ასე ეგონა ყველას, ვინც პატიოსან და უანგარო მოსამართლეს იცნობდა.

მეორე დღეს ქემალი საავადმყოფოში გააგზავნეს. სელმა თან გაჰყვა. საავადმყოფოს გამგე მოლოზანმა გამყოლთ ავადმყოფის მიღების შესახებ ხელწერილი ჩააბარა და სანიტრებს უბრძანა, ქემალი მისთვის განკუთვნილ ოთახში წაეყვანათ. როგორც კი გამყოლი ყარაული წავიდა, სელმა მიუახლოვდა მოლოზანს და მიესალმა.

— ეგ ჩემი ქმარია, დედი, ციხემ თითქმის ორი თვით დაგვაშორა ერთმანეთს; ამ დროის განმავლობაში არ შემეძლო, რაიმე დახმარება გამეწია მისთვის. ქალაქის ციხიდან მოვყვები მას. ნება მომეცით, დედი, აქ დავრჩე და მოვუარო ჩემს ქმარს. მზად ვარ ყოველგვარი სამუშაო შევასრულო: საჭმელი დავამზადო, სარეცხი დავრეცხო, ოთახები დავალაგო, და ავადმყოფებთან ღამე ვიმორიგეო. გევედრებით, უარი არ მითხრათ ამ წყალობაზე...

— მერწმუნე, შვილო, შენს ქმარზე მეურვეობას ჩვენ ვიდებთ თავზე. ექიმს შევევედრები, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მას და ჩვენ ყველანი ვიმორიგავებთ მასთან. მოწყალე და ყოვლისშემძლე ღმერთი განკურნავს მას. ხოლო, შენი თხოვნის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

სელმა დაიხარა და ხელზე ეამბორა მოლოზანს.

— გმადლობთ, დედი.

როდესაც ავადმყოფი გასინჯა, ექიმს სახე მოეღუშა. რამდენიმე სიტყვიდან, რომელიც ექიმმა წაიბუზღუნა, სელმა მიხვდა, რომ ქემალის მდგომარეობა საიმედო არ იყო, მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ მიეცა.

— ჩემო ძვირფასო, შენ გამოკეთდები. ერთი თვის შემდეგ შინ დავბრუნდებით, — უთხრა სელმამ ქემალს. — მოლოზნის მოტანილი წამალი დალიე, იგი ხველებას შეგინელებს...

— როგორც შენ მეტყვი, ყველაფერს გავაკე-

თებ, სელმა. გმადლობთ, დედი, მაგრამ, ვგრძნობ, რომ ძალ-ღონე მელევა. გამხნევდი, სელმა, ჩემი სიკვდილი ნუ შეგაშინებს.

სელმას მთელი ღამე არ ეძინა, ქემალის საწოლთან თვალმოუხუჭავად იჯდა, მის სუნთქვას ყურს უგდებდა და შუბლიდან ცივ ოფლსა სწმენდდა. როცა ქემალს ჩაეძინებოდა, სელმა ცრემლს ვეღარ იკავებდა, ხოლო როცა ეღვიძებოდა, სელმა გამამხნევებლად უღიმოდა მას. სელმას საცოდავობის შემხედვარე ქემალსაც თავი ისე ეჭირა, თითქოს გამოჯანსაღების იმედი ჰქონდა.

მეორე დღეს ექიმებმა ქემალს მკურნალობა დაუნიშნეს და მას თანდათანობით გამოკეთება დაეტყო. სელმაც გამოცოცხლდა. მოლოზანი და მოწყალების დანი თავს დასტრიალებდნენ ქემალს.

ექიმები საგონებელში იყვნენ: ამგვარ მდგომარეობაში ჩვეულებრივ ექიმები ოპერაციას მიმართავდნენ. მაგრამ ქემალი ოპერაციას ვერ აიტანდა — სნეულებამ მთლიანად გაუნადგურა მარცხენა ფილტვი და მარჯვენა ფილტვის ნაწილიც. ექიმმა საიდუმლოდ გაანდო მოლოზანს, რომ სნეულებამ საშიში ხასიათი მიიღო და როგორც ჩანს, მედიცინა უძლურია გადაარჩინოს ქემალიო.

— აქა ხარ, სელმა? რისთვის დამაპატიმრეს, რა დავაშავე, ან ჩემმა ამხანაგებმა რა დააშავეს? შეხედე — თეთრი მტრედი მოფრინავს. ხელში აიყვანე იგი, სელმა, ეგ მშვიდობის მტრედია... შეხედე, როგორი კამარა შეჰკრა... ეს კუბო ჩემთვის

არის? რა კარგი ყოფილა კუბოში ძილი... გაცილებით უკეთესი, ვინემ ციხეში... გააგდე აქედან ეგ პოლიციელი... ნება არ მისცე ესროლოს მტრედს... საკუთარი ხელით მოვახრჩობ, მტრედი რომ მოჰკლას... სადა ვართ, სელმა? რად მეხუთება გული? ეს შენი ხელია? აქ დამადე,—ქემალმა მკერდზე მიუთითა და საშინელი ხველა აუვარდა. — რატომ დგანან კარებში დედა და სამირა? მიხურე კარი, თორემ წავლენ... ერთ წუთს მაცალეთ და მეც მათ გავყვები... მომაწოდე ჩემი ტანსაცმელი... პატიმრის ტანსაცმელში არ მსურს წასვლა... შენ სელმა ხარ? არა, არა ხარ სელმა!.. სად არის ახლა იგი? უთხარი, რომ მოვიდეს, მინდა ერთი შევხედო, სანამ წავიდოდე.

ქემალი ბოდავდა და ბოდვაშიაც ხველა ახრჩობდა.

— ილაპარაკე, ქემალ, ჩემო ძვირფასო. რა დაემართა მას, ნუთუ კვდება? შეახე ხელი მას, დედი. სიცოცხლეს გეფიცები, უძვირფასესო ადამიანო... სულ მარტოხელა ვიყავ ამ ქვეყანაზე, ქემალ, და შენ მიხსენი მარტოობიდან... ნუთუ დღეს ისევ მიმატოვებ? შენი მეგობრები და ძმები შენს დაბრუნებას ელიან, ქემალ. რაღა ვუთხრა უშენოდ, მარტო რომ დავბრუნდები და შენ მოგიკითხავენ? შენს მიერ მხილებულ მტარვალთ შენი სიკვდილი უნდოდათ. ახლა ეცდებიან შენი ამხანაგები ამოხოცონ ისევე, როგორც შენ მოგკლეს.

ქემალმა უკანასკნელად ამოიხრიალა; აცახცახებულმა და ატირებულმა სელმამ მშვიდად აკოცა და თვალები დაუხუჭა. მიცვალებულთან მუხლმოდრეკილი და დამწუხრებული მოლოზანი ბუტბუტით ლოცულობდა.

# Жорж Ханна

# Жрецы храма

Перевод с арабского
Ш. Курдгелашвили

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали“

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали“
19 Тбилиси 61
Плехановский, 181

* *

რედაქტორი გრ. ჩიქოვანი
გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი თ. მაცაბერიძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ნანეიშვილი
კორექტორი ც. ქაროსანიძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12,VIII,1961 წ., ანაწყობის ზომა 4,5X7,25, ფიზიკურ ფ. რაოდენობა 12, პირობით ფ. რაოდენობა 5.93, ტირაჟი 3.000, შეკვეთის № 1065

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“
თბილისი, პლეხანოვის 181

ფასი 44 კაპ.